პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 18. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღით 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი
საქართველოს ფურცელზე— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 50 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ. განცხადებებს გაზეთი ფასით იღებს 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
— ავღანისტანის ფადიშახი ბერლინის საბჭოთა საელჩოში.
— კანონპროექტი ნავთის შესახებ საფრ. დეპუტატთა პალატაში.
— კომუნისტების დაპატიმრება ლიტვაში.
— ამერიკის სენატმა დაამტკიცა საარბიტრაჟო ხელშეკრულება საფრანგეთთან.
— ესტონეთის ელჩად მოსკოვში დაინიშნა სელიამა.
— ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი.
— მიწისძვრა იტალიაში.

პარასკევი, 9 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 57 (2100)

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელი სესია მიმდინარეობს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გამწვავების პირობებში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ე. წ. უშიშროების კომიტეტის სესიამ, რომელიც ეს არის დაიხურა, მიიღო საფრანგეთის თვალსაზრისი გარანტიებისა და არბიტრაჟის შესახებ. ამით საფრანგეთი, თუგინდ ფორმალურად, ამტკიცებს, ვერსალის ზავით შექმნილ მდგომარეობას და დაბრკოლებებს ქმნის გერმანიის მიერ პოლიტიკური და სამხედრო თანასწორობის მიღწევისათვის. მაგრამ ესაა არა მარტო გერმანიის დამარცხება, არამედ ინგლისისაც: საგარანტიო ხელშეკრულებათა სისტემა არყევს ინგლისის, როგორც ევროპის ჰეგემონის და არბიტრის, როლს; ამავე დროს ეს სისტემა მიმართულია იქითკენ, რომ საფრანგეთმა ინგლისი გამოიყენოს თავის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის. ამიტომაც ინგლისის დელეგატმა კეშენდენმა განაცხადა, რომ თუმცა საგარანტიო ხელშეკრულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ინგლისი, თავისი საერთაშორისო მდგომარეობის სირთულის და თავისი საერთაშორისო ინტერესების მრავალმხრივობის გამო, თავისათვის სავალდებულოდ არ სცნობს ამის შესახებ ლიგის საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას.

იმის თქმა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის დადებული საგარანტიო ხელშეკრულებები თითქო მშვიდობიანობის საქმეს ემსახურებოდნენ, სიცრუეა და თვალთმაქცობაა: ასეთი ხელშეკრულებები ახალ სამხედრო კავშირების და შეიარაღებულ შეტაკებათა საფრთხეს აყენებენ. მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა ორი მომენტი: პირველი: ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი ნათლად გამოაშკარავდა, მეორე: ინგლისი არ დაემორჩილა უშიშროების კომიტეტის (და, მაშასადამე, ერთა ლიგის საბჭოს, რომლის ორგანოს ეს კომიტეტი წარმოადგენს) გადაწყვეტილებას და ამით ლახვარი ჩასცა ლიგის ავტორიტეტს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუ ერთა ლიგაში ხანდახან ამა თუ იმ საკითხზე გარეგნულად მაინც რაიმე შეთანხმებას აღწევენ და გამოაქვთ განსაზღვრული დადგენილებანი, ამას არავითარი რეალური ღირებულება არა აქვს, რადგან ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებაზე თავს არ იწუხებენ ის სახელმწიფოები, რომლებსაც ისინი თავისთვის სასურველად არ მიაჩნიათ. მაგ., ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე აღინიშნა, რომ ამ დაწესებულებების მიერ მიღებული მთელი რიგი კონვენციები დღემდე არ არის დამტკიცებული, არამც თუ განხორციელებული არც ერთ სახელმწიფოს მიერ. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას ვერ შესცვლის ერთა ლიგის საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც სურვილია გამოთქმული ამ კონვენციების რატიფიკაციის დაჩქარების შესახებ: სურვილი ცარიელ სურვილად დარჩება; კიდეც რომ მოხდეს ხსენებულ კონვენციების დამტკიცება, მათი განმახორციელებელი არავინ იქნება.

კაპიტალისტურ ქვეყნების გართულებული ურთიერთობა ხასიათდება არა მარტო უშიშროების კომიტეტში აღმოცენებულ უთანხმოებით. არის მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელნიც ააშკარავებენ მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ზოგიერთი მათგანი განსახილველად დასმულია ერთა ლიგის ეხლანდელ სესიაზე. ასეთია, მაგალითად, სენ-გოტარდის ინციდენტი, რომელიც მდგომარეობს იტალიიდან ჰუნგრეთში კონტრაბანდით იარაღის გაგზავნის აღმოჩენაში. მცირე ანტანტამ, როგორც ვიცით, ამის გამო ნოტით მიმართა ერთა ლიგას, რომ უკანასკნელმა გამოიკვლიოს ეს შემთხვევა, რომელიც არღვევს ტრიანონის ხელშეკრულებას: ამ ხელშეკრულებით ჰუნგრეთს წართმეული აქვს შეიარაღების უფლება. იტალია დაინტერესებულია, ინციდენტის მიფუჩეჩებაში და ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხსენებული იარაღი მის მიერაა გაგზავნილი, რის გამო ის პასუხისმგებელი ხდება აღნიშნულ ხელშეკრულების დარღვევისათვის, რომელზედაც მასაც უწერია ხელი; მეორეც იმიტომ, რომ ჰუნგრეთი მისი მოკავშირეა და მისი საშუალებით ის ცდილობს დაანგრიოს საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფი მცირე ანტანტა და საფრანგეთის ხარჯზე გაბატონდეს ბალკანეთში. სენ-გოტარდის ინციდენტის მიჩქმალვას ცდილობს ინგლისიც, როგორც იტალიის მოკავშირე და საფრანგეთის მოწინააღმდეგე. ამით აიხსნება, რომ ჰუნგრეთის მთავრობას „გაბედულად" უჭერია თავი და ის არ სცნობს ერთა ლიგის უფლებას სენ-გოტარდის ინციდენტთან დაკავშირებით ჩაერიოს მის საქმეებში. მუსოლინის უკანასკნელმა გამოსვლამაც, თუმცა ის ავსტრიის წინააღმდეგაა მიმართული, უნდა დაუმტკიცოს მცირე ანტანტის ქვეყნებს და ერთა ლიგასაც, რომ „დიდ" ფაშისტურ იტალიასთან „ხუმრობა" სახიფათოა და რომ ის არ დაუშვებს—ერთა ლიგა მუსოლინის მთავრობის მოქმედებას კრიტიკულად შეეხოს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სენ-გოტარდის საკითხი არსებითად გადაუჭრელი დარჩება და საფრანგეთი ამ შემთხვევაში ვერ მოახერხებს მის გამოყენებას თავისი მიზნებისათვის.

ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე კვლავ წამოიჭრა პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულების საკითხი. ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიამ დაავალა ორივე მხარეს უშუალო მოლაპარაკებას შესდგომოდნენ ურთიერთობის მოსაგვარებლად, ხოლო თვითონ კი ვერ შესძლო მათ შორის რაიმე შეთანხმების მიღწევა. ეს დადგენილება არ იქნა განხორციელებული, უმთავრესად პოლონეთის პოლიტიკის გამო, რომელსაც ის დღემდე აწარმოებს ლიტვის მიმართ. მდგომარეობა აღმოსავლეთ-ევროპაში ისევ რთულია და პოლონეთის მხრივ ლიტვაზე თავდასხმის შესაძლებლობა არ არის აცილებული. გამონახავს კი ერთა ლიგის საბჭო საშუალებას, რომ პოლონეთ-ლიტვა შეარიგოს ორივესათვის მიმღებ პირობებში? რა თქმა უნდა, არა. თუ რაიმე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ეს ან მიმართული იქნება ლიტვის წინააღმდეგ, რამდენადაც პოლონეთს ლიგაში ემხრობიან უკანასკნელის ხელმძღვანელი სახელმწიფოები, რომელნიც საბჭოთა კავშირის გარემოცვის მიზნით დაინტერესებული არიან პოლონეთის გაძლიერებით, ან კიდევ ეს გადაწყვეტილება ისეთი ზოგადი ხასიათის იქნება, რომ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელი დარჩება.

ერთა ლიგის საბჭოს სესიები ჩვეულებრივ საყურადღებოა არა იმდენად იმ საკითხებით, რომლებიც მათ დღის წესრიგში ოფიციალურად დგანან, და არა მათ სესიების საჯარო სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, არამედ იმ ფარული მოლაპარაკებებით, რომელიც სესიების დროს ჟენევაში შეკრებილ დიპლომატებ შორის წარმოებს. ასეა ამ შემთხვევაშიც. ჟენეველ „მშვიდობის მოყვარულთა" თავსამტვრევ საკითხს დღეს უეჭველად წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის კონვენციის პროექტი განიარაღების შესახებ. განიარაღების უკანასკნელ სესიაზე იმპერიალისტები შეეცადნენ ამხ. ლიტვინოვის დეკლარაციისათვის გვერდი აევლოთ. ეს მათ ვერ მოახერხეს და ისინი ბოლოს იძულებული შეიქნენ დათანხმებული ყოფილიყვნენ, რათა ჩვენი წინადადება შეეტანათ 15 მარტისათვის მოწვეულ განიარაღების სესიაზე. იმპერიალისტები ეხლა იმუშავებენ საერთო ტაქტიკას, რომ ამა თუ იმ სახით უარყონ საბჭოთა კონვენციის პროექტის განხილვა. სხვა რამე არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ ამით მსოფლიო ყაჩაღები მხოლოდ თავის ნამდვილ ზრახვებს ააშკარავებენ ფართო მასების წინაშე, სახელდობრ, იმას, რომ მათი ლაპარაკი განიარაღებისა და მშვიდობიანობის უშიშროებაზე მხოლოდ თვალთმაქცობაა შეიარაღების გაძლიერებისა და ახალ ომების მოსამზადებლად, რაც იმპერიალისტების პოლიტიკის და საქმიანობის მთელ შინაარსს წარმოადგენს.

ჟენევაში დაიხურა უშიშროების კომიტეტის სესია

უნგრეთის ფარული შეიარაღების საკითხი ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

იმპერიალისტები ცდილობენ განიარაღების საბჭოთა კონვენციის დასამარებას

ლაყბობა განიარაღების შესახებ

საერთო ტაქტიკა?

ჟენევა, 7 მარტი. ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, რომ განიარაღების კომიტეტის სესია მეტად არახანგრძლივი იქნება.

საბჭოს სესიაზე ჩამოსულ გარეშე საქმეთა მინისტრების მონაწილეობით სწარმოებს გაცხოველებული მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ შემუშავებულ იქნეს საერთო ტაქტიკა განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის მიმართ. საკმაოდ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ თითქოს მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რათა მოკლე კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღოს რეზოლუცია, რომელიც „არა დისკუტაბელურად" სცნობს საბჭოთა პროექტს. ეს რეზოლუცია, თითქოს, უნდა შეიტანოს და დაასაბუთოს იაპონიის დელეგატმა.

ფიქრობენ, რომ ეს რეზოლუცია მიღებულ იქნება ყველა ხმებით საბჭოთა დელეგაციის ხმების წინააღმდეგ. განიარაღების საკითხების განხილვა მოხდება საბჭოს შემდგომ სესიაზე, რომელშიაც, როგორც ფიქრობენ, საბჭოთა დელეგაცია არ მიიღებს მონაწილეობას.

არ შეიძლება დანამდვილებით თქმა იმის, რომ ეს ცნობები სწორია.

სესია დაიხურა

ჟენევა, 7 მარტი. შესდგა უშიშროებისა და არბიტრაჟის კომიტეტის უკანასკნელი სხდომა. სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებული მთელი რიგი კონვენციები და რეზოლუციები უკამათოდ იქნა მიღებული. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ კომიტეტის სესიის შემდეგი სხდომა მოწვეულ იქნას არა უგვიანეს ივნისისა. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

დეკლარაცია სენ-გოტარდის ინციდენტის გარშემო

ჟენევა, 7 მარტი. 7 მარტს ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომაზე, საბჭოს წევრების გარდა მონაწილეობას იღებდენ ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის და უნგრეთის წარმომადგენლები. ტიტულესკუმ მცირე ანტანტის სახელით წაიკითხა დეკლარაცია სენ-გოტარდის ინციდენტის გარშემო. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები, რომელთაც დასვეს საკითხი ერთა ლიგაში, სთვლიან რომ სენ-გოტარდის ინციდენტი, არამც თუ ეხება მცირე ანტანტის ქვეყნებს, არამედ მას აქვს აგრეთვე პრინციპიალური მნიშვნელობა და საერთო ინტერესი.

შემდეგ გამოვიდა უნგრეთის წარმომადგენელი ტანცოში, რომელსაც, ერთა ლიგის სხდომებზე არსებულ ტრადიციების წინააღმდეგ, სიტყვას აწყვეტინებდა ირონიული შენიშვნებით ბრიანი. ტანცოში შეეხო სენ-გოტარდის ინციდენტის წარმოშობას და აღნიშნა, რომ უნგრეთის მთავრობის მოქმედება სავსებით კანონიერი იყო.

საბჭომ, ჩემბერლენის წინადადებით, იარჩია კომისია სენ-გოტარდის ინციდენტის გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან ჰოლანდიის, ფინეთის და ჩილის წარმომადგენლები (ადს).

დეპეშების გაცვლა ვოლდემარასსა და ვან-ბროკლანდს შორის

კოვნო, 7 მარტი. ლიტვის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს დეპეშებს, რომლებიც გაუგზავნეს ერთი მეორეს ლიტვის პრემიერმა ვოლდემარასმა და ჰოლანდიის დელეგატმა ერთა ლიგაში ვან-ბროკლანდმა, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოსგან სასწრაფოდ შეადგინოს მოხსენება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.

ბროკლანდის დეპეშაში არის შეკითხვა—სურს თუ არა ლიტვის მთავრობას ისარგებლოს თავისი უფლებით და გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე?

საპასუხო დეპეშაში ვოლდემარასი სწერს: „დეკემბრის რეზოლუციაში არ არის გათვალისწინებული ისეთი ორგანოს დაარსება, რომელიც თვალყურს ადევნებდა რეზოლუციის განხორციელებას და ინფორმაციას მიაწვდიდა საბჭოს. ამიტომ ერთა ლიგის საბჭოს მიერ წამოყენებული საკითხი არ შეიძლება დაისვას დღის წესრიგში, თუ ანგარიშს გაუწევთ პროცედურის დაწესებულ ჩარჩოებს. თუმცა ლიტვის მთავრობას სურს, რომ ერთა ლიგის საბჭოს მიეცეს ინფორმაცია მისი რეზოლუციის განხორციელების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ აქვს შესაძლებლობა უარი სთქვას საბჭოში თავისი წარმომადგენლის გაგზავნის უფლებაზე, და ამიტომ იძულებულია ითხოვოს ჩვეულებრივი პროცედურის გამოყენება, მით უმეტეს, რომ შეუძლებელია ასე მოკლე ხნის განმავლობაში მოეწყოს საბჭოს მიმდინარე სესიაზე გამგზავრება ჟენევაში" (ადს).

სამართლიანობის დასაცავად

ვაშინგტონი, 7 მარტი. წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ უარჰყო რეზოლუცია, რომელშიაც პალატას წინადადება ეძლეოდა გამოეთქვა აზრი წყალქვეშა ნავების გაუქმების სასარგებლოდ. კომისიის თავმჯდომარემ იმით დაასაბუთა რეზოლუციის უარყოფის საჭიროება, რომ ეს „უსამართლობა იქნებოდა საფრანგეთისა და იტალიის მიმართ", ვინაიდან წყალქვეშა ნავების გაუქმება კიდევ უფრო გააძლიერებს ინგლისისა და იაპონიის ფლოტს საფრანგეთისა და იტალიის ფლოტთან შედარებით. (ადს).

„ზინოვიევის წერილის" გარშემო

ლონდონი, 7 მარტი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციიდან მომავალ კამათში „ზინოვიევის წერილის" გარშემო გამოვლენ **მაკდონალდი, ტომასი**, და **მექსტონი**. რეაქციონური „მორნინგ პოსტ"-ი ცდილობს სასაცილოდ აიღოს მუშათა პარტიის ცდები, რომლებიც მიმართულია „ზინოვიევის წერილის" გამოჩენის ყველა გარემოებათა გაშუქებისაკენ და ამიტომ ამ ორატორებს უწოდებს „ხამ სოციალისტურ მუშკეტერს".

კამათის დღე ჯერ კიდევ არ არის დანიშნული მთავრობის მიერ.

„დეილი მეილ"-ი ბეჭდავს მაკდონალდის ნოტას რაკოვსკისადმი და დასძენს ასეთ შენიშვნას:

„მაკდონალდმა თითონ განაცხადა, რომ მან ნოტას ბევრად უფრო ენერგიული კილო მისცა, ვიდრე ეს ჰქონდა მას გარეშე საქმეთა სამინისტროს მუდმივ თანამდებობის პირების მიერ შედგენილი პირვანდელ რედაქციაში".

„მანჩესტერ გარდიენ"-ში გამოქვეყნებულია ლიბერალურ პაციფისტ პროფესორ **სლეიტერის** წერილი.

„ეხლა აშკარაა,—სწერს სლეიტერი,—რომ სამინისტრო შეცდომაში შეიყვანა „ზინოვიევის წერილის" შესახებ იმ ინსტანციამ, რომელსაც სამინისტრო სავსებით ენდობოდა ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: ამნაირადვე ხომ არ მოსტყუვდა და შეცდა სკოტლენდ-იარდის განსაკუთრებული განყოფილება, როდესაც საჭიროდ ჩასთვალა ჩხრეკის მოხდენა არკოსში? იბადება კითხვა—ორივე ეს არამზადული საქმე ერთმა და იმავე ინსტანციამ ხომ არ ჩაიდინა, და თუ ეს ასეა, რას წარმოადგენს ეს ინსტანცია? ვინ ამოძრავებდა მარიონეტებს და რა მიზნით? განაგრძობენ თუ არა ამ მახინაციების მკეთებელნი ასეთი ხასიათის საქმიანობას?" (ადს).

კანონპროექტი ნავთის შესახებ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 7 მარტი. დეპუტატთა პალატის სხდომაზე გრძელდებოდა ნავთის შემოზიდვის კანონპროექტის განხილვა. რადიკალ-სოციალისტმა **მარზენმა** წამოაყენა კონტრ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნავთის მონოპოლიის შემოღებას. მარგენი აკრიტიკებდა მთავრობის პროექტს, რომელიც მისი აზრით შეუძლია ხელი შეუწყოს ნავთით მოვაჭრე დიდი ტრესტების პოზიციების განმტკიცებას.

საპასუხოდ გამოსულმა ვაჭრობის მინისტრმა **ბოკანოვსკიმ** განაცხადა, რომ საფრანგეთის და უცხოეთის დაინტერესებული წრეები შეთანხმდნენ მთავრობის კანონპროექტის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, ბოკანოვსკიმ დასვა საკითხი ნდობის შესახებ. მარგენის კონტრ-პროექტი უარყოფილ იქნა. პალატამ აგრეთვე უარჰყო სოციალისტების კონტრ-პროექტიც, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებდა მონოპოლიის შემოღებას" (ადს).

კომუნისტი პიკემალი ამხელს მსოფლიო ნავთის ტრესტების მახინაციებს

პარიზი, 7 მარტი. დეპუტატთა პალატაში განხილულ იქნა მთავრობის კანონპროექტი ნავთის შეტანის წესის შესახებ. რადგან პარლამენტის გარეშე საქმეთა და სამხედრო-საზღვაო კომისიები მიემხრენ მთავრობის კანონპროექტს, პალატაში შეიქმნა მთავრობის კანონპროექტის სასარგებლო განწყობილება. ამიტომ ნავთის მონოპოლიის მომხრენი შეეცადენ მიეღწიათ იმისათვის, რომ საკითხის განხილვა გადადებულიყო ახალი შემადგენლობის პალატის მოწვევამდე. მაგრამ პალატამ უარჰყო წინადადება, რომელიც მოითხოვდა კანონპროექტის განხილვის გადადებას.

კამათის დროს გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი პიკემალი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობის კანონპროექტი საფრანგეთს აქცევს უცხოეთის ტრესტების და ბანკების გავლენის ქვეშ. პიკემალმა აღნიშნა რა აგრეთვე საფრანგეთის სრული დამოკიდებულება ინგლისისა და ამერიკისაგან ომის დროს, განაცხადა, რომ ნავთის ტრესტები იბრძვიან საფრანგეთში ნავთის მონოპოლიის შემოღების წინააღმდეგ და ზეგავლენას ახდენენ ბრიანზე.

ნავთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბარონმა გააკრიტიკა რა მთავრობის კანონპროექტი, მწუხარება გამოსთქვა, რომ მთავრობამ საფრანგეთში ნავთის შემოტანის საკითხით არ ისარგებლა რუსეთის ძველი ვალების საკითხის მოგვარებისათვის. „თქვენ გაქვთ შემთხვევა, — სთქვა ბარონმა, — დაამყაროთ კავშირი რუსეთის ნავთის სინდიკატთან, რომელიც ასაღებს რუსეთის ნავთის სარეწაოების პროდუქციას, და აგრეთვე საფრანგეთის თხელ სათბობის ნაციონალურ ბიუროსთან, რომელიც საფრანგეთის სახელმწიფოსაგან მიიღებს თანხებს ნავთის გაწმენდის მოწყობისათვის. რუსეთის ნავთი მოგვცემს საშუალებას დამოუკიდებელი ვიყოთ ინგლისის და ამერიკის პრეტენზიების წინაშე".

ვაჭრობის მინისტრმა ბოკანოვსკიმ ბარონის საპასუხოდ განაცხადა, რომ მთავრობის კანონპროექტი განსაზღვრავს ნავთის იმ რაოდენობას, რომელიც ყოველ იმპორტიორს შეუძლია შეზიდოს საფრანგეთში. ეს რაოდენობა ყოველ შემთხვევაში არ არის იმ საშუალო წლიურ რაოდენობაზე ნაკლები, რომელიც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შეჰქონდა ამ იმპორტიორს საფრანგეთში. კანონპროექტი არ ეხება შეტანილი ნავთის წარმოშობის საკითხს, — თუ საფრანგეთის იმპორტიორებს ხელშეკრულება აქვთ რუსეთთან, მათ შეუძლიათ რუსეთის ნავთის შემოტანა. კამათის შემდეგ დეპუტატთა პალატამ მთავრობის კანონპროექტი მიიღო 335 ხმის უმრავლესობით 185 ხმის წინააღმდეგ (ადს).

საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულება

არბიტრაჟის შესახებ

ვაშინგტონი, 7 მარტი. სენატმა დაამტკიცა საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულება არბიტრაჟის შესახებ (ადს).

რეფორმისტები მორიგ ღალატს ამზადებენ

ლონდონი, 7 მარტი. მანჩესტერში შესდგა ფეიქართა პროფკავშირების და ქაღალდის მრეწველობის მწარმოებელთა წარმომადგენლების თათბირი: თათბირის მიზანი იყო განეხილა „ქაღალდის მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის" საკითხი. გადაწყვეტილება ასეთი გამოკვლევის მოხდენის შესახებ მიღებულ იქნა საერთო თათბირზე, რომელიც ორი კვირის წინედ გაიმართა იმის გამო, რომ მწარმოებლებმა მოითხოვეს სამუშაო ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გადიდება. პროფკავშირთა წარმომადგენლები თუმცა არ ილაშქრებოდნენ მწარმოებელთა მოთხოვნილებების წინააღმდეგ, მაგრამ დასთანხმდნენ „ქაღალდის მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევაზე", რათა გამოერკვიათ, „არსებობს თუ არა აუცილებლობა" იმისა, რომ საწარმოო ხარჯები შემცირდეს სამუშაო ხელფასის ხარჯზე და სამუშაო დღე გადიდებული იქნეს. ამგვარად, პროფკავშირთა წარმომადგენლები ვითომ უარჰყოფდენ მწარმოებელთა მოთხოვნილებებს, მაგრამ ნამდვილად კი ეთანხმებოდნენ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მანჩესტერში გამართული თათბირი სავსებით მოუნდა ამ გაერთიანებული კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვას. მწარმოებლები მოითხოვდენ, რომ კომისია შემდგარიყო მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებელთა და პროფკავშირთა წარმომადგენელთაგან, პროფკავშირთა წარმომადგენლები კი მოითხოვდენ, რომ ყოველ მხარეს მისცემოდა უფლება კომისიის მუშაობაში ჩაება თავისი ბუხჰალტრები და სტატისტიკოსები, და რომ კომისიის მეთაური ყოფილიყო „ნეიტრალური თავმჯდომარე". მწარმოებლები გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ „გარეშე პირთა შეყვანას" კომისიაში. შეთანხმება არ მოხდა, მოლაპარაკება შესწყდა. ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ პროფკავშირთა წარმომადგენლები თავის მოთხოვნილებებს აყენებდნენ მასების ზეგავლენით, რომელნიც მკაცრ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ რეფორმისტები მზად იყვნენ დათანხმებულიყვნენ დათმობებზე სამუშაო ხელფასის და სამუშაო დღის საკითხში. (ადს).

პროფბიუროკრატები უკან იხევენ

ნიუ-იორკი, 7 მარტი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის კომპანიამ ისევ უარყო რეფორმისტულ პროფკავშირის წინადადება არბიტრაჟის შესახებ და უარი განაცხადა კავშირის დათხოვნილ წევრთა უკან მიღებაზე. მიუხედავად ამისა, პროფკავშირის ხელმძღვანელებმა ისევ უარჰყვეს გაფიცვის გამოცხადება.

ეს მესამე უკან დახევა მოწმობს, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელებს არ სურთ გაფიცვა. პირველ ულტიმატუმში კავშირი იმუქრებოდა გაფიცვის გამოცხადებით, თუ დათხოვნილები დაუყოვნებლივ არ იქნებოდნენ მიღებული უკან. მწარმოებლებმა უარი განაცხადეს. კავშირის ხელმძღვანელებმა გადასდეს გაფიცვა და წამოაყენეს წინადადება სამედიატორო სასამართლოს დანიშვნის შესახებ. მწარმოებლებმა უარყვეს ეს წინადადება, უარი განაცხადეს მოლაპარაკებას წარმოებაზე პროფკავშირთან და დაემუქრნენ პროფკავშირს, რომ დაითხოვდენ კავშირის ყველა წევრებს. მეტროპოლიტენის კომპანია განაგრძობს მზადებას გაფიცვისათვის, ასწავლის შტრეიკბრეხერებს და აშკარად იმუქრება, რომ დაარღვევს პროფკავშირს. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გრინი და მეტროპოლიტენის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელნი ბოლოს და ბოლოს, როგორც სჩანს, გასწირავენ დათხოვნილ მუშების ინტერესებს. (ადს).

ინგლისი და ეგვიპტე

ინგლისი იმუქრება

ლონდონი, 7 მარტი. ინგლისის უზენაესმა კომისარმა ეგვიპტეში ლორდმა ლოიდმა ჩააბარა ეგვიპტის პრემიერ სარვატ-ფაშას ნოტა იმ კანონის გამო, რომელიც მიიღო ამას წინად ეგვიპტის პარლამენტმა და რომელიც ეხება საზოგადოებრივ კრებების წესრიგს. ნოტა აუქმებს მიღებულ კანონს, ვინაიდან ინგლისის მთავრობის აზრით, ის ართმევს ეგვიპტის მთავრობას საშუალებას დამაკმაყოფილებლად დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და უცხოელ ქვეშევრდომთა სიცოცხლე და საკუთრება.

ეგვიპტის მინისტრთა საბჭომ, რომელიც შეიკრიბა ნოტის გასარჩევად, გადასწყვიტა, რომ მას არ შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, ვინაიდან სარვატ-ფაშას კაბინეტი, რომელსაც ჩაბარდა ნოტა, უკვე გადადგა. (ადს).

ნაკლულოვანებანი საგაზაფხულო თესვის კამპანიის გატარებაში

საგაზაფხულო კამპანიას წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ სოფლად გამწვავდა ბრძოლა კულაკთან, რომელიც ცდილობდა ჩაეშალა პურის დამზადება და პურის ფასების პოლიტიკა, და ეხლა კი ცდილობს ჩაშალოს თესვის კამპანია. ნაკლულოვანებანი ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოების მუშაობაში, რომელნიც ნათლად გამოაშკარავდა პურის დამზადების კამპანიის გატარების პროცესში, ნაწილობრივ თავს იჩენს თესვის კამპანიის გატარებაშიაც. მაგრამ თუ პურის დამზადების დარგში ჩვენ გვქონდა ერთგვარი ვადები ბრძოლისათვის ჩვენი ხაზის გამოსასწორებლად, დასამზადებელი მუშაობის სხვადასხვა ორგანიზაციული და ტეხნიკური დეფექტებთან ბრძოლისათვის, და ამიტომ შეგვეძლო თავის დროზე მიგვეღწია გადამჭრელი გარდატეხისათვის პურის დამზადებაში,— სამაგიეროდ საგაზაფხულო კამპანია თავისი ხასიათით არის იმდენად ხანმოკლე საქმე, რომ აქ თავიდანვე აუცილებელია დაუნდობლად გავაჩაღოთ ბრძოლა ყველა ნაკლულოვანებებთან, დაუდევრობასთან, გულგრილობასთან და სხ., განსაკუთრებით კლასიური ხაზის დამახინჯებასთან.

ნაკლულოვანებანი კი უკვე არსებობს: ამ ნაკლულოვანებებს გაზეთები დღითი-დღე აღნიშნავენ. ყველაზე უფრო მეტი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ კამპანიაში, მთელ რიგ შემთხვევებში არ უწევს ანგარიშს სათანადო წინააღმდეგობას კულაკს, რომელიც ცდილობს ასე თუ ისე, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ჩაშალოს საგაზაფხულო კამპანია თავისი საგაზაფხულო ნათესის შემცირებით. კულაკის ამ მისწრაფების წინააღმდეგ შეიძლება ვიბრძოლოთ შემდეგი საშუალებით: მაქსიმალური მობილიზაცია უნდა მოუხდინოთ სოფლის ღარიბ და საშუალო ელემენტებს, რომელთაც უნდა გააფართოვონ თავისი ნათესის სივრცე და ამით დაფარონ დანაკლისი. მაგრამ ამისათვის საჭიროა მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა განსაკუთრებით ღარიბთა და კოლექტიურ მეურნეობათათვის.

ამავე დროს, მთელი რიგი ადგილებიდან იუწყებიან, რომ სათანადო ადგილობრივი ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამას, სათესლე მასალის სისწორით და თავის დროზე განაწილებას, ღარიბთათვის კრედიტების თავის დროზე მიწოდებას, საჭირო მიწების გადაცემას, მანქანების, სასუქის და სხ. თავის დროზე მიწოდებას მთესველთათვის. საქმე იქამდეც კი მიდის, მაგალითად, რომ ღარიბი გლეხი კულაკისაგან ყიდულობს მანქანას მეტად სამძიმო პირობებში, რის შესახებაც პრესაშიაც არის მოთავსებული ცნობა. მეორე კორესპონდენცია იუწყება, რომ დნეპროპეტროვსკინაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მანქანების განაწილების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამხანაგობათა სოციალურ შემადგენლობას და ხშირად ღარიბ გლეხობას სავსებით მიუღებელ პირობებს უყენებს. არის აგრეთვე მთელი რიგი ცნობები ადგილებიდან, რომელნიც მოწმობენ ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების გულგრილობას, დაუდევრობას სათესლე მასალის მთესველთათვის მიწოდების საქმეში. კოლექტიურ მეურნეობათა ადგილობრივი ყრილობები აღნიშნავენ მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომელნიც დგანან კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გზაზე საერთოდ და საგაზაფხულო კამპანიის გატარების დარგში კერძოდ; ამასთანავე ამ დაბრკოლებებს უმთავრესად ჰქმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც თავის საკუთარ სარგებლიანობას მისდევს და სათანადო დახმარებას არ უწევს კოლექტიურ მეურნეობებს. „კოლხოზცენტრის" წარმომადგენელმა, „კოოპერატივნაია ჟიზნი"-ს ცნობით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთან არსებულ კომისიაში განაცხადა, რომ მისი ცნობებით, 1.936 ტრაქტორიდან, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით გაიგზავნა უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობათათვის მისაწოდებლად, ნამდვილად კოლექტიურ მეურნეობებმა მიიღეს მხოლოდ 50 პროც. მანვე განაცხადა, რომ შეღავათებს მანქანების მიწოდების დარგში ყველგან არ აძლევენ, ხოლო კრედიტების სასწრაფოდ გამოყენების აუცილებლობა კოლექტიურ მეურნეობათათვის ქმნის დაბრკოლებას იმ მხრივ, რომ ბანკები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი კრედიტების გაცემის დროს მოითხოვენ კოლექტიურ მეურნეობათა საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების წარდგენას.

ამგვარი ცნობები, თუმცა უმეტეს ნაწილად ეხება ცალკე შემთხვევებს, მაგრამ მაინც მოითხოვს ჩვენგან დაუყოვნებლივ მივაქციოთ დიდი ყურადღება იმ ადგილობრივ ორგანოებს, რომელნიც ატარებენ საგაზაფხულო თესვის კამპანიას; განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქვედა-საფეხურის ქსელს, რომელიც თავის მუშაობაში ხშირად ამახინჯებს კლასიურ ხაზს სოფლად.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩაშლის მეორე საშიშროება მდგომარეობს საშუალებათა დაგვიანებით განაწილებაში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქის და თესლის დაგვიანებით განაწილებაში, რაშიაც მცირე დანაშაული არ მიუძღვის სათანადო ცენტრალურ ოპერატიულ ორგანოებს, ბანკებს, და აგრეთვე ზოგიერთ მომწესრიგებელ ორგანოებს, მაგრამ არა ნაკლებად არიან დამნაშავე ადგილობრივი ორგანოები, რომლებზედაც არის დამოკიდებული, როგორც ფინანსიური, ისე მატერიალურ საშუალებათა რაც შეიძლება სწრაფად გადაცემა მთესავებისათვის. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ცნობები ყოველგვარ შეფერხებათა შესახებ მიწოდებაში, გვაქვს ცნობები, რომ თესლი იმ სადგურებზე არ მიდის, სადაც მას მელიან, რომ სათანადო ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტრესტები თავის დროზე არ გზავნიან მანქანებს, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოზიდული მანქანები, მაგალითად, ავსტრიაში შეძენილი ტრიერები, დაგვიანებით მოდის, რომ ძლიერ ხშირად თესლი სველი და დაობებულია.

რიაზანში ხლებცენტრმა გაგზავნა ერთი ვაგონი სათესლე შვრია 49 მისხლის ნატურით, მეორე ვაგონი— 58 მისხლის, მესამე —65 მისხლის, ამ თესლის სიწმინდე გამოიხატებოდა 82-დან 91 პროცენტამდე, ე. ი. ეს მასალა სრულიად უვარგისი იყო სათესლედ. ამის მსგავსი ფაქტების შესახებ იუწყებიან სამეურნეო მუშათა და გლეხთა ინსპექციები ორენბურგიდან და სმოლენსკიდან. იმ ორგანოების სისტემა, რომლების საშუალებით ტარდება სათანადო ფულადი ასიგნობები და მატერიალური საშუალებები, იმდენად უხეშია, იმდენად ნელა მოქმედებს, რომ ძლიერ ხშირად საჭირო ხდება მთავრობის განკარგულებათა დაყენება განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ, რათა ეს განკარგულებები თავის დროზე შესრულდეს. ასე, მაგალითად, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა (როსსელბანკი) არ შეასრულა მთავრობის ორგანოების განკარგულება კრედიტების გახსნის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის მიმდინარე თესვის კამპანიაში თესლის გამწმენდი 2.000 პუნქტის მოსაწყობად. ეს განკარგულება ბანკმა შეაფერხა იმის გამო, რომ ის შეეკითხა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ადგილობრივ ამხანაგობებს. მოაწერენ თუ არა ისინი ხელს საკრედიტო ხელშეკრულებებს. ეს გაჭიანურდა ორი თვე და შეიძლება უფრო დიდხანს გაჭიანურებულიყო, რომ საქმეში არ ჩარეულიყვნენ უმაღლესი ორგანოები, რომლებმაც უბრძანეს ბანკს დაუყოვნებლივ გაეხსნა სათანადო კრედიტი. იმავე როსსელბანკმა 2 მარტამდე არ შეასრულა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 28 იანვრის დადგენილება კრედიტების მიწოდების შესახებ ღარიბ გლეხობის მეურნეობებისათვის საჭირო მუშა საქონლის შესყიდვის საქმისათვის. მაგრამ თუ კრედიტები გაწერილია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ფული ნამდვილად არის მიცემული: მთელ რიგ ადგილებში კრედიტი გახსნილია მხოლოდ იმ თანხების ანგარიშზე, რომლებიც უნდა შემოვიდეს სათანადო ამხანაგობაში და რომლებიც ყოველთვის არ შემოდის თავის დროზე. ამიტომ თვითეულ კერძო შემთხვევაში თვით ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები სათანადო კრედიტების ნამდვილად გახსნისათვის განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობის და კოლექტიურ მეურნეობათა სასარგებლოდ; მათ უნდა შეაფუცხუნონ ისინი, ვინც თავის დროზე არ იხდის ძველ სესხს, განსაკუთრებით ისინი, ვისაც შეუძლია გადახდა, მაგრამ არ იხდის ბოროტი ზრახვების გამო.

კარტოფილის კონტრაქტაციის დარგში მიმდინარე წელში, ისე როგორც წარსულში, ადგილი აქვს სამი ორგანიზაციის — საკრედიტო კავშირის, სპირტის ტრესტის და სელტრესტის შეუთანხმებლობას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაატაროს კონტრაქცია ადგილობრივ. ამის გამო კონტრაქტაცია იმყოფება ჩაშლის მუქარის ქვეშ.

ასეთი მოვლენები სრულიად დაუშვებელია. საგაზაფხულო თესვის კამპანია, განსაკუთრებით სამხრეთის რაიონებში, სადაც თესვა იწყება უახლოეს დღეებში და კვირეებში, უნდა ჩატარდეს ენერგიულად და სასწრაფოდ ადგილობრივ ორგანოების მთელი სისტემის მწყობრი მონაწილეობით. პარტიულმა და საკონტროლო ორგანოებმა, აგრეთვე პრესამ და მთელმა საზოგადოებრიობამ, ყურადღებით უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ ყოველგვარმა გაჭიანურებამ, ორგანიზაციულმა დეფექტებმა, გამანაწილებელ ორგანოების მოუხეშავობამ და სხვ. არ შეაფერხოს ეს საქმე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას თვით სოფლის საზოგადოებრივ ძალების მობილიზაციის საშუალებით, ისე როგორც მოხდა ეს პურის დამზადების დროს. წარმოუდგენელია ასეთი კამპანიის ჩატარება, თუ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო თვით გლეხობამ. გლეხობის აქტივიზაცია კი განსაკუთრებით დიდი იქნება, თუ ეს მონაწილეობა მიმართული იქნება კლასობრივ ბრძოლის ხაზით, პირდაპირი შეტევის ხაზით ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულ კულაკის და მის აშკარა დამქაშების წინააღმდეგ.

„პრავდა".

კომინტერნის მეექვსე კონგრესი

მოსკოვი, 8 მარტი. კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმმა დაადგინა, მიმდინარე წელში მოსკოვში მოიწვიოს კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 მსოფლიო კონგრესი.

დღის წესრიგი: კომინტერნის აღმასკომის ანგარიში, ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიის ანგარიში, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ანგარიში, კომინტერნის პროგრამა, იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის ზომების შესახებ, კოლონიების რევოლიუციონურ მოძრაობის საკითხები, საბჭოთა კავშირის და საკავშირო კომპარტიის (ბ) მდგომარეობა, არჩევნები.

პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს დანიშნოს მომხსენებლები დღის წესრიგის საკითხებზე და გამოარკვიოს საპროგრამო კომისიის შემადგენლობა.

უფრო მჭიდრო კავშირის შესაქმნელად კომინტერნის აღმასკომსა და კომინტერნის დასავლეთ-ევროპის სექციებს შორის პლენუმმა დაადგინა დაავალოს პრეზიდიუმს კომინტერნის აღმასკომის ბიუროს შექმნა დასავლეთ ევროპაში. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის ფინანსიური ანგარიში

მოსკოვი, 8 მარტი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა დაამტკიცა კომინტერნის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი 1927 წლის ფინანსიური ანგარიში და დაადგინა გამოაქვეყნოს იგი.

ანგარიშის თანახმად შემოსავალი უდრიდა 1.375.000 მანეთს, აქედან: ნაშთი 1927 წლის 1 იანვრისათვის—17.000 მანეთამდე, საწევრო გადასახადები—ანარიცხები კომინტერნის 44 სექციიდან სექციების 1.708.000 წევრზე— 1 მილიონ მანეთზე მეტი (ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელშიაც ითვლება 2 მილიონზე მეტი წევრი, განთავისუფლებულია კომინტერნის საწევრო გადასახადიდან, 9 სექციიდან ანარიცხები არ შემოსულა), შეწირულებები — დაახლოვებით 177.000 მან. გასავალი უდრიდა 1.370.000 მანეთს, აქედან: სუბსიდიები პარტიულ გაზეთებს და გამომცემლობებს და კულტმუშაობისათვის 17 სექციას — 690.000 მანეთზე მეტი. (ადს).

ომი არაბეთში

იბნ-საუდმა ომი გამოუცხადა ირაქსა და ტრანსიორდანიას

ლონდონი, 7 მარტი. სააგენტო „ექსჩენჯ"-ის იერუსალიმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იბნ-საუდმა ომი გამოუცხადა ირაქსა და ტრანსიორდანიას. ოფიციალურად ეს ცნობა ჯერ არ დადასტურებულა. „დეილი ჰერალდ"-ი მოითხოვს, რომ მთავრობამ მისცეს პარლამენტს ახსნა-განმარტება თავის პოლიტიკის შესახებ არაბეთში, ვინაიდან მღელვარებამ ამ მხარეში შეიძლება გამოიწვიოს გართულება სპარსეთის ყურეს ფარგლების გარეთ, რამდენადაც ყველა მუსლიმანები აღტაცებით დაუჭერენ მხარს იბნ-საუდს. (ადს).

კონფლიქტი

ლატვიის პრემიერსა და პრეზიდენტს შორის

რიგა, 7 მარტი. ლატვიის პრემიერმა იურაშევსკიმ ფინანსთა მინისტრათ დანიშნა ლეპინში, ისე რომ, ეს დანიშვნა მას წინასწარ არ შეუთანხმებია კოალიციასთან. სეიმმა და პრეზიდენტმა დანიშვნის შესახებ გაიგეს მომხდარი ფაქტის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „იაუნაკას ზინია"-ში გამოქვეყნებულია პრეზიდენტის ღია წერილი იურაშევსკისადმი. წერილში ნათქვამია: „თქვენ არ ჩასთვალეთ საჭიროდ წინასწარ მოგეწოდებიათ ჩემთვის ინფორმაცია როგორც სჩანს იმ მოსაზრებით, რომ სიტყვასიტყვით იცავდით სათანადო კანონს. ეს ცალიერი ფორმალიზმია, რომელსაც მე ზედმეტად ვსთვლი. საჭიროდ სთვლით თუ არა თქვენ ამ ბიუროკრატიზმის მოსპობას შემდეგისათვის"?

გაზეთი სასტიკად ილაშქრებს ლეპინში (რომელიც ახლო ურთიერთობაშია გლეხთა კავშირთან) დანიშვნის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „ფინანსთა სამინისტრო მოექცევა გლეხთა კავშირის ხელში". (ადს).

როგორ „გაიმარჯვეს" პილსუდსკის მომხრეებმა

ვარშავა, 7 მარტი დღემდე საბოლოოდ არაა გამოქვეყნებული, თუ რამდენი ხმა მიიღეს პარტიებმა სხვადასხვა ოლქებში. კოველში 62.000 ხმის მიმცემიდან 28.000 ხმა მისცა მუშურ-გლეხური მთლიანობის გაუქმებულ № 13 სიას. თითქმის ყველა სიები, გარდა მთავრობისა, კოველში გააუქმეს, ამიტომ ხუთივე მანდატი პილსუდსკის მომხრეებს ხვდათ. არჩევნებს ყველგან ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც კოველში. ამას აღნიშნავენ მთავრობის ყველა მოწინააღმდეგენი. გაზეთების ცნობით, ლოძკის ოლქში გააუქმეს 70.000 ხმა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხმები ეკუთვნის ბელორუსთა გაუქმებულ რევოლიუციონურ სიებს. ლუცკში გააუქმეს სელრობისა და ეროვნულ უმცირესობათა ბლოკის 20.000 ხმა. ბრესტ-ლიტოვსკში გააუქმეს 10.000 ხმა. წინასწარ და არასრული ცნობების მიხედვით 14 ოლქში, სადაც მემარცხენე მუშურ-გლეხური სია არ ყოფილა გაუქმებული, მას ხმა მისცა 850.000 კაცმა. (ადს).

ინგლისის კოლონიალური პოლიტიკა

ლონდონი, 7 მრატი. თემთა პალატამ მიიღო მთავრობის კანონპროექტი ბრიტანეთის გვიანას კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. ამმონმა მუშათა პარტიის სახელით შეიტანა წინადადება უარეყოთ კანონპროექტი, რომელიც გვიანას წარმომადგენლობით დაწესებულებებს ფიქციად ხდის და ყველა მნიშვნელოვან საკითხებში ამ კოლონიას მეტროპოლიის წარმომადგენელს უმორჩილებს. მუშათა პარტიის წინადადება პალატამ უარყო.

გვიანა შედის ინგლისის ვესტ-ინდოეთის სამფლობელოებში, მისი ტერიტორია უდრის 89.000 მილს და მდებარეობს სამხრეთ-ამერიკის მატერიკის ჩრდილოეთით, ეს კოლონია ინგლისმა წაართვა ჰოლანდიას 1796 წ. (ადს).

უგეტის აფიორა

ლონდონი, 7 მარტი. [illegible] თი მთავრობის ელჩის (შეერთებულ შტატებში) ბახმეტიევის „საფინანსო ატაშემ" უგეტმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინად მოიგო საქმე რკინისგზის კომპანიის „ვალიის" წინააღმდეგ. ამერიკის ხაზინას გადასცა 785.000 დოლარი იმ 984.000 დოლარიდან, რომელიც სასამართლოს დადგენილებით კომპანია „ვალიიმ" გადაუხადა უგეტს, როგორც „რუსეთის სახელმწიფოს" წარმომადგენელს. ამერიკის ხაზინისათვის გადაცემული თანხა ჩათვლილია რუსეთის ვალების ანგარიშში. დანარჩენი 219.000 დოლარი დაიხარჯა ვექილების გასამრჯელოთ და სხვა ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო პროცესებთან. ეჭვს გარეშეა, რომ ამ თანხის ნაწილით ისარგებლა თვით უგეტმა.

ჩინეთში

„დიდი დანები"

პეკინი, 8 მარტი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, მუკდენის პროვინციაში გლეხთა ორგანიზაცია „დიდი დანები"-ს რაზმებმა სამაზრო ქალაქ დუნხუას მახლობლად დაიკავეს 2 ქალაქი. (ადს).

ლოკაუტი ინდოეთში

ლონდონი, 7 მარტი. არაკვალიფიციურ მუშების მიერ იტალიანური გაფიცვის გამოცხადების გამო სამუშაო ხელფასის მომატების მიზნით, აღმოსავლეთ-ინდოეთის რკინის გზის სახელოსნოების მუშებს ლილუაში გამოუცხადეს ლოკაუტი. (ადს).

მემამულეთა წინააღმდეგ

თეირანი, 1 მარტი. სოფელ სუტეფერეში, ფერიკენერის მახლობლად, გლეხებმა უარი განაცხადეს მიეცათ გადასახადი მემამულე ასადულა-ხანისათვის. 800 გლეხი წავიდა ბარფრუშში და საჩივარი წარუდგინა გუბერნატორს და პროკურორს. ხელისუფლებამ მიიღო მომჩივანები და აღუთქვა მათ სრული დახმარება (ადს).

აეროპლანის ჩამოვარდნა

ლონდონი, 7 მარტი. ფოლკსტონის მახლობლად ჩამოვარდა საფრანგეთის აეროპლანი 12 მგზავრით. 4 მგზავრი მსუბუქად დაშავდა. დანარჩენი მგზავრები და მფრინავი უვნებლად გადარჩნენ. კატასტროფა მოხდა აეროპლანის მარცხენა ფრთის დაზიანების გამო (ადს).

კატასტროფა მაღაროში

ბერლინი, 7 მარტი. ლიუდვიგსდორფში ვენცესლავის მაღაროში მოხდა ნახშირმჟავა გაზის აფეთქება. დაიღრჩო 6 მუშა, 18 ჩარჩა მაღაროში; მათ შორის 7 გადაარჩინეს და მოასულიერეს, დანარჩენების ბედი გამოურკვეველია (ადს).

მიწისძვრა

რომი, 7 მარტი. კალაბრიაში და სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე (იტალია) ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწის ძვრას. მოსახლეობა გამოვიდა სახლებიდან. მიწის ძვრის ადგილზე გაემგზავრენ ხელისუფლების წარმომადგენლები (ადს).

ფაშისტების მოთხოვნილება

ტოკიო, 7 მარტი. 5 მარტს ფაშისტური ორგანიზაციის 100 წევრი მივიდა პრემიერ ტანაკას სასახლეში და მოითხოვა მემარცხენე ცენტრისტულ, მუშურ-გლეხური პარტიისა და როდო მინტოს დაშლა. ფაშისტების დელეგატები მიიღო პრემიერის მდივანმა. 80 ფაშისტი დაპატიმრებულია საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევისათვის. (ადს).

პანამა ლოტარინგიაში

პარიზი, 7 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში იმ გამოკვლევისა, რომელიც ჩაატარა მან ლოტარინგიაში გერმანულ ქონების გაყიდვის დროს დაშვებულ ბოროტმოქმედებათა გამოსარკვევად. ანგარიშის მიხედვით, ბოროტმოქმედებაში ურევიან საფრანგეთის მსხვილი მრეწველები და მთავრობის წარმომადგენელი ალფანი, რომელიც მეთაურობდა გერმანულ ქონების გამნაღდებელ კომისიას (ადს).

აღმოსავლეთის ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

მოსკოვი 8 მარტი. ამხ. დოსოვის თავმჯდომარეობით გაიმართა საკავშირო ცაკთან არსებულ აღმოსავლეთის ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის სხდომა. კომისიამ მოისმინა ამხ. ნუხრატის ინფორმაცია კომისიის საკავშირო თათბირისა და ამ თათბირთან დაკავშირებით საკავშირო ცაკის მიერ მიღებულ ღონისძიებების შესახებ. აღმოსავლეთის ქალის შრომის პირობების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცირლინმა. მომხსენებლის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ უმუშევარ ქალების კოლექტივების მოწყობას. კამათში მონაწილეობა მიიღეს რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომისარმა ამხ. ვასუტოვმა, ამხ. [illegible], ტიხომიროვმა, მაიოროვმა და ლებედევმა. დასმულ საკითხების დასამუშავებლად და [illegible] ღონისძიებების შესამუშავებლად გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ლიუბიმოვა, ნუხრატი, სირინა, [illegible] მიროვი და მაიოროვა.

დასასრულ კომისიამ განიხილა დებულება აღმოსავლეთის ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ცენტრალურ და ადგილობრივ კომისიების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული ყაზვინში

მოსკოვი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსულად ყაზვინში (სპარსეთი) დანიშნულია ამხ. ცატუროვი. (ადს).

გამთიშველების წინააღმდეგ

ვარშავა, 8 მარტი. წინანდელი სეიმის კომუნისტმა დეპუტატებმა ვარსკიმ, ვოიტუკმა, სოხაცკიმ და სკრიპამ მოწოდება გამოუშვეს და დასავლეთ უკრაინის კომპარტიიდან გამორიცხული გამთიშველ—ნაციონალისტების კრილიკას და კილიაკინსკის მოქმედების გამო, რომლებმაც სეიმის წარსული არჩევნების დროს მუშურ-გლეხური მთლიანობის სიის წინააღმდეგ თავისი საკუთარი სია წამოაყენეს. მოწოდება აღნიშნავს გამთიშველთა ჯგუფის სრულ დამარცხებას (კრილიკას ჯგუფის სიამ ლვოვში მიიღო სულ 106 ხმა, მუშურ-გლეხური მთლიანობის სიამ კი 4.200 ხმა). (ადს).

გერმანიის კომპარტიის მილოცვა

ბერლინი, 8 მარტი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ მისალმებელი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის კომპარტიის ცეკას პოლონეთის კომპარტიის მიერ სეიმის არჩევნებში მიღწეულ წარმატების გამო. (ადს).

ლოკაუტის მუქარა

ბერლინი, 8 მარტი. მრეწველნი დაეთანხმნენ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს საინსტრუმენტო მრეწველობაში ჩამოვარდნილი კონფლიქტის შესახებ. ფიქრობენ, რომ მუშები უეჭველად უარჰყოფენ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს. განაჩენის უარყოფას შეიძლება მოჰყვეს ლოკაუტი ყველა საწარმოო დაწესებულებაში, რომელთა პატრონებიც შედიან ლითონის მრეწველთა კავშირში. სულ ლოკაუტი მოიცავს დაახლოებით 200.000 მუშას. (ადს).

მხოლოდ არჩევნების შემდეგ

ბერლინი, 8 მარტი. ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია" იმეორებს ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანიის სამეურნეო წრეები უარყოფითად უყურებენ საბჭოთა მოთხოვნილებებს კრედიტის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ საკითხი გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის შესახებ შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ რეიხსტაგის არჩევნების შემდეგ. (ადს).

დამამცირებელი ხელშეკრულება ეგვიპტესთან

ლონდონი, 8 მარტი. გამოქვეყნდა ტექსტი ინგლის - ეგვიპტის ხელშეკრულებისა, რომელიც უარჰყო ეგვიპტის პარლამენტმა. ხელშეკრულება ადასტურებს, რომ ეგვიპტესა და ინგლისს შორის კავშირი იკვრება. ეგვიპტური არმიის ხელმძღვანელობა ინგლისის არმიაში მიღებულ მეთოდებით სწარმოებს: ეგვიპტის არმიის ინსტრუქტორებად უეჭველად ინგლისის ქვეშევრდომნი ინიშნებიან. ინგლისს უფლება ეძლევა თავისი სამხედრო ნაწილები მყავდეს ეგვიპტის იმ ადგილებში, სადაც საჭიროდ იქნება ცნობილი საიმპერიო გზების დასაცავად. ხელშეკრულება ავალებს ეგვიპტის მთავრობას დანიშნოს თავისი საფინანსო და იურიდიული მრჩევლები მხოლოდ ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით (ადს).

ესტონეთის ახალი ელჩი მოსკოვში

რეველი, 7 მარტი. ესტონეთის ელჩი ლატვიაში სელამა დაინიშნა ესტონეთის ელჩად მოსკოვში. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება ლიტვაში

კოვნო, 8 მარტი. კოვნოს სადგურზე დაპატიმრებულია ორი ქალი, რომლებსაც თითქოს აღმოაჩნდა კომუნისტური ლიტერატურა. უციანში დაპატიმრებულია ვინმე სკურკა, რომელსაც ბრალდება კომუნისტურ ლიტერატურის გავრცელება.

რა ხდება უცხოეთში

აფრიკის კოლონიების განაწილება

გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნ" ეყრდნობა რა ბერლინიდან მიღებულ სარწმუნო ცნობებს, იუწყება, რომ ინგლისის მთავრობა დასთანხმდა გადასცეს გერმანიას მანდატი პორტუგალიის ახლანდელ კოლონიებზე ჩრდილოეთ-აფრიკაში, იმ პირობით, თუ გერმანია დასთანხმდება მხარი დაუჭიროს ინგლისის პრეტენზიებს აღმოსავლეთ-აფრიკის ტერიტორიაზე. როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისს სურს გერმანიის ყოფ. კოლონია—ტანგანაიკა შეუერთოს თავის აღმოსავლეთ აფრიკის სამფლობელოს, რომელიც ახლა იქმნება. რაც შეეხება პორტუგალიას, ინგლისი ახლად მასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომელიც მიზნად ისახავს სესხის მიცემას პორტუგალიისათვის ერთა ლიგის სახელით. როგორც გარანტია ამ სესხისათვის, პორტუგალიამ ერთა ლიგას უნდა გადასცეს თავისი დასავლეთ-აფრიკის კოლონიები. ერთა ლიგა კი, თავის მხრივ, შემდეგ მოახერხებს ამ კოლონიებზე მანდატის გადაცემას ერთი ლიგისათვის.

„ჩიკაგო ტრიბუნ" იუწყება, რომ მოლაპარაკება უკვე „გადამწყვეტ ფაზაში იმყოფება". ლისაბონში ჩავიდა ერთა ლიგის კომისია, რომელიც პორტუგალიის მთავრობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას სესხის პირობების შესახებ. გაზეთის ცნობით, ეს გეგმა ჯერ კიდევ ოფიციალურად არ უცნობებიათ ამ ქვეყნების მთავრობებისათვის. გეგმას გაცნობილი არის მხოლოდ გინდენბურგი და შტრეზემანი. გერმანია აყენებს მოთხოვნილებას, რომ გერმანიის მომავალ სამანდატო ტერიტორიაში შევიდეს მოზამბიკი, რომელსაც მშვენიერი ნავსადგურები აქვს დელაგოას ყურეში.

მაგრამ, „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის სიტყვით, გერმანიაში შიშობენ, რომ მთელი ეს გეგმა შეიძლება ჩაიშალოს იტალიის ჩარევის წყალობით.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ამ ინფორმაციას ფანტასტიურს უწოდებს. გაზეთის ცნობით, ასეთი ცნობისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი. „თუნდ რომ დავანებოთ იმას, რომ ახლად არ ყოფილა ლაპარაკი გერმანიის ყოფილი კოლონიების გადაცვლაზე პორტუგალიის კოლონიებზე, ამის გარეშეც — გერმანიის კოლონიების პრობლემა საერთოდ ვერ გადაიჭრება ნაწილ-ნაწილ, არამედ უნდა გადაიჭრას მთლიანად და არსებითად. საკითხის ასე გადაწყვეტისათვის, ადრე თუ გვიან, დადგება დრო".

რაც შეეხება საქმეების ახლანდელ ვითარებას, გაზეთის სიტყვით, ინგლისს ეშინება აფრიკაში სურვილი—გააფართოვოს ამ საკითხის გადაწყვეტა. და რადგან საფუძვლიანად ცნობილია, რომ ინგლისს განზრახვა აქვს მიიტაცოს გერმანიის ყოფ. კოლონიები, „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" დაასკვნის, რომ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ცნობა წარმოადგენს ინგლისის დაინტერესებული წრეების მიერ გავრცელებულ ხმებს.

ა. ვ—ლი.

საბჭოთა კავშირში

ამხ. მიხაილოვის (პოლიტიკუსის) ნეშტის დაწვა

მოსკოვი, 8 მარტი. მოსკოვის კრემატორიუმში დასწვეს გარდაცვლილ ძველი ბოლშევიკის ამხ. მიხაილოვის (პოლიტიკუსის) ნეშტი. ამხ. იაროსლავსკიმ პარტიის ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა სამოქალაქო პანაშვიდზე, რომელიც შესდგა კრემატორიუმში. შემდეგ გამოვიდნენ პარიზის კომუნის მონაწილე ფრანგი ამხანაგები: ბიი და ლერუა.

გაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზე

ლენინგრადი, 8 მარტი. მიღებულია ცნობა, რომ ბერლინში დამთავრდა იმ დირიჟაბლის აგება, რომლითაც უნდა მოხდეს გაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზე. გაფრენის მარშრუტი ასეთია: მურმანსკი—ჩრდილოეთის პოლიუსი—ალასკა და უკან ციმბირის ნაპირების გასწვრივ. დირიჟაბლში ადგილების მნიშვნელოვანი რიცხვი ეთმობა საბჭოთა მეცნიერებს (ადს).

მესამე საგლეხო სესხის ტირაჟი

ვინიცა, 8 მარტი. მესამე საგლეხო სესხის ტირაჟი დამთავრდა დიდი დემონსტრაციით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ვინიცაში ჩამოსულ გლეხთა დეპუტატებმა (ადს).

10 მილიონი მანეთი ფონდში „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"

მოსკოვი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება იუწყება, რომ იმ თანხების საერთო ჯამმა, რომლებიც შეტანილია ფონდში „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს", 7 მარტისათვის მიაღწია 10 მილიონამდე.

საკავშირო პროფსაბჭოს განმარტება

მოსკოვი, 8 მარტი. საკავშირო პროფსაბჭომ განმარტა, რომ დაუშვებელია მუშა-მოსამსახურის სამუშაოდან მოხსნა, იმ საბუთით, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრი მსახურობს. ოჯახის წევრების სამსახური მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შტატების შემცირებისა და სამუშაოზე გაგზავნის დროს. (ადს)

სამოსამართლო მუშაკების საქმე რიაზანში

რიაზანი, 8 მარტი. 9 მარტს რიაზანში იწყება ადგილობრივ სამოსამართლო მუშაკების პროცესი. პასუხისგებაში მიცემულია 28 კაცი, მათ შორის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარის 4 ყოფილი მოადგილე, საგუბერნიო სასამართლოს 3 ყოფილი წევრი, ყოფილი უფროსი გამომძიებელი, დამცველთა კოლეგიის 3 ყოფილი წევრი, ქალაქის საბჭოს ყოფილი მდივანი სამკინი და მთელი რიგი ვაჭრებისა, რომლებიც ბრალდებულებს აძლევდნენ ქრთამებს. ყველას ბრალად ედება მექრთამეობა, კავშირი უცხო ელემენტებთან, ლოთობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. საქმეს გაარჩევს უზენაესი სასამართლოს გასვლელი სესია (ადს).

სპეკულიაცია მანუფაქტურით

კავკასიის სტავროპოლი, 8 მარტი. საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკების და მთელ რიგ სოფლის კოოპერატივების თავმჯდომარეების საქმეზე. პასუხისგებაში მიცემული პირები იღებდნენ დიდ ქრთამებს და მანუფაქტურას აწვდიდნენ სპეკულიანტებს. საბრალდებლო სკამზე ზის 23 კაცი. უმთავრესად სპეკულიანტები, რომლებმაც მოახერხეს გადაეგზავნათ თბილისში, ბაქოში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში 20.000 მეტრზე მეტი ბატისტი, აბრეშუმი და მაუდი. სასამართლომ ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოების სამ მუშაკს მიუსაჯა ოთხ-ოთხი წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლაციით, თბილისელ და ბაქოელ სპეკულიანტებს კი სამ-სამი წლით დაპატიმრება მთელი ქონების კონფისკაციით (ადს).

დაუდევრობისათვის

კოკანდი, 8 მარტი. უმოქმედობისა და დაუდევრობისათვის პასუხისგებაშია მიცემული გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ხელშემწყობი 4 სარაიონო კომისია ფერგანში (ადს).

საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა-გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიმართვა

მოსკოვი, 8 მარტი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიმართვაში ყველა საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციებისადმი ნათქვამია:

„გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარება მიმდინარე წელს პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ნათესების სივრცის გაფართოება, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა განმტკიცება და ახალი საწარმოო გაერთიანებათა შექმნა განხორციელებულ იქნება მხოლოდ ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მობილიზაციის გზით.

ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მოაწყოთ იმის შემოწმება, თუ რამდენად ასრულებენ ცეკას 23 თებერვლის და 1 მარტის დირექტივებს ყველა ორგანიზაციები, პირველ რიგში სადგილ-მამულო ორგანოები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებები და კოოპერაცია. სასტიკი ზომები მიიღეთ იმ პირების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ დირექტივებს სათესლე მასალის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და თესვის კამპანიის სხვა საშუალებათა სოფლებში დროულად გადაგზავნის შესახებ და ამახინჯებენ კლასობრივ ხაზს. მუშაობის მსვლელობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეთ თვეში ორჯერ.

ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი

ორჯონიკიძე.

ამხ. მიქოიანის წერილი ამხ. რიკოვისადმი

მოსკოვი, 8 მარტი. ამხ. მიქოიანმა ამხ. რიკოვს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთისათვის 1 მარტისათვის გადადებული იყო 119.500 ტონა სათესლე მარცვეული, აქედან 47.000 ტონა შვრია. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ რიაზანის გუბერნიაში შეტანილ იქნა 12 ვაგონი, ხოლო სმოლენსკის გუბერნიაში 19 ვაგონი შვრია, რაც არ შეეფერება კონდიციას. ამ 31 ვაგონი შვრიის შესახებ ვაჭრობის სახ. კომისარიატმა უბრძანა პურის დამმზადებლებს შეეცვალათ ის კარგი ხარისხის შვრიით; ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოითხოვა აქტების შედგენა ცუდი ხარისხის სათესლე მასალის შესახებ, რათა თავის დროზე მიეღო ზომები ცუდი ხარისხის სათესლე მასალის კარგი ხარისხის მასალით შესაცვლელად და იმ ორგანიზაციების დასასჯელათ, რომლებიც აგზავნიან ცუდი ხარისხის სათესლე მასალას. (ადს).

საგეგმო ორგანოების მუშაკთა ყრილობა

ამხ. კრჟიჟანოვსკის მოხსენება

მოსკოვი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირის საგეგმო დარგის მუშაკთა ყრილობაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **კრჟიჟანოვსკიმ**.

ამხ. კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა განსაკუთრებული სიძნელენი, რომლებიც სდგას ყრილობის წინაშე ხუთწლიან გეგმის დამუშავებასთან დაკავშირებით და მიუთითა მთელ რიგ საფრთხეებზე საგეგმო ორგანოების მუშაობაში. მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი საგეგმო ორგანოები ცდილობენ ხუთწლიან გეგმაში მოაქციონ სამეურნეო განვითარების ყველა საკითხები. ხუთწლიან გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ მეურნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი მუშაობა ვაწარმოოთ სახალხო - სამეურნეო პროცესების გადამწყვეტ ხაზებზე, და ამ ხაზების განმტკიცების შემდეგ წავიდეთ წინ გეგმიანი მოწესრიგების გზით.

„საგეგმო ორგანოებმა, — განაცხადა შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ, — უნდა დაისახონ მთელი სახალხო მეურნეობის რაციონალიზაციის ამოცანა. უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საგეგმო კომისიის ერთგვარ მოწყვეტას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ორგანოებისაგან. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინ გაუსწრო სხვა საგეგმო ორგანოებს. ეხლა საჭიროა ამ ფრონტის გასწორება. ადგილობრივ საგეგმო ორგანოების მუშაობაში საჭიროა ერთგვარი გაბედულება,— მხოლოდ მაშინ მივიღებთ ჩვენ ნამდვილ კოლექტიურ შემოქმედებას.

მოხსენების დასასრულ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა, რომ მიუხედავათ მუშაობის მძიმე პირობებისა ჩვენ მაინც გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. ამ მიღწევებს ჩვენს მეურნეობაში ხედავენ არა მარტო მეგობრები, არამედ მტრებიც. (ადს).

ამხ. კუიბიშევი სპეციალისტების შესახებ

მოსკოვი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პლენუმზე ამხ. კუიბიშევმა სპეციალისტების გამოყენების საკითხის შესახებ სთქვა:

„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყოველგვარი ლაპარაკი, თითქოს პარტიასა და მთავრობას სურს სპეციალისტებისადმი დამოკიდებულების შეცვლა, ნამდვილი ცილისწამებაა. პატიოსან ინჟინერებს, რომელთაც თავისი ბედი მუშათა მასებს დაუკავშირეს, ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ და მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ მათი მუშაობის ხელსაყრელ პირობებს, ამასთანავე ერთად ჩვენ გაძლიერებულ ყურადღებას მივაქცევთ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკების ახალი კადრების მომზადებას, განსაკუთრებით მუშათა წრიდან და ძველი სპეციალისტების ხელ-ახალ მომზადებას" (ადს).

სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა

მეორე დღე

კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო

გერონტი ქიქოძე
(არიფიონის ჯგუფი)

მეორე დღის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა „არიფიონის" ჯგუფიდან გ. ქიქოძე, რომელმაც სთქვა შემდეგი:

კულტურული რევოლუცია გულისხმობს ღრმა ცვლილებებს, იგი იშვიათი მოვლენაა არის მარტო იმიტომ კი არა, რომ იცვლება დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანისადმი, ან სახელმწიფოსი ადამიანისადმი, არამედ იმიტომაც, რომ იცვლება შეხედულებათა და წარმოდგენათა მთელი სისტემა, ხდება მთელი კულტურის გადახალისება.

დღევანდელ კულტურას, მიუხედავად დიდი ეკონომიური აღორძინებისა, ემჩნევა დაცემადობა, წინ სვლა შეუძლებელია, სულ დიდი კულტურული გარდატეხა არ მოხდა. მარქსიზმის კლასიკოსები ლენინს უსაყვედურებდნენ, თქვენ იწყებთ სოციალიზმს ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაშიო,; ლენინი მათ უპასუხებდა, რომ რევოლუცია საჭიროა სწორედ იმიტომ, რომ ხალხი მოღონიერდეს ეკონომიურად და განვითარდეს კულტურულად. უნდა შეიქმნას ახალი ადამიანი, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალიზმის განხორციელება, ეს არის მთავარი, რევოლუციის გამარჯვების ძირითადი დამახასიათებელია არა ის, რომ მივაღწიოთ ომის წინანდელ დონეს,—სახალხო მეურნეობაში, არამედ ის, რომ მან შექმნა ახალი კოლექტიური შეგნება ახალი ბორალი, რომელმაც შეუძლია გამარჯვება მიაღწიოს უფრო ნაკლებ კულტურისაგან ხალხსაც.

შემდეგ ორატორი ეხება „არიფიონის" ჯგუფს და ამბობს, რომ ამ ჯგუფს უსაყვედურეს წარსულის იდეალიზაცია. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ წარსულზე, ვიცით, რომ წარსულში ბევრი ცოდვები იყო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ წარსულის ნაშთეში არის დაგროვილი დიდი ზნეობრივი ძალა, რომელიც გამოგვადგება ახალი შემოქმედებისათვის. მართალია, წარსული კულტურა შეიქმნა მონობის ქვეშ, მაგრამ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი შემოქმედებისათვის. მეორე საყვედური შეეხებოდა არიფიონის სკეპტიციზმს. მაგრამ განა თქვენში არ არის სკეპტიციზმი, განა ლენინი კი არ ყო სკეპტიკოსი. თავისთავად ცხადია, ისეთ რთულ ეპოქაში, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, შეუძლებელია წინ სვლა სკეპტიციზმის გარეშე, ჩვენ გვახასიათებს სკეპტიციზმი, მაგრამ, რასაკვირველია მეტი გვაქვს ენტუზიაზმი, რომელიც აშკარადაა სჩანს ჩვენი ჯგუფის წერილებში.

მეორე დღის სხდომაზე ილაპარაკეს აგრეთვე რონდელმა, ნ. შენგელაიამ, ნ. ზომლეთელმა, ტ. ტაბიძემ, ვ. მაჟავარიანმა და ბიბო ხიძემ.

კონს. კაპანელი

არიფიონის ჯგუფი არ ფიქრობს წარსული კულტურის აღდგენას მისი უცვლელი სახით. ჩვენ გვინდა წარსულს შევხედოთ ახალი ადამიანის თვალით და თუ ჩვენ შემოქმედებას ამჩნევია ძველი ცხოვრების კვალი. და ის ახლოს ვერა სდგას თანამედ. კოლექტიურ მოძრაობასთან, ეს იმიტომ, რომ თვით წარსული ცხოვრების პირობები იყო ისეთი, რომ ადამიანი ემწყვდეოდა თავისი პიროვნების ვიწრო რკალში, იგი რჩებოდა განაპირებული და განმარტოებული. საქართველოს წარსულში არ ყოლია ძლიერი კლასი, რომელსაც ჰქონოდა უნარი შეექმნა ძლიერი ეროვნული ორგანიზმი და გამოეჭედა ძლიერი—პიროვნება. დღეს საქართველოს სათავეში სდგა პროლეტარიატი, რომელიც ქმნის ახალ კოლექტიურ საზოგადოებას, ახალ ადამიანს და, რამდენადაც არიფიონის ჯგუფი ეძებს ამ ახალ ადამიანს, ხოლო რევოლუცია ქმნის მას, იმდენად არიფიონი უახლოვდება რევოლუციას, მის ძირითად ამოცანებს.

მესამე დღე

ამხ. სამსონ ჭამულიას სიტყვა

კულტურულ რევოლუციის პრობლემა, ამბობს ამხ. ს. ჭამულია, ჩვენ გვესმის ასე, რომ კულტურის სხვადასხვა დარგები შეუფარდეს ახალ ურთიერთობას და საწარმოო ძალთა განვითარებას. რევოლუციონური თვალსაზრისით, კულტურულ რევოლუცია მიზანია არა მარტო ფართო მასებში შეიტანოს წერა-კითხვის ცოდნა, კულტურულად გაათვითცნობიეროს ისინი, არამედ იგი მიზნად უნდა ისახავდეს ამავე დროს პროპაგანდას ახალი ურთიერთობის სასარგებლოდ, კერძოთ, მწერლობა ვალდებულია გაიმსჭვალოს იმავე ამოცანებით, რომლებსაც აყენებს ჩვენი სინამდვილე. ბრძოლა ახალი კულტურისათვის ნიშნავს ბრძოლას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ჩვენი წარმოების რაციონალიზაციის და სოფლის კოლექტივიზაციისათვის. ამ იდეებს პროპაგანდა მხატვრულ ფორმებით უნდა იკისროს მწერლობამ, მწერლობა წარსულში ყოველთვის ემსახურებოდა გაბატონებული კლასის ინტერესებს, ამგვარად ეხლაც საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია ემსახუროს გაბატონებული კლასის—პროლეტარიატის ინტერესებს. არავინ არ მოითხოვს, რომ მწერლობამ თავისი თემა შემოფარგლოს დღევანდელი სინამდვილით, ჩვენთვის სასარგებლოა წარსულ ისტორიულ ურთიერთობის ასახვა. მაგრამ იგი ასახული უნდა იქნეს პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით. სწორედ ასე ვუყურებთ ჩვენ მხატვრულ ნაწარმოებს, შეიძლება იგი დღევანდელ სინამდვილეს, თუ ასახავს წარსულ ისტორიას. აქ საყვედური გამოსთქვეს, რომ ლიტერატურის კრიტიკას აწარმოებენ ხშირად არა ავტორიტეტული პირებიო, კრიტიკის დროს იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ აწარმოებს მას, არამედ იმას, თუ როგორ უდგება ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასებას კრიტიკოსი. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ კრიტიკამ ერთი წუთითაც არ გადაუხვიოს კომუნისტურ პოზიციებს და მიუდგომლად შეაფასოს ნაწარმოები იმ მხრივ, თუ რას წარმოადგენს ის ჩვენი საბოლოო მიზნების თვალსაზრისით. იმავე დროს კომუნისტურ პოზიციებზე მდგარ კრიტიკოსს მართებს დიდი სიფრთხილით და ლმობიერებით მოეპყროს იმ მწერლებს, რომელნიც პროლეტარიატთან თანამშრომლობის გზას ადგანან, და გაუადვილოს მათ იმ ამოცანების გაგება, რომელთაც ჩვენი სინამდვილე აყენებს. კომუნისტური ამპარტავნობა პროლეტარულ მწერლისა და კრიტიკოსისათვის ყოვლად მიუღებელია ისე, როგორც შეუწყნარებელია ძველი თაობის მწერლისათვის ლიტერატურული ამპარტავნობა. ბუნებრივია, თუ ძველი მწერლები, რომელნიც აღზრდილნი არიან ძველი ურთიერთობის დროს, დაუშვებენ ამა თუ იმ იდეოლოგიურ შეცდომებს. კომუნისტური პარტიის მოვალეობაა მიუთითოს ამ შეცდომებზე. აქ არაფერი საწყენი და შეურაცხმყოფი არ უნდა იყოს იმ მწერლისათვის, რომელსაც გულწრფელად სწადია ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კულტურულ დარგში. მხოლოდ სალი კრიტიკით შეიძლება გაკვლეულ იქნეს ის გზა, რომელიც მწერლებს მიიყვანს ნამდვილ მხატვრულ შემოქმედებამდე რევოლუციისა და პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების თვალსაზრისით.

ამხ. სუტირინის სიტყვა

მთავარი დამახასიათებელი თვისება ჩვენი რევოლუციის ის არის, რომ იგი ფართო მასსიური მოძრაობაა. კულტურული რევოლუცია ჩვენ ისე გვესმის, რომ კულტურის ყველა დარგების მიღწევები გავხადოთ მისაწვდომი ფართო მასებისათვის. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით წარსულ შემკვიდრეობას, რასაკვირველია, მასსებისთვის მიუღწეველი და გაუგებარი დარჩება დეკადენტური მწერლობა, სრულიად უცხო ფსიქოლოგიურ განწყობილებით შექმნილი. ასევე გაუგებარი დარჩება თვით დღევანდელი სინამდვილის გამომსახველი ნაწარმოები, თუ იგი ჩვენ არ მივაწოდეთ ხალხს გასაგებ ფორმებში. ამასთან მთავარია, თუ როგორი სოციალური შინაარსით იქნება შევსებული ესა თუ ის დამუშავებული თემა. ამ ყრილობაზე მსჯელობა კულტურულ რევოლუციის შესახებ ზოგად ხასიათს ატარებს. საჭიროა საკითხს კონკრეტულად შევეხოთ. დღეს უკვე არ კმარა იმის განცხადება, რომ ვიღებთ და ვსცნობთ პროლეტარულ რევოლუციასო, — საჭიროა ამ განცხადების მხატვრული ფაქტებით დადასტურება.

შემდეგ სიტყვას ლაპარაკობს აპალონ წულაძე, რომელიც საჭიროდ სცნობს ყურადღება მიექცეს ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეს და გასაგები ენით წერას, რაც მისი აზრით, სავალდებულო უნდა იყოს ყველა ლიტერატურული მიმდინარეობათათვის.

ქალთა დღის გამო მწერალ ქალთა სახელით მწერლობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს პოეტი ქალი ბაზილინა, რომელიც საჭიროდ სცნობს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მწერალ ქალთა წახალისებას კულტურულ შემოქმედების ყოველ დარგში.

კამათში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მწერლები **მ. ჯავახიშვილი, ს. ამაღლობელი, გრ. ცეცხლაძე და ბ. გორდეზიანი.**

პარტიული ცხოვრება

საკ. კომპ. ცეკა არტემოვსკის ორგანიზაციის შესახებ

მოსკოვი, 7 მარტი. მოისმინა რა არტემოვსკის ოლქკომის თავმჯდომარის ამხ. როვიჩის მოხსენება და ცეკას პასუხისმგებელ ინსტრუქტორის ამხ. **მიშკინის** თანამოხსენება, ცეკა აღნიშნავს ოლქკომის არა საკმაო კავშირს მუშათა მასებთან (კონსტანტინოვსკის ორგანიზაცია, მასებიდან ჩამოცილებულ ხელმძღვანელობისათვის მხარის დაჭერა, რაიკომების არა საკმაო ხელმძღვანელობა და სხ.), ოლქკომის სუსტ ბრძოლას საბჭოთა და სამეურნეო აპარატში არსებულ მავნე მოვლენებთან (მაგალითად, სასამართლო-საგამომძიებლო აპარატისა და მილიციის გახრწნა) და აგრეთვე მთელ რიგ სერიოზულ ნაკლს და შეცდომებს ხელმძღვანელობაში და ამიტომ ოლქკომის მუშაობას სცნობს არა დამაკმაყოფილებლად.

ამასთანავე ერთად ცეკა აუცილებლად მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს ის გარემოება, რომ არტემოვსკის ოლქკომმა არ შეასრულა დონეცის საგუბერნიო კომიტეტის მოხსენების მიხედვით საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ გამოტანილი დადგენილებები პარტორგანიზაციების მხრით მუშათა მასებთან კავშირის განმტკიცების შესახებ და აგრეთვე ის, რომ უკრაინის კომპარტიის ცეკამ არ მიიღო თავის დროზე ზომები არტემოვსკის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად.

იწონებს რა უკრაინის კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებას არტემოვსკის ოლქკომის მდივნის—**მიხეენკოს** მოვალეობიდან განთავისუფლების და იღებს რა მხედველობაში უკრაინის კპარტიის ცეკას გადაწყვეტილებებს არტემოვსკის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ, საკავშირო კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს უკრაინის კომპარტიის ცეკას და არტემოვსკის ოლქკომს გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წინანდელ ხელმძღვანელობის აღნიშნულ ნაკლის რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ აღმოფხვრას.

პირველ რიგში აუცილებელია: ხელმძღვანელ მუშაკების, კერძოდ, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისა და მილიციის ხელმძღვანელ მუშაკების შემადგენლობის გადასინჯვა, მისი გაწმენდა უცხო და გახრწნილ ელემენტებისაგან და მათ ადგილზე პირველ რიგში აქტიურ მუშების მიღება და მუშათა ფართო მასების კრებებზე მონაწილეობის გაძლიერება. ამავე უახლოეს დროში მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა უფრო ენერგიულად და სრულად გატარდეს ცხოვრებაში დებულება მაღაროებისა და მუშათა უბნების საბჭოების შესახებ. უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის დირექტივების მიხედვით ორგანიზაციის თვითკრიტიკის ნამდვილად განვითარება, კერძოდ, შემოღებულ იქნას რეგულიარულად პარტორგანოების ანგარიშგება და ფართო პარტაქტივის თათბირებზე მოწვევა პარტმუშაობის ძირითადი საკითხების განსახილველად. ოლქკომის შემადგენლობაში დაზგის მუშების რაოდენობა გადიდებულ უნდა იქნეს ისე, რომ ის ოლქკომის წევრების ერთ მესამედს მაინც შეადგენდეს და აქტივისტი მუშების გაძლიერებით უნდა ჩაებან ხელმძღვანელ პარტმუშაობაში.

შემდეგ ცეკა აღნიშნავს, რომ ოლქკომს თავის მუშაობაში პროდუქციის თვითღირებულების დასაკლებად არ მიუქცევია საჭირო ყურადღება მასების ჩაბმისათვის წარმოების რაციონალიზაციის გატარებაში. მუშათა მასების სუსტად აწვდიან ცნობებს ჩატარებულ სამეურნეო ღონისძიებების შესახებ.

ცეკა წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებსა და პროფორგანოებს გააფართოვონ მუშათა მასების ცეკას ამ რეზოლუციის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც შეეხება მასების ჩაბმას წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. ადგილი აქვს რა [illegible] ტექნიკისა და მუშათა არა დამაკმაყოფილებელ პირობებს წარმოებებში, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობაში, სამეურნეო ორგანოებმა და პროფორგანიზაციებმა ოლქკომთან ერთად უნდა მიიღონ ზომები შრომის დაცვის მოწყობილობების საქმის გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე ერთად, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში,—ცეკა აღნიშნავს, რომ შრომის სახ. კომისარიატმა, უკრაინის პროფსაბჭომ და მემაღაროეთა და ქიმიკოსების მუშათა კავშირების ცეკამ საკმაოდ არ შეასრულეს დონეცის საგუბერნიო კომიტეტის მოხსენების მიხედვით ს. კ. პ. ცეკას მიერ მიღებული დირექტივა, რომელიც ეხება როგორც შრომის დაცვის კანონების დარღვევასთან, ისე ამ საკითხებში სამეურნეო მუშაკების დაუდევრობასთან ბრძოლის გაძლიერებას. პროფკავშირების სუსტ მუშაობასთან ერთად წარმოებებში, ცეკა პროფორგანოების მუშაობაში აღნიშნავს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლს. ცეკა წინადადებას იძლევა გაძლიერებულ იქნეს პროფორგანოების მუშაობაზე პარტხელმძღვანელობა და ზედმიწევნით განისაზღვროს პარტიისა, პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების მოვალეობა.

ოლქის ღარიბ გლეხთა მეურნეობების ნელი მოღონიერება და კლასობრივი ხაზის განხრა სასოფლო-მეურნეობისათვის კრედიტების მიცემის საქმეში, მოწმობს იმას, რომ პარტორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ სოფლად მუშაობას, განსაკუთრებით კი ღარიბ გლეხებში მუშაობას. საოლქო კომიტეტმა აუცილებლად სისტემატიურად უნდა შეამოწმოს კრედიტების განაწილების პრაქტიკა, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობის ფონდების გამოყენების სისწორე. ცეკა წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს დაამუშაოს პარტიაში მუშების მიღების კონკრეტული გეგმა. ოლქკომმა უნდა გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებებისა პარტიაში ახლად მიღებულ მუშების პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად.

იმ სერიოზულ ნაკლთან ერთად, რომელსაც ადგილი აქვს ოლქის ბეჭდვითი საქმის დაყენებაში, ცეკა აღნიშნავს ბეჭდვითი საქმის ხელმძღვანელობის უქონლობას საოლქო კომიტეტის მხრით და წინადადებას აძლევს ოლქკომს გადასინჯოს გაზეთის ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობა და განამტკიცოს გაზეთის ხელმძღვანელობა.

მიხეენკო აუცილებლად ჰცნო მოიხსნას ორი წლით ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობიდან.

არტემოვსკის პარტორგანიზაციისათვის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ამ დადგენილების განსამარტებლად გადაწყდა გაიგზავნოს ცეკას წევრი. (ადს).

ვეცნობით მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს

ქ. სამტრედიაში შესდგა რაიონული პარტიული კრება. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი.

მოხსენება მე-15 პარტყრილობის შედეგებზე.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. სევ. მინდაძემ. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენება. დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ს. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიონული კრება მოისმინა რა მან ამხ. ს. მინდაძის მოხსენება უკანასკნელ პარტყრილობის შედეგების შესახებ, მთლიანად და სავსებით იწონებს სრ. საკავშირო ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს.

მე-15 პარტყრილობამ, განსაზღვრა რა მომავალ სამეურნეო აღმშენებლობის ხაზი სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმის სახით, სწორი დირექტივა მოგვცა ქვეყნის მომავალი ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

ყრილობამ ჯამი გაუკეთა პარტიის დისკუსიას ტროცკისტულ ოპოზიციასთან.

ტროცკისტულმა ოპოზიციამ, რომელმაც სრული დამარცხება განიცადა, როგორც პარტიაში, ისე მუშათა კლასში, აშკარათ მიაღწია მენშევიზმს და საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ლენინიზმთან. იგი ცდილობდა ერთხელ კიდევ მოეტყუებინა მთელი პარტია და მუშათა კლასი, მაგრამ 15-ე პარტყრილობაზე იგი, როგორც სრულიად უნიადაგო, დაიშალა და დაქუცმაცდა.

რაიონული პარტიული კრება ავალებს რაიკომის პრეზიდიუმს დაბეჯითებით დაამუშაოს 15 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის ფორმები.

რაიონული პარტკრება სავსებით იწონებს ტროცკისტული ოპოზიციონერების გაფანტვის მიზნით რამოდენიმე გაუსწორებელ ტროცკისტის სხვადასხვა ადგილებზე გაგზავნას. უკეთუ ისინი განაგრძობენ ანტისაბჭოთა მუშაობას, კრება კატეგორიულად მოითხოვს, მიღებული იქნეს სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგ.

რემედასის მეორე ყრილობა

გუშინ, სალამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრ. საქართ. რემედასის მეორე ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. ვანო სტურუამ.

ამხ. სტურუას წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივსცა ბრძოლაში დაცემულ რევოლუციონერების ხსოვნას.

ამხ. ქოიავას წინადადებით ყრილობამ ერთხმად აირჩია:

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: კლარა ცეტკინი, სტასოვა, ანრი ბარბიუსი, ანრი მორი, მაქს გელცი, ლანცუცკი, რაშტი, სტალინი; კალინინი; ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და მ. ორახელაშვილი.

საქმიან პრეზიდიუმში

ყრილობამ აირჩია: ამხ. ვანო სტურუა, თ. ჟღენტი, მაშკევიჩი, მამულია; ჩოდრიშვილი, ს. თოდრია, ბედია, ნადირაძე, [illegible], გრიშაევი; ნანეიშვილი, ქოიავა, დოლიძე, იმნაძე, ნაცვლიშვილი; სლავინი და პეტროსიანი.

ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება

დღის წესრიგის დამტკიც. შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და რემედასის ამოცანების შესახებ.

თავის ვრცელ სიტყვაში ამხ. მიხა ცხაკაიამ სთქვა, რომ ამ ათი წლის წინათ ჩასახულ საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკოსები უწინასწარმეტყველებდნენ სულ მოკლე ხანში დაღუპვას, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ შესძლო შრომის სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება.

დაახასიათა რა საერთაშორისო მდგომარეობა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა იგრძნეს, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მათთვის ძლიერი საბჭოთა კავშირი—კერა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისა. კაპიტალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ირაზმებიან და მიზნათ აქვთ გაერთიანებული ფრონტით ჩაახრჩონ მსოფლიო რევოლუცია. ამ საქმეში ბურჟუაზიას მხარში უდგას სოციალ-დემოკრატიაც, რომელმაც დიდი ხანია რაც უღალატა მუშათა კლასს და რევოლუციონურ ფრაზეოლოგიის ამოფარებული აწარმოებს გამცემლურ პოლიტიკას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეები სავსეა რევოლუციურ მებრძოლებით, რომელთა წინააღმდეგ მთელი თავისი საშინელებებით მიმართულია თეთრი ტერორი.

რემედასი,—ამბობს მომხსენებელი,—მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს რევოლუციის მებრძოლებს, ხელი გაუწოდოს კაპიტალის ტყვეებს, გააძლიეროს თავისი რიგები და მატერიალური და მორალური გამხნევებით ზურგი გაუმაგროს პროლეტარიატის ბრძოლას, მსოფლიო ოქტომბრისათვის.

მისალმებები

ამხ. ცხაკაიას მოხსენების შემდეგ ყრილობას მიესალმნენ: რემედასის თბილისის კომიტეტის, ა.-კ. რკინის გზის მუშების, [illegible], ტრამვაის მუშების, პოლიტკატორღელთა საზოგადოების და საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების წარმომადგენელი.

დასასრულ ყრილობა ადგენს მისალმებელი დეპეშები გაეგზავნოს: კომინტერნს, საკავშირო კომპ. ც. კ., საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცეკას, კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტს, საკავშირო რემედასის ცეკას და საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილებას.

8 მარტის დღესასწაული თბილისში

მუშათა სასახლეში

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. კრებაზე კავშირის ცენტრ. გამგეობის წარმომადგენლმა ამხ. ვ. ანდღულაძემ გააკეთა მოხსენება უმუშევართა და ქალთა შორის მუშაობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მედსანშრომის მუშაკთა კავშირის 10782 წევრიდან ნახევარზე მეტს შეადგენენ ქალები. წარსული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუშა-ქალებიდან პროფაქტივის გამოყოფას და ამ მხრივ დიდი მიღწევებია, კავშირის ადგილკომების მუშაკთა შორის 35 პროც. ქალები შეადგენენ, სარევიზიო კომისიებში ქალების რიცხვი აღწევს 43 პროცენტს და შრომის დაცვის კომისიებში კი 35 პროც.

კრებას დაესწრო 500-დე მუშა-ქალი.

შინამოსამსახურე ქალთა კრება

შინამოსამსახურე ქალთა შორის 8 მარტის დღესასწაული განსაკუთრებული ეფექტით იყო აღნიშნული. ნაშუადღევს მუშა-ქალების სხვადასხვა ჯგუფებმა ჩამოიარეს მუშათა კლუბები და გაეცნენ საკლუბო მუშაობის სხვადასხვა მხარეებს. სალამოს მუშა-ქალებმა თავი მოიყარეს მუშათა სასახლის მცირე დარბაზში, სადაც დანიშნული იყო ამხ. აბრამოვის მოხსენება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი მუშა-ქალი გაიმართა ლექციის კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე. დასასრულ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

კლუბის ყველა კუთხეები სპეციალურად ქალთა დღისათვის იყო მორთული. გაკრულია სხვადასხვა პლაკატები ქალთა მოძრაობის შესახებ და გამოფენილია დიაგრამები, თუ როგორ იზრდება ყველა ქვეყნებში ქალთა მოძრაობა.

სალამოს კლუბის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ მუშა-ქალები. ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა. შემდეგ დამსწრეებს უჩვენეს კინო-სურათი.

ახალ-მუშათა კლუბში

ახალ მუშათა კლუბში გაიმართა კლუბის წრეების გამოსვლა. გამოვიდა აგრეთვე სამხატვრო წრე „წითელი შოლტი", რომელმაც შეასრულა სპეციალური ნომრები. წრეების გამოსვლის შემდეგ დაიდგა პიესები ქალთა ცხოვრებიდან—1 მოქმედებიანი დრამა „ვიოლა მარტენე" და ორი სატირა „სტატისტიკის მოყვარული" და „ალიმენტი".

სალამოს დაესწრნენ მილიციის თანამშრომელი ქალები და საბჭოთა და სავაჭროთა პროფკავშირის წევრები.

ს. მ. უ. ს.—ში

8 მარტის აღსანიშნავად ს. მ. უ. ს. შენობაში გაიმართა დიდი სალამო. სალამოს დაესწრნენ ს. მ. უ. ს. დაწესებულებების მუშა-ქალები და თანამშრომლები. ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ან. კალანდაძემ.

მოხსენების შემდეგ რემედასის სასარგებლოდ გათამაშებულ იქნა მოქარგებიანი ლატარია, რომლიდანაც შემოვიდა 300 მანეთამდე.

დასასრულ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კონსერვატორიის უფროსი კლასების მოწაფეებმა.

შრომის კონფლიქტების გაჭიანურების შესახებ *)

ამას წინად საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მოაწყო თათბირი კონფლიქტების გარჩევის წესის გამარტივების შესახებ; მას დაესწრნენ, როგორც სასამართლოს, ისე პროფკავშირების და წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

თათბირზე გამოთქმული იყო მრავალნაირი აზრი: ზოგი ამტკიცებდა, რომ ჩვენში, ისე როგორც რუსეთში, არსებობს მრავალი ინსტანციები და კონფლიქტები ჭიანურდება და ზოგიერთები კი სცდილობდნენ ჩვენში არსებული სურათი სავსებით დამაკმაყოფილებლად დაეხატათ.

რომ ჩვენში არსებობს ზედმეტი ინსტანციებიც და შრომის საკითხების გაჭიანურებაც, ეს უდაო ჭეშმარიტებად უნდა იქმნას აღიარებული, მაგრამ მდგომარეობა არც ისე კატასტროფიულია, როგორც ეს წარმოუდგენია ამხ. გოდაბრელიძეს (იხ. „კომუნისტი" ა-წ. 19 თებერვლის თარიღით № 42).

ჩვენმა კანონმდებლობამ იცის მხოლოდ ორი წესი შრომის კონფლიქტების განსახილველად: პირველი მორიგებითი - საკონფლიქტო, ე. ი. შ. ს. კ. და მეორე-იძულებითი, ე. ი. სასამართლოსი; ამავე დროს შრომის კან. კოდექსის 168 მუხლის მიხედვით, დაქირავებულ შრომის ნიადაგზე აღმოცენებული დავის განხილვა შეიძლება იმ წესით, რომელსაც აირჩევს თვით მაძიებელი, რის გამოც ამ ორივე წესით გასარჩევ საქმისთვის საჭირო ინსტანციების ერთად შეერთება და ასე საკითხის გაშუქება, როგორც ამას სჩადის ამხ. გოდაბრელიძე, შეუძლებელია.

მორიგებითი საკონფლიქტო წესით საქმის განხილვისათვის არსებობს მხოლოდ ოთხი ინსტანცია: შემფ. საკონ. კომისია, მომრიგებელი კამერა, სამედიატორო სასამართლო და ზედამხედველობის ორგანო და იძულებითი წესით განსახილველად—ოთხი ინსტანცია: შრომის სასამართლო, უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულო, ზედამხედველობის წესი და უზენაეს სასამართლოს პლენუმი. ამრიგათ თუ მშრომელი პირველ გზას აირჩევს, მას ექნება გასავლელი ოთხი ინსტანცია და ლაპარაკი 24 ინსტანციაზე, სიმართლეს არ შეეფერება.

შემდეგ ამხ. გოდაბრელიძე აღნიშნავს, რომ შემფ. საკ. კომისიაში საქმე უნდა ირჩეოდეს ნებაყოფლობით ჩემს მიერ მითითებულ შრ. კან. კოდექსის 168 მუხლის მიხედვით, ასეც არის და შეცვლას სრულებით არ საჭიროებს. რაც შეეხება საკითხს შ. ს. კ. ს. დადგენილების განსაჩივრებას, განსაჩივრება, უკვე არსებული წესის მიხედვით, ხდება ზედამხედველობის წესით და ეს სრულიად საკმარისია, მხოლოდ ამხ. გოდაბრელიძის მოთხოვნა, რომ მუშას უფლება ქონდეს შ. ს. კ.-ს. დადგენილების განსაჩივრებისა, მიუღებელია, რადგან თუ ასეთი წესი იქმნება შემოღებული ჯერ ერთი შემფ. საკონ-კომისიის არსებობა სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა და მეორეც ისედაც გაჭიანურებული წესი უფრო გაიზრდება ინსტანციები უფრო გამრავლდებიან.

ამხ. გოდაბრელიძე მოითხოვს არსებულ კასაციის წესის შეცვლას და დასძენს, რომ უმაღლესმა სასამართლომ, დადგენილების გაუქმების შემთხვევაში, თვით უნდა შეიტანოს ცვლილება. ეს წესიც უკვე არის გათვალისწინებული სამოქ. სამ. საპროცესო კოდექსის 246 მუხლში და მისი მოთხოვნაც საჭიროებას არ წარმოადგენს.

ამხ. გოდაბრელიძე აგრეთვე მოითხოვს მოწმეების დანიშვნის წესის შეცვლასაც და აღნიშნავს, რომ საქმის განხილვამდე ორი დღით ადრე უნდა დაასახელოს მოპასუხემ მოწმეები. ძალიან კარგი იქნებოდა ეს, რომ შესაძლებელი იყოს, რადგან მოპასუხემ არ იცის წინდაწინ რა საშუალებით დასჭირდება მას თავდაცვა მაძიებლის მოთხოვნილების წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მხარეს თანახმად სამ. საპრ. კოდექსის 3 მუხლისა, შეუძლიან შესცვალოს სარჩელის საფუძველი.

სრულიად ვეთანხმები ამხ. გოდაბრელიძეს მომრიგებელ კამერის გაუქმების აუცილებლობაში, რადგან თუ მომრიგებელ - საკონფლიქტო ხაზით აღძრულ საქმეზე შემფ. საკონფ. კომისიაში შეთანხმება არ მოხდა, ვერც ზევით მოხდება ასეთი შეთანხმება და თუ მუშას არ სურს, უფლება ქონდეს სასამართლოს მიმართოსო. ეს, საკითხი უშუალოთ (კავშირის მეშვეობით) უნდა გადატანილ იქმნას შრომის სასამართლოში, რითაც ჩვენ შევამცირებთ სამ ინსტანციას, სახელდობრ: მომრიგებელ კამერას, სამედიატორო სასამართლოს და ზედამხედველობის ორგანოებს.

ვეთანხმები ამხ. გოდაბრელიძეს იმაშიც, რომ საჭიროა წერილმან საქმეების შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ ფართოთ იქმნეს გამოყენებული სამოქ. საპრ. კოდექსის 210 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს ბრძანების გაცემის წესი.

საჭიროთ მიმაჩნია ისიც, რომ მიზანშეწონილობის გამო, პირველი ინსტანციის დადგენილება იყოს საბოლოო და მისი განსაჩივრება შეიძლებოდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა მუშა მოსამსახურისათვის არა სასარგებლო დადგენილების განსაჩივრების მომხრე არის პროფკავშირი და როცა მისჯილი თანხა აღემატება 500 მანეთს და სამეურნეო ორგანიზაცია არ სცნობს ამას კანონიერათ.

უნდა გამოიძებნოს ტეხნიკური შესაძლებლობანი (მოსამართლეთა შტატის გადიდებით და სხვა) რათა შემოსულ კონფლიქტების განხილვისათვის კანონით დადებული ვადები მტკიცეთ იქმნეს და ზოგიერთ შემთხვევაში შემცირებულიც.

სიზუსტით უნდა იქმნეს დაცული კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის წესი და წარა-მარა არ უნდა იდებოდეს საქმეები.. ამჟამად შემოღებული პრაქტიკა მიუღებელია და საქმის განზრახ გაჭიანურების სურვილის სუნი სდის. სასამართლომ ფართოთ უნდა მოიხმაროს მისთვის სამოქ. საპრ. კოდექსის 8 მუხლით მინიჭებული უფლება და აღკვეთოს ყოველგვარი ხერხი საქმის გაჭიანურებისათვის.

აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია უმაღლეს სასამართლოს მიერ სამ. საპრ. კოდექსის 246 მუხლით მინიჭებული უფლების ფართოთ გამოყენება. დადგენილ გადაწყვეტილების შეცვლის საკითხში, საქმის ხელ—ახალი განხილვისათვის გადაუცემლად, რადგან ბევრია მაგალითები, როცა უმაღლესი ინსტანცია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და აუქმებს ასეთს, გზავნის ხელმეორეთ განსახილველად. შემდეგ კი როდესაც პირველი ინსტანცია სასამართლოს სხვა ახალ შემადგენლობას საწინააღმდეგო და უმაღლეს ინსტანციის მითითებასთან შეფარდებული გადაწყვეტილება გამოაქვს, ამასაც აუქმებს უმაღლესი ინსტანცია, ფორმალურ მოსაზრებით და ამნაირად ერთი და იგივე საქმე 5—6 ჯერ ირჩევა, რაც ინდომებს 7—8 თვეს მარტო ამ ორ ინსტანციაში.

პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოში განხილულ შრომის საქმეებზე ზედამხედველობის უფლება უნდა დაეთმოს: უზენაეს სასამართლოს პლენუმში შესატანათ, ან შრომის საქმეთა პროკურორს, ან რესპუბლიკის პროკურორს ან და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს, როგორც თავიანთი ინიციატივით, ისე დაინტერესებულ მხარის თხოვნით.

რათა შემცირებულ იქმნას კონფლიქტების რიცხვი, აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია, ფართოთ იქმნას გამოყენებული სისხ. სამართ. კოდექსის 136 და 137 მუხლები, იმ სამეურნეო ორგანოების სათავეში მდგომ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონთა კოდექსს და მის დასამატებლად გამოცემულ დეკრეტებს,ინსტრუქციებს და დადგენილებებს და აგრეთვე პროფესიონალური კავშირთან დადებულ ხელშეკრულების მუხლებს, რისთვისაც უნდა დაევალოს შრომის სასამართლოს, სამოქალაქო ძიების დაკმაყოფილებასთან ერთად, გამოყოს სისხლის სამართლის საქმე, ხსენებულ დარღვევების დამშვებ პირის, პასუხისგებაში მისაცემათ.

ამ ნაირად იმ შესწორებებით, რომლებიც ჩემს მიერ მითითებულია და მისაღებად მიჩნეული, ჩვენ შევძლებთ შრომის საქმეთა განხილვის გაჭიანურებული წესის საგრძნობლად შემოკლებას და თვით კონფლიქტების რიცხვის შემცირებას, რაც შეეხება ინსტანციებს, მორიგებითი-საკონფლიქტო წესით საკითხის განსახილველად დაგვრჩება მხოლოდ ორი: შემფ.-საკონფ. კომისია და ზედამხედველობის ორგანო, მხოლოდ იძულებითი წესით განსახილველი საკითხებისათვის ოთხი ინსტანცია: შრომის სასამართლო, უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულო, ზედამხედველობის ორგანო და უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

კანონი კარგია, მაგრამ მისი კარგათ გატარება საჭირო ცხოვრებაში.

ლეო ვაშაკიძე.

ნაოსნობის განვითარება ამ.-კავკასიაში

სანიმუშო რეისებმა მდ. რიონზე ფოთისა და სამტრედიის შუა გამოაშკარავეს გემების მიმოსვლის შესაძლებლობა ამ პუნქტებს შორის, მაგრამ ამისათვის საჭიროა ბორანების სრულიად გადაკეთება.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. წყალთა სამმართველომ მიიღო სასწრაფო ზომები მდ. რიონის კალაპოტის გასაწმენდათ. რიონის ეკონომიური გამოკვლევიდან შეგროვილ მასალისა და აგრეთვე რიონის სააგენტოს მიერ შეგროვილ დამატებით ცნობების მიხედვით, დასამტკიცებლად წარდგენილია შემდეგი გემთსადგომი პუნქტები. პატარა-ფოთი, ქვემო ქალადიდი, საქოჩაკიძეო, სირიაჭყონი, კოდორი, კეთილა, ორპირი და სამტრედია. გარდა ამ 8 პუნქტისა, სადაც აგებული იქნება პატარა შენობები კანტორებისათვის, პავილიონები —მგზავრებისათვის და ტვირთის შესანახი საწყობები, — მოსახლეობის მგზავრობის გასაადვილებლად, სანაოსნო საზოგადოებას განზრახული აქვს შეძლებისდაგვარად გააჩეროს გემები სხვა პუნქტებშიაც.

ადგილობრივი მოსახლეობა, დაბოლოს, ცხადათ დარწმუნდა იმაში, რომ მისი სანუკვარი ოცნება მიმოსვლის უფრო კულტურული საშუალების შესახებ ხორციელდება. მოსახლეობამ შეიგნო, რომ რიონზე ნაოსნობის გახსნის შემდეგ, მას შესაძლებლობა ეძლევა თავისი პროდუქცია გაასაღოს უფრო მოხერხებული და იაფი გზით და სამაგიეროთ მიიღოს საჭირო ფაბრიკატები და აუცილებელი საჭიროების პროდუქტები. გარდა ამისა, ნაოსნობის დაწყების შემდეგ მას შესაძლებლობა ექნება მიიღოს წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და წერილები, ვინაიდან ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას განზრახული აქვს ნაოსნობის გახსნისთანავე მოაწყოს მთელ რიგ სოფლებში თავისი კანტორები. გაჰყავთ აგრეთვე სატელეგრაფო ხაზიც.

რიონის ახლო მდებარე რაიონებს უჭირავს დაახლოვებით 11.755 კვ. ვერსი, ხოლო ამ რაიონების მოსახლეობა 360.000 კაცს უდრის. მთელ იმ ტერიტორიიდან, რომელიც რიონის ახლო მდებარე რაიონებს უჭირავს—80.000 დესეტ. ნოყიერი მიწაა. საშუალო მოსავლის დროს მიწის ეს რაოდენობა გლეხებს ბაზარზე გასატანად მისცემს 3—4 მილ. ფუთს სიმინდს.

ფოთის ნავთსადგურის ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ რაიონებიდან ყოველ წლიურად გაჰქონდათ 3,5 მილ. ფუთი სიმინდი. გარდა ამისა საქართველოს სატყეო ტრესტი ყოველ წლიურად ამზადებს დაახლოვებით 4.000 კუბ. საჟ. შეშას მარტო ზემო-ქალადიდის რაიონში.

ფოთსა და სამტრედიას შუა არსებულ 20 აგურის ქარხანას შეუძლიათ დაამზადონ 3,5 მილ. ცალი აგური გასატანად.

ჰავისა და ნიადაგის პირობები ხელსაყრელია თუთის ხეების გასაშენებლად. რიონის ვაკეზე და უეჭველია, რომ ამჟამად მოსახლეობა უფრო ინტენსიურად მიჰყოფს ხელს მეაბრეშუმეობას.

ფოთის მაცივარის აგების შემდეგ რიონის ახლო-მდებარე რაიონებიდან დიდათ. გაიზრდება კვერცხის, ხილის, თევზისა და სხვა ძვირფასი პროდუქტების გატანა.

ამ დღეებში მოხდა სანიმუშო რეისი მდინარე ხოფაზე და გამოირკვა, რომ ამ მდინარეზე ნაოსნობა შეიძლება 42 კილომეტრის მანძილზე. მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა პირველი თბომავალის გამოჩენას და უფასოთ იკისრა მდინარის კალაპოტის გაწმენდა, რაც დადასტურებულია სოფ. ახალი-ხორგის მცხოვრებლებისა და თემსაბჭოს გაერთიანებული კრების ოქმით.

ამ რაიონს შეუძლია ბაზარზე გაიტანოს დაახლოებით ორი მილიონი ფუთი სიმინდი და დიდძალი ხე-ტყის მასალა.

ომამდე ამ რაიონიდან მოდიოდა დიდძალი ძვირფასი ხე-ტყის ტივები, რისთვისაც ფოთის ნავთსადგურის ჩრდილოეთ ჯებირის ძირთან დადგმული იყო სპეციალურად ტივებისათვის ამწევი ბოჯი.

მალე დამთავრდება მდინარე ენგურის, ალაზნის და აგრეთვე მტკვრის გამოკვლევა ევლახის ხიდიდან თბილისამდე.

ამ რიგად სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში გამოყენებული იქნება ყველა სანაოსნო მდინარეები და ტბები. მტკვარზე არსებული ნაოსნობა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ფოილომდე და რაბების მოწყობის შემდეგ თბილისამდეც, მდ. ალაზანზე კი ნაოსნობა იწარმოებს შაქრიანის ხიდამდე (12 ვერ. თელავამდე).

სევანის ტბაზე ნაოსნობა თანდათან ვითარდება. მდ. რიონზე მოწყობილ ნაოსნობას დიდი პერსპექტივები აქვს მომავალში მდ. ხოფაზე, ინგურზე, კივაზე და პეჩოხაზე ნაოსნობის განვითარებასთან დაკავშირებით.

ტ. სპრინკველი.

---

*) სადისკუსიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ხვალ, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება

საკონკურსო ჟიურის ღია სხდომა

სხდომაზე მოწვეულნი არიან თბ. საბჭოს ყველა წევრები და სექციებზე მიმაგრებული მუშათა აქტივი

ამომრჩეველთა შენიშვნები

რომელი სექცია მუშაობს ყველაზე კარგად

ამხ. ბესარიონ ახობაძე
(თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშა)

მე, როგორც ამომრჩეველმა თბილისის საბჭოს სექციების ყურადღება ზოგიერთ ნაკლზე უნდა შევაჩერო. ჩვენი ქარხნის მუშები სამედიცინო დახმარებას ტრამვაის ამბულატორიიდან იღებენ. ამბულატორიის ექიმი, როგორც დილით, ისე საღამობითაც მუშაობს. ექ. დილით 30-40 ავადმყოფს ღებულობს. იგივე დილით დაქანცული ექიმი საღამოობითაც იღებს ავადმყოფებს. ასეთ „მკურნალობის" წყალობით ზოგიერთი მუშები იძულებული არიან კერძო ექიმებს მიმართონ.

ჩემის აზრით აქ საჭიროა ექიმთა შტატის გადიდება გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოებიდან 10-15 წუთით განთავისუფლებულ მუშებს სასწრაფო დახმარების მისაღებად, როგორც ტრამვაის, ისე სხვა ამბულატორიებში რიგში დგომა უხდებათ, რის გამო ისინი წარმოებას სცდებიან.

უნდა შევეხო აგრეთვე სავაჭრო - კოოპერატიულ სექციას. მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევის დროს კრებებზე გამოითქვა სურვილი, რათა მუშკოოპის წევრებს რიგ გარეშე მიეღოთ კოოპერატივებიდან საქონელი, მაგრამ ეს ნაკლი დღესაც მოუგვარებელია. ამას გარდა მუშკოოპის და სხვა მაღაზიებში არ მოიპოვება თეთრეული. სადგურის ქუჩაზე არსებობს მხოლოდ მუშკოოპის ერთი საყასბო, ხორცზე მოთხოვნილება კი დიდია. აქ საჭირო იყო მეორე საყასბის გახსნაც.

უდავოა, რომ განათლების სექციას სასკოლო ქსელის გაფართოების საქმეში დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ საშუალო სასწავლებლების ხარისხის გაუმჯობესების დარგში თითქმის არაფერი გაკეთებულა. ჩემის აზრით, საჭიროა საშუალო სასწავლებელთათვის პედაგოგიური პერსონალის უკეთ შერჩევა, რომ კურს-დამთავრებულ მოწაფეს უნივერსიტეტში გამოცდის ჩაბარება შეეძლოს.

რომელი სექცია შეიძლება ჩაითვალოს პირველ სექციად მუშაობის მხრივ?

ჩემის აზრით ჩატარებულ მუშაობის მიხედვით ყველა სექციებზე ნაყოფიერად მუშაობს კომუნალური სექცია, რადგან 1928 წლის თბილისი სრულიად აღარ გავს 1922-25 წლის თბილისს.

ცოტა რამ კომუნალურ სექციაზე

საბჭოს სექციების მუშაობის გარშემო კონკურსმა აახმაურა და ამოძრავა, როგორც საბჭოს წევრები, ისე ამომრჩევლებიც, ბევრი ითქვა სექციების როგორც მიღწევებზე, ისე ნაკლზე.

მე მინდა შევეხო კომუნალურ სექციის მუშაობას, „უქსის" განყოფილებაზე კომუნალურ სექციის ცნობით, სექციას მიუმაგრებია ერთი წევრი, მაგრამ რა გააკეთა მიმაგრებულმა წევრმა, ამაზე არაფერს ამბობს სექციის ანგარიში. სექციას არაფერი გაუკეთებია „უქს"-ში. ანგარიშში ნათქვამია ახალ ბინების აღმშენებლობაზე და არაა ლაპარაკი, თუ ვინ ჩასახლდა ამ ბინებში.

რკინისგზელ მუშებისთვის აგებულ ახალ სახლში უნდა ჩასახლებულიყო სარდაფებში და რონოდებში მცხოვრები მუშები, მაგრამ ეს სისწორით არ შესრულებულა. მუშების უმრავლესობა მაინც დარჩენ რონოდებში და სარდაფებში, ხოლო ახალ სახლში-კი სხვა ბინებიდან გადმოსახლდნენ. გარდა ამისა აღმასკომმა გააუქმა საბინაო განყოფილება, რის შემდეგ „უქსი" არ ღებულობდა მუშებისაგან განცხადებებს ბინის შესახებ. მის მაგიერ დაარსდა საბინაო სექცია, რომელიც განაგებს ბინის საკითხს, კომუნალურმა სექციამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას.

აღმასკომი აძლევდა დარაბებს საცხოვრებელ ბინებად, მაგრამ როდესაც მუშებმა მიიტანეს განცხადებები და კავშირის შუამდგომლობაც დარაბების საცხოვრებელ ბინებად გაცემის შესახებ, „უქს"-მა ყველას უარი უთხრა. ამავე დროს კი „უქს"-ი თავის ნაცნობ - მეგობრებს აძლევდა საუკეთესო დარაბებს საცხოვრებელ ბინებად. მაგ. სიონის ქ. № 1-ში დარაბა მოითხოვა საცხოვრებელ ბინად ქარხნის მუშა - ქალმა. მას ქონდა კავშირის შუამდგომლობა და ექიმის მოწმობაც მისი ბინის უვარგისობის შესახებ, მაგრამ „უქსმა" არც ერთს ანგარიში არ გაუწია და ცივი უარით გამოისტუმრა მუშა - ქალი. ერთი კვირის შემდეგ აღნიშნული დარაბა გაიცა პროტექციით. სიონის ქ. № 32-ში ქარვასლის მეორე სართულზე დარაბებში ჩასახლებული არიან ნაცნობობით. ირაკლის ქუჩაზე დარაბიდან „უქს"-მა მილიციის საშუალებით გამოასახლა წვრილ ცოლშვილიანი მუშა ერთი კვირის შემდეგ კი ვიღაც ნაცნობი ჩაასახლა შიგ. სიონის ბაზარი № 62-ში ქარვასლაში მეორე სართულზე ჩასახლებულია „უქს"-ის მეგობრები ისეთ დარაბებში, რომლებიც თვიურად თითო საშუალოდ შემოიტანს 100 მანეთს. საერთოდ „უქს"-ში მაკლერები არიან გაბატონებული. რაც ყოვლად დაუშვებელია. აგრეთვე არ არის ყველა სახლებში გაყვანილი წყალი. რამდენიმე სახლები დარჩენილია უწყლოდ.

ნუ თუ ამგვარ და სხვა მრავალ ასეთ უკულმართ მუშაობისთვის ყურადღება არ უნდა მიექცია კომუნალურ სექციას? „უქსი" აღმასკომში დიდი დაწესებულებაა, იქ დიდი მუშაობის წარმოება შეიძლებოდა კომუნალურ სექციის მიერ, მაგრამ რატომღაც კომუნალურ სექციამ არ მიაქცია ყურადღება ამ დარგს.

მომავალში ვიმედოვნებთ, რომ კომუნალური სექცია ფართო მუშაობას ჩაატარებს „უქსთან" ერთად საბინაო საკითხების მოსაგვარებლად.

ქვენოგნელი.

წინასწარი სამზადისი ადგილებზე

საბჭოების საანგარიშო კამპანიის წინ

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში საბჭოთა საანგარიშო კამპანიის ჩატარებას დროზე მიექცა სათანადო ყურადღება.

27 თებერვალს შემდგარ სამაღმასკომის პლენუმზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად იდგა საბჭოების საანგარიშო კამპანიის შესაფერისად ჩატარების საკითხი. ამხ. დ. ქუჩულორიამ დაწვრილებით განუმარტა პლენუმს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს კამპანია, როგორია დირექტივა ამ კამპანიის ჩასატარებლად, რა მოვალეობა აწევს სამაღმასკომს ამ მუშაობაში და როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თემებს საანგარიშო კამპანიის აქტიურად ჩატარებისათვის.

პლენუმმა მოიწონა და დაადასტურა სამაზრო აღმასკომის მიერ მიღებული ღონისძიებანი ამ მიმართულებით და დაადგინა, რომ მიმდინარე კამპანია ჩატარებულ იქნას ამომრჩეველთა აქტივობის გამოჩენით და მოსახლეობის მთლიანი დაინტერესებით.

ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა შესაფერი ნაბიჯებიც. სამაზრო აღმასკომმა მაზრა დაჰყო რაიონებად და თითეულ რაიონს მიამაგრა პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს და ჩაატარებს საანგარიშო კამპანიას. მაზრაში ამ მუშაობისათვის გამოყოფილია 12 ამხანაგი. სათანადო მუშაობა ამ დღეებში დაიწყება. მოსახლეობა მოისმენს თავის არჩეულთაგან ანგარიშს, შეაფასებს მათ მუშაობას, მისცემს დირექტივებს შემდგომი მუშაობისათვის და რაც მთავარია, უკან გაიწვევს საბჭოს უმოქმედო წევრებს.

ამ კამპანიასთან ერთად იწარმოებს ნაფიც მსაჯულთა გადარჩევა. შედგენილია სამაზრო კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ამ გადარჩევას. სათანადო ინსტრუქციები უკვე დაეგზავნა სათემო აღმასკომებს.

თუ წინეთ აღმასკომი ადგენდა ნაფიც მსაჯულთა სიას — ეხლა მას მოსახლეობა უშუალოდ ირჩევს, თუ წინეთ ნაფიცი მსაჯული და მოსახლეობა ერთმანეთთან ვერ იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი, ამიერიდან მათ შორის დამყარდება მტკიცე კავშირი.

წინეთ ნაფიცი მსაჯული არავითარ ანგარიშს არ აბარებდა თავისი მუშაობის შესახებ მოსახლეობას, ამიერიდან მან ანგარიში უნდა ჩააბაროს ამომრჩევლებს.

მარტი - აპრილის თვეებში მოთავდება ორივე ეს კამპანიები.

სენაკის მაზრის მშრომელი მოსახლეობის მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში.

გ. უჩანეიშვილი.

საანგარიშო კამპანია თბილისის მაზრაში

ტფ. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით თბილისის მაზრაში საბჭოების საანგარიშო კამპანია დაიწყება 1-ლ აპრილიდან. საანგარიშო კამპანიასთან ერთად იწარმოებს სახალხო მსაჯულთა გადარჩევა. კამპანიის ჩასატარებლად წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა სავსებით დამთავრებულია. ადგილებს დაეგზავნათ შესაფერი ცირკულიარები, კამპანიის ჩატარების გეგმა, მასალები და ინსტრუქციები სახ. მსაჯულთა გადარჩევის შესახებ, სახალხო მსაჯულებისათვის მისაცემ დავალებების და მოვალეობის განმამარტებელი პროექტი და სხ.

საანგარიშო კრებების მოწვევა იწარმოებს საარჩევნო კამპანიისათვის გამოყოფილ პუნქტებში.

მომავალში უნდა გამოსწორდეს

ამხ. აქვსენტი ნიკოლაიშვილი
(ზემდვითი ხიტყვის ხ-ის თანამშრომელი)

უნდა მიუთითო განათლების სექციის ერთ ნაკლზე. განათლების სექციამ დროზე არ მიიღო სათანადო ზომები სკოლებში და საბავშვო ბაღებში მუშათა ბავშვების მეტი პროცენტის მისაღებად; რის გამო მიმდინარე სამოსწავლო წელში, ბევრი მუშის შვილები დარჩენ სკოლისა და საბავშვო ბაღების გარეშე. ვიცი ისეთი მაგალითები, რომ მუშის შვილს უარი უთხრეს საბავშვო ბაღში მიღებაზე. ამავე დროს კი უფრო შეძლებულის შვილი მიიღეს.

მომავალ სამოსწავლო წლისათვის ეხლავე უნდა იზრუნოს განათლების სექციამ, გაამრავლოს სკოლების და საბ. ბაღების რიცხვი შეძლებისდაგვარად. და დააკმაყოფილოს მოთხოვნილება.

შედარებით სხვა სექციებთან, დიდი მიღწევები აქვს კომსექციას, ჩემის აზრით, იგი ღირსია საუკეთესო სექციის სახელწოდებისა.

ახალი ფაბრიკა-ქარხნები

(ახალმშენებათა კომიტეტის ცნობები)

უკანასკნელი თვის განმავლობაში გაცხოველებული ტემპით სწარმოებს 20 ახალი ფაბრიკა-ქარხნის აგება. ზოგიერთ მაზრებში მშენებლობის განვითარება დააბრკოლა დიდმა ზამთარმა და ყინვებმა, მაგრამ სამაგიეროდ სწარმოებდა ხის საამშენებლო მასალების დამუშავება დახურულ შენობებში (კარებისა და ფანჯრების დამზადება, ფიცრების გათლა გასუფთავება და სხვა). ცალკე სამუშაოთა მდგომარეობა გასული თვის განმავლობაში ასეთი იყო:

მაუდის ფაბრიკის ასაგებათ თბილისში მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში გადადებულია 1.700.000 მანეთი. ამჟამად სწარმოებს ქარხნის მთავარი კორპუსის აგება, რაც სამუშაო გეგმის თანახმად უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის სექტემბრისათვის. დღემდე ამ ფაბრიკისთვის საზღვარგარეთიდან გამოწერილ მოწყობილობის 20 პროც.

ბარიტის ქარხნის ასაგები სამუშაოები ქუთაისში მიმდინარეობენ დაუბრკოლებლივ, უმთავრესი ყურადღება ექცეოდა რკინა-ბეტონის სამუშაოების შესრულებას, რაც უკვე დამთავრებულია 50 პროცენტით. ამჟამად დაწყებულია სამზადისი ქარხანაში ახალი მანქანების დასადგმათ. წარმატებით სწარმოებს აგრეთვე **აბრეშუმის ხახვევი ფაბრიკების** აგება—ქუთაისში, ხონში და ოზურგეთში. სამივე ქარხნის ასაგებათ წელს გადადებულია 300.000 მანეთი.

ცემენტის ქარხნის ასაგებათ სოფ. კასპში უკვე დაწყებულია საამშენებლო სამუშაოები. დასრულდა ქარხნის ასაგები მიწის ნაკვეთის გამოძებნა და ზოგიერთი საწყობების აგება. დაწყებულია მუშაობა რკინის გზის სადგურიდან ქარხნის ასაგებ ადგილამდე რკინის გზის ჩიხის გასაყვანათ. ქარხნის ასაგები საამშენებლო მასალა ნაწილობრივ უკვე დამზადებულია და შენობების აგება დაიწყება თბილი ამინდების დადგომისთანავე.

ბორჯომში **შუშეულობის ქარხნის** ასაგებათ წინასწარი სამუშაოები დაწყებულია. ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს შუშეულობის დასამზადებელი ნედლი მასალის გამოკვლევა ხარაგოულში. ქარხნის ასაგები საესკიზო პროექტის დამუშავება დასრულდა. **კირის ქარხნის** ასაგებათ მოწამეთაში მუშაობა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს. ქარხნის ასაგებ ადგილას გაყვანილია წყალსადენი და რკინის გზის ჩიხი. საკონსერვო ფაბრიკის ასაგებათ ქ. გორში დამზადებულია საჭირო რაოდენობის საამშენებლო მასალა. მუშაობის დაწყებას აბრკოლებს მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნილ საამშენებლო პროექტის მიუღებლობა.

დასრულდა, ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგურის აგება; ამჟამად სწარმოებს ზოგიერთ მოწყობილობათა დადგმა, ახლო ხანში დაიწყება ახალი ტურბო-გენერატორების მონტაჟი.

საბინაო მშენებლობა

ა.-კ. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა ინდივიდუალური მუშათა საბინაო აღმშენებლობის მოწესრიგების შესახებ. პროექტის თანახმად, კრედიტების მიწოდება ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობისათვის, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები აწარმოებენ, შესაძლებელია მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული მშენებლობა ვერ არის საკმაოდ განვითარებული და არ შეუძლია დააკმაყოფილოს მუშათა მოსახლეობა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებს უფლება ეძლევათ მიაწოდონ ინდივიდუალურ მუშათა საბინაო აღმშენებლობას საჭირო საამშენებლო მასალები. ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა უნდა დაამუშაოს პროექტი დებულებისა ინდივიდუალურ (მუშებისა და მოსამსახურეებისაგან) მშენებლობისათვის ადგილობრივ კომუნალურ ბანკებიდან კრედიტების მიწოდების პირობებისა და წესის შესახებ.

წყალდიდობის მოლოდინში

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოსი

1928 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

1928 წლის გაზაფხულზე წყლის ადიდების გამო მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. 1928 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად მოეწყოს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარედ—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ლ. ბერია და წევრებად: საქართველოს წყალთა მეურნეობას სამმართველოს უფროსი ამხ. ბახტაძე, ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი—ამხ. კაციტაძე და ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისა.

II. წინადადება მიეცეს სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოაწყონ ადგილობრივ, იმავე მიზნით, სპეციალური კომისიები (სამეულები), რომელნიც იმოქმედებენ ამა დადგენილების პირველ კარში აღნიშნული საგანგებო კომისიის დირექტივების თანახმად.

III. შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად. შემოღებულ იქნეს მიმდინარე 1928 წ. გაზაფხულზე. წყლის ადიდების პერიოდის განმავლობაში, შრომის ბეგარა თემისა ან ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, შემდეგ საფუძველზე:

1) შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს,—შემდეგ (2) მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსახლეობა, ასაკით 18-დან 45 წლამდე, რომელიც თემში ან სათანადო სოფელში მუდმივ სცხოვრობს.

2) სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელ არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად.

დამატებითი გამონაკლისებს და შეღავათებს ჯანმრთელობისა, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა და ყოფა-ცხოვრებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით,—დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

3) პირადი შრომის გარდა, ყველა იმ თემისა თუ სათანადო სოფლის მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, ვალდა გადასცეს თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სოფლის საბჭოს, მის მიერ შრომის ბეგარის შესრულების განმავლობაში (მუხ. 4), თავისი საკუთარი მუშა-საქონელი და საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტი და ინვენტარი, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

4) სოფლის მცხოვრებნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობით, რასაც დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვარაუდით, რომ თვითეული პირის სამუშაო დღის რიცხვი გაზაფხულზე წყლის ადიდების პერიოდში 8 დღეს არ აღემატებოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

5) მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება შრომის ბეგარისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად მოხდება მაზრისა თუ თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით.

6) მას, ვინც თავს აარიდებს შრომის ბეგარის შესრულებას, დაედება ადმინისტრატიული წესით, სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ, პირველად ფულადი ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ხოლო, უკეთუ იგი ამას განიმეორებს ან შრომის ბეგარის ასრულებას დაჟინებით თავს აარიდებს,—პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხ. თანახმად.

7) ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ საგანგებო კომისიას დაევალება ერთი კვირის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. ჯ. ჯუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. ალმ.
ს. სტეფანოვი.

1928 წ. მარტის 8
ტფილისი-სასახლე.

სამაზრო საგანგებო კომისიები

მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლისათვის გამოყოფილ ცენტრალური საგანგებო სამეულის დადგენილებით, ადგილებზე შექმნილი იქნება განსაკუთრებული სამაზრო კომისიები, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის, მილიციის უფროსის, წყალთა მეურნეობის ადგილობრივ ორგანოს და ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამაზრო კომისიებს ევალებათ დაჩქარებით გამოიკვლიონ რაიონები, რომლებიც მოსალოდნელ წყალდიდობის გამო საფრთხეში იმყოფებიან; გამოიმუშაონ ღონისძიებანი აღნიშნულ რაიონების მოსახლეობის და ნაგებობათა (სარწყავი არხები და სხვა). წყალდიდობისგან დასაცავათ და თვალყური ადევნონ ღონისძიებების სწორად შესრულებას.

ცნობები ალაზნის არხიდან

ალაზნის არხის სამუშაოების უფროსი ატყობინებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ არხის მიდამოებში თოვლის სიღრმე უდრის 1 მეტრს, ტემპერატურა არხის სათავის მიდამოებში დაბალია (10 გრადუსი ყინვა) და ცუდი ამინდების გამო შეჩერებულია მუშაობა.

ასე დაგვიანებით ასეთი დაბალი ტემპერატურის შემდეგ მოსალოდნელია უეცარი ცხელი ამინდი და ჩვეულებრივზე ბევრათ დიდი წყალდიდობა, რაც ალაზნის არხს უქადის დიდ ზარალს. არხის დაზიანება განსაკუთრებით მოსალოდნელია იმ ადგილებში, სადაც არხს ერთვიან ხევები. მდგომარეობას ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ხევებში, მოსახლეობა შეეცდება ვენახების დაცვის მიზნით გზა შეუცვალოს წყალს და ამრიგათ შესაძლოა წყალმა ისეთ ადგილას გადმოხეთქოს, სადაც ყველაზე ნაკლებ არის მოსალოდნელი.

სამუშაოების უფროსი იტყობინება, რომ მიღებულია ზომები არხის დასაცავად.

გორიდან

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს გორიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ მოსალოდნელი წყალდიდობის გამო საფრთხეში იმყოფება ხაშური, გომი, გორი, ცხინვალი, სოფელი ძევერა, წითელი ქალაქი, ხიდის თავი და ოხერა. სასწრაფო ზომებისთვის საჭიროა 50.000 მანეთი.

ყარაიას არხი

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, წყალდიდობისგან ყარაიას არხის დასაცავად საჭირო ზომების გატარებისათვის საჭირო იქნება 6.000 მანეთი.

ქუთაისიდან

ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ თუ სიცხე ერთბაშათ დაიჭირა ან წვიმები დაიწყო—მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა. განსაკუთრებით ხაშიშ მდგომარეობაში არიან მდინარე ცხენის წყალზე; ცაგერი, მათხოჯი, ნაგვაზაო, მოედანი და გეზათი; მდინარე რიონზე: ონი, ქუთაისი, სარბევი, ვარციხე, საჩინო და კოდორი; მდინარე ხონის წყალზე: ბაღდათი და დიმი; მდინარე ხობზე და ინგურზე—ვაკე სოფლები. მდინარეების ნაპირების გამაგრება დაგვიანებულია. თავდაცვის ზომების მისაღებად საჭიროა 25.000 მანეთი.

თელავიდან

თელავიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მდინარეების ნაპირებზე დროებითი ზომების მისაღებათ საჭირო იქნება 80.000 მანეთი.

ბორჩალოდან

ბორჩალოდან იტყობინებიან, რომ მოსალოდნელ წყალდიდობისგან დასაცავ ზომებისთვის საჭიროა 12.000 მანეთი.

გახურებული შანთით

საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ

1925 წელში კულაშის თემის სოფელ ხუნჯულოურის მცხოვრებს გლეხ სტეფანე არსენის ძე შენგელიას მოჰპარეს ცხენი კვიცით. შენგელიამ ეძია თავისი დაკარგული ცხენი და 1926 წელში იპოვა იგი, აბაშის რაიონში (სენაკის მაზრა) სეფიეთის თემში, ეგრედ წოდებული „მახათის" საძოვარზე უკვიცოთ.

სტეფანე შენგელიამ დაუძახა ახლო-მახლო საყანეზე მომუშავე გლეხებს და ჰკითხა: თუ იცით ვისია ეს ცხენი ამ ჟამათო? ვერავინ აუხსნა თუ ვინ პატრონობდა აღნიშნულ ცხენს. ეს გლეხები იყვნენ: გაიოზ და იასონ ლვანიები და იასონ მოსეს ძე ლულუა. მათი დახმარებით შენგელია იჭერს ცხენს და მიყავს სახლში. ეს იყო თებერვალში 1926 წ. ამის შემდეგ განვლო ხუთმეტ თვემ, შენგელია ამუშავებდა თავის ცხენს მეურნეობაში.

1927 წელში, მარტში, გამოცხადდენ ორი მოქალაქე კულაშის თემის აღმასკომში „დაკარგულ ცხენის" მაძიებლად: კოწია თოფურია —სეფიეთის თემის მცხოვრები და ნესტორ გიგოს ძე მიქაძე, სამიქაოს თემის მცხოვრები. ვინაიდან თოფურიამ და მიქაძემ განაცხადეს თითქოს ცხენი მათი იყოს და რადგან ცხენი აბაშის რაიონიდან იყო სტეფანე შენგელიას მიერ წამოყვანილი, ამიტომ ცხენი გადასცა აბაშის რაიონის ხელისუფლებას და საქმეც გადასცეს აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლეს რათა მხარეებს დაემტკიცებიათ, თუ ვისი იყო ცხენი და ვისიც გამოდგებოდა საქმის დამთავრების შემდეგ ცხენი ჩაბარდებოდა მას დამნაშავისათვის კანონიერი სასჯელის მიცემით.

სტეფანე შენგელიას წარუდგენია საჭირო და კანონიერი საბუთები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოწმებული, რომ ცხენი მისია. არ ვიცი თოფურიამ და მიქაძემ წარუდგინეს სასამართლოს თუ არა ასეთი მოწმობები, მხოლოდ დღემდე საქმე არ გარჩეულა.

ყოფილა რამდენჯერმე საქმის გარჩევის დღე დანიშნული; გამოცხადებულა თავისი მოწმეებით გლეხი შენგელია 15 ვერსის მანძილზე მაგრამ საქმე მუდამ იდება; დღესაც გაურჩეველია. თოფურია და მიქაძეს არ ვიცი ყავთ სამუშაო საქონელი თუ არა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ გლეხს სტეფანე შენგელიას არა ყავს არც ხარები და არც ცხენი მისი მიწის დასამუშავებლად.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისიც ჯერ არს და მოხდეს სასწრაფო განკარგულება აღნიშნულ საქმის გასარჩევად. დამნაშავენი ამ ვოლოკიტის უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემულნი რევოლიუციონური კანონის წესით.

ვანო სტურუა.

აქაც საჭიროა რკინის ცოცხი

(ფოსტა-ტელეგრ. უწყების საყურადღებოდ)

ფოსტა-ტელეგრაფის უწყება იმიტომ არსებობს რომ მან მოქალაქეებს გაუადვილოს ურთიერთ შორის დამოკიდებულების დაჭერა, ფულისა და ამანათების გადაგზავნა.

ამ ვალდებულებას საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაფანტული ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები პირნათლად ასრულებენ; მაგრამ გამონაკლისს ამ შემთხვევაში რაჭის მაზრის დაბა წესი შეადგენს.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ პუნქტებში არ არის გახსნილი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.

ეს რომ ასე იყოს, ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლებოდა დ. წესში ფოსტის გახსნით, მაგრამ ასეთი აქ კარგა ხანია არსებობს. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ამ ფოსტის გამგეს, მოქ. ლადო გომელაურს, თავისებური „კანონები" აქვს შემოღებული და სულ სხვაგვარ პირობებში ეწევა „მოღვაწეობას".

საქმე იმაშია, რომ მოქ. გომელაური ტელეგრაფით გადმოცემულ ფულს დანიშნულებისამებრ აბარებს პატრონს მხოლოდ ერთი თვის გასვლის შემდეგ, ხშირად თვენახევრის შემდეგაც, ხოლო თუ ფული ფოსტით არის გაგზავნილი—კიდევ უფრო გვიან.

ეს სიტყვები, რომ მკითხველს უბრალო განცხადება არ ეგონოს, მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს:

გლეხ კიმოთე ქვათაძემ მიმართა თხოვნით ფოსტის გამგეს: ვინაიდან თვეზე მეტია ჩემს სახელზე მოსულია ფული—ჩამაბარეთო. მოქ. გომელაურმა უშვერი სიტყვებით გამოლანძღა უმრა ქვათაძე და თან დასძინა: ფული არ მოსულაო. ამავე დღესვე ქვათაძემ მიმართა მილიციას დახმარებისათვის და მაშინ კი გომელაურმა დაუწყო ვაჭრობა: თუ გსურს ნახევარი მიიღე, დანარჩენი კი მადროვეო.

აი მეორე მაგალითიც: მინა ქვათაძემ თავის ოჯახს გადმოუგზავნა ფული, ხოლო ფოსტის უფროსი რამოდენიმე ხნის დაგვიანების შემდეგ ნაწილობრივად უსწორდება ფულის მიმღებს.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა ბევრი შეიძლებოდა. თითქმის მთელი ქვემო რაჭის გლეხობამ იცის ლადოს ასეთი „საქმიანობის" შესახებ,—მაგრამ რადგან ეს მაგალითები წარსულ წლებს ეკუთვნიან, დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უკანასკნელი მაგალითის აღნიშვნით: ა. წ. 4 იანვარს გოცირიძის სახელზე ტელეგრაფით გადმოცემული ფული ფოსტის გამგემ დიდი ხვეწნის და მუდარის შემდეგ ძლივს ჩააბარა დანიშნულებისამებრ. ასეთი შემთხვევა სამჯერ ქონდა მოქ. გომელაურს გოცირიძესთან.

ფოსტის გამგის ასეთი უკანონო მოქმედების შესახებ სოფლის საერთო კრებაზედაც განაცხადა ერთ-ერთმა გლეხმა, მაგრამ მისი ხმა დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. კვანტალიანი ყურადღებას მიაქცევს ამ ამბავს.

შევიწროებული.

რა გამოირკვა

დამტკიცდა ბრალდებები

„კომუნისტი"-ს მე-24 №-ში (29 იანვარი) მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით: „ცოტა რამ ბარკალაიას დღიურიდან"—გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ მოხდენილ წინასწარ გამოძიების შემდეგ მანგლისის რაიმილიციის უფროსი ბ. ბარკალაია გადაყენებულია სამსახურიდან და დაპატიმრებულია დანაშაულობისათვის, რომელიც გათვალ. ს. ს. კ. 108, 109 და 119 მ. მ. მას დაუმტკიცდა წერილში მოყვანილი ბრალდებები.

სახალხო გამომძიებელი აბაშიძე.

კულაკი გავაშავეთ.

თქვენი გაზეთის ა. წ. 18 იანვარს № 14 მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „კულაკი გლეხკომის თავმჯდომარე"—გატყობინებთ, რომ კუმისის გლეხკომის თავმჯდომარე მოქ. ბეგლარ აფრიამოვი უკვე გადაყენებულია და მის მაგიერ არჩეულია ღარიბი გლეხი ალექსი სუქიასოვი.

თბილისის აღმასკომის საინფორმაციო ნაწილის გამგე კალანდაძე.

გადაყენებულია თანამდებობიდან

თქვენს გაზეთში ა. წ. 13 იანვრის თარიღით № 10 მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დარჩელის (ზუგდიდის მაზრა) სასოფ. სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრად არჩეულია ყოფილი გამფლანგველი მოქ. გაბედავა. ჩვენი გამოკვლევით აღნიშნული ფაქტი დადასტურდა.

დღეს ჩვენ მივიღეთ ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ სადირექტივო ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება მოქ. გაბედავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

ამიერ-კავკ. სახ.-სამეურნეო ბანკი
(ხელის მოწერა)

საბჭოთა საქართველო

წერილები

მშენებლობა ფართოვდება

(წერილი ოზურგეთიდან)

არა გვგონია რომ საქართველოს რომელიმე სამაზრო ცენტრს განეცადოს იმდენი განადგურება, რამდენიც ქ. ოზურგეთმა განიცადა. პირველად ის გადაიწვა სტიქიური მოვლენით დაახლოვებით ამ ორმოცი წლის წინედ. ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ქალაქს მოღონიერება და 1905 წლის რევოლიუციის დროს დამსჯელი ექსპედიციამ ალიხანოვის მეთაურობით სულ ერთიანად გადასწვა არა მარტო ოზურგეთი, არამედ ახლო მდებარე სოფლებშიც.

მენშევიკური ხელისუფლების დროს დასგომია ოზურგეთს მშვიდობიანი აღმშენებლობის ხანა. 1918 წელში ქალაქი დაიპყრო ოსმალეთის ჯარებმა და მართალია ის დაწვას გადაურჩა, მაგრამ სულ ერთიანად იქნა გაძარცული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყო წელში გამართვა გურიის ცენტრმა. გლეხობის და ოზურგეთის მცხოვრებთა დიდი ხნის ოცნება სინამდვილეთ იქცა. გაკეთდა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის ხაზი, რამაც ძალზე შეუწყო ხელი ქალაქის გაფართოებას, მის გამოცოცხლებას და მცხოვრებთა რიცხვის ზრდას.

ამას ზედ დაერთო აგრეთვე აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხნის აგება, რომელშიაც რამოდენიმე ასეული მუშა-ხელია ჩაბმული. შეკეთდა და გამშვენიერდა დარაბები. გაფართოვდა ქუჩები. მართალია ყველა ქუჩებში არაა ჯერ-ჯერობით დაგებული ქვაფენილი. მაგრამ მისი დამთავრება ახლო მომავლის საქმეა.

თუ ასეთი სწრაფი ტემპით გაგრძელდა აღმშენებლობის საქმე. ოზურგეთი არა თუ ჩამორჩება დანარჩენ სამაზრო ცენტრებს, არამედ კიდეც გაუსწრებს წინ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდი ნაკლიც. ეს გახლავთ ქალაქის განათების საქმე. ქალაქის ელსადგური სრულიად შეუფერებელია დღევანდელი მდგომარეობისათვის. ქალაქი განათებულია მხოლოდ ღამის 11 საათამდე და ისიც ყოველთვის არა.

ვფიქრობთ, რომ სამაზრო ხელისუფლება დროზე იზრუნებს ამ საქმისათვის და შეუდგება ოზურგეთისათვის შესაფერ ელსადგურის მოწყობას.

„მიატნი"

დაწყებული საქმე უნდა დავამთავროთ

დ. თიანეთი, თბილისის მაზრა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე თიანეთში საძირკველი ჩაეყარა სადურგლო სახუროო პროფსკოლის შენობას. აუარებელმა ხალხმა მოიყარა ამ დღეს თავი რაიონის ცენტრ—თიანეთში. აქვე იყო რაიონის მთელი ახალგაზრდობაც. აი, ამ ზღვა ხალხის თანდასწრებით და მონაწილეობით ჩაუყარეთ ზემოთ აღნიშნულ შენობას საძირკველი სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ორი წლის წინად იყო ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის თიანეთის სახალხო თეატრი.

აღნიშნული შენობის აგებით უნდა დაინტერესდეს არტანის და ზემო-თიანეთის თემებიც, რომელთაც ემსახურება თიანეთში არსებული პროფტეხნიკური სკოლა და მომავალშიაც დარჩება ასეთად. გარდა ამისა ჩვენ დიდი იმედი გვაქვს სამაზრო და ცენტრალური ხელისუფლების, რომ ისინი დახმარებას გაუწევენ სიბნელეში მყოფ მთის ხალხს, რომელთაც მუშურ-გლეხური მთავრობის დახმარებით მოიწადინეს კულტურულად წინსვლა.

ამ საქმის დამთავრება უნდა იკისრონ ზემოაღნიშნულმა თემაღმასკომებმა და გაზაფხულიდანვე შეუდგენ შენობის აგებას.

ალ. დოლიაშვილი.

საგარეჯოს აგრო-პუნქტის საქმიანობა

(წერილი საგარეჯოდან)

სოფლის მეურნეობა საქართველოს დღევანდელ პირობებში სახალხო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ბაზას წარმოადგენს. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობას აღდგენისა და მისი განვითარების საქმეს. დღეს იშვიათია ისეთი თემი, რომელსაც არ ყავს საკუთარი აგრონომი და ამ მხრივ სულ მოკლე ხნის განმავლობაში აგრონომიულ დარგში საგრძნობი ნაბიჯები გადაიდგა. მოეწყო აგრო-პუნქტი,—რომელმაც მცირე ხნის განმავლობაში შეიძინა სხვადასხვა მანქანა-იარაღები: ტრაქტორი,—სამკალი, სათიბი, სარკვევი, სიმინდის საცეხვი და სხვა მანქანები. აქვს აგრეთვე გოგირდისა და ვერმორელის აპარატები. აგრო-პუნქტთან მოეწყო მანქანა-იარაღების შესაკეთებელი სახელოსნო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს, როგორც გლეხებს, ისე სახელმწიფო დაწესებულებებსაც. ა. წ. იანვარში სახელოსნოსათვის შეძენილ იქნა აგრეთვე 1.000 მანეთის იარაღები.

აგრო-პუნქტი ცდების პრინციპზე აწარმოებს მიწის საცდელ-საჩვენებელ დამუშავებას. გასული წლის ზაფხულში დათესილი ქონდა იონჯა, სუდანის ბალახი, ბოსტნეული, თამბაქო, სიმინდი მწკრივზე და სხვა. აგრო-პუნქტი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მესაქონლეობის ჯიშების გაუმჯობესებას. წარსულ შემოდგომაზე ადგილობრივ სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობამ ხევსურეთში შეიძინა ხევსურული ძროხები. ამ უკანასკნელ ხანებში აგრო-პუნქტმა ჩამოაყალიბა დიდი სამანქანო ამხანაგობა. რომლისათვისაც უკვე გამოწერილია 2 ტრაქტორი, ორი სამკალი და ერთი სალეწი მანქანა. ამხანაგობის წევრთა რიცხვი უდრის 100-დე კაცს.

აღნიშნულ მუშაობის გარდა დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრო-განათლების შეტანას გლეხობაში. ამ მიზნით, როგორც წარსულ, ისე მიმდინარე წელსაც დაარსებულია აგრო-წრეები, სადაც მეცადინეობს 200-მდე გლეხი. წრეების შემდეგ განზრახულია პრაქტიკულ მუშაობისათვის დაარსდეს აგრო-კურსები. აგრო-განათლების საქმეში დიდ დახმარებას უწევენ 9-წლედის აგრონომებიც.

საერთოდ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში რაიონული აგრონომი შ. გულისაშვილი თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას.

ალ. ბ—ლი.

კულტურული დონე იზრდება

სოფ. ეწერი, ქუთ. მაზრა

ეწერი კარგა მოზრდილი თემია, 800—900 კომლის მცხოვრებით. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ენერგიულად მუშაობენ, რომლის ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს სკოლის შენობის გაფართოება და გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის დაარსება, დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე გზების შეკეთებასაც.

ეწრის თემში რამოდენიმე ალაგას არის ეკლესიის შენობები, რომელზედაც შეიძლება ითქვას: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესია"-ო, რადგან ეკლესიამ უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გლეხობაში სარწმუნოებას არავითარი გასავალი აღარ აქვს.

ეწერის თემის ერთერთ უბანში გლეხ. უმრავლესობა მოითხოვს ძველი ეკლესიის შენობის გადმოტანას ახალ ალაგას და მის კლუბათ გამოყენებას, რასაც ადგილობრივმა კულტურულმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ.

კორნ. კახიანი.

წერილებიდან

დაუხმარებლად ვერ განვახორციელებთ

ს. ქარდენახი, სიღნაღის მაზრა

ამ ორი წლის წინედ გამოვიყვანეთ წყალი, მაგრამ ის სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საბჭოების გადარჩევის დროს „ნაკაზში" პირველ მუხლად ყოველთვის წყლის გაყვანაა მოთხოვნილი, მაგრამ ჯერაც ამ საკითხის მოგვარებას არაფერი ეშველა. ეხლა საბჭო ცდილობს წყლის გამოყვანას, რაც ძალზე ძვირი ჯდება და თუ სამაზრო აღმასკომმა არ დაგვეხმარა, ვერ განვახორციელებთ.

ც. მათიაშვილი

მუშაობა გაცხოველდა

მცხეთის თემი, დუშეთის მაზრა

მას შემდეგ, რაც მცხეთის თემპოლიტგანის ხელმძღვანელათ დაინიშნა ამხ. ა. მახარაძე, ძალზე გაცხოველდა მუშაობა. პოლიტგანს აქვს ქოხ-სამკითხველო, კლუბი, გამოდის ყოველთვიურად კედლის გაზეთი, იმართება საღამო-წარმოდგენები, საუბრები, გაიხსნა წ. კ. უცოდინართა ორი სკოლა, განზრახულია რადიო-მიმღებ აპარატის დადგმა და კინო-აპარატის შეძენა. ამხ. ა. მახარაძე ყველა ამ მუშაობაში განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს.

მცოდნე.

მუშათა ცხოვრება

სამხკორები ჩვენ მუშკორებთან

ამას წინათ შესდგა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება სამხკორებთან ერთად. დღის წესრიგში იყო — მოხსენება — წითელ არმიის ათი წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის შესახებ, სამხკორებთან კავშირის გაბმა და მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ნანუაშვილმა, რომელმაც გააცნო მუშკორებს წითელარმიის ისტორია და მისი თავგანწირული ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციის გასამარჯვებლად. მიუხედავად მუშურ-გლეხური ხელისუფლების მაშინდელი ეკონომიური სისუსტისა, გლეხებისაგან შემდგარმა წითელმა არმიამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გადალახა ყველა ის დაბრკოლებები, რომელიც ეღობებოდა წინ საბჭოთა ხელისუფლებას პირველ 3—4 წელს. როგორც შინაურმა კონტრ - რევოლიუციონურმა ძალებმა, ისე ბურჟუაზიულმა მთავრობებმა წითელი არმიის სიმტკიცით სასტიკი დამარცხება განიცადეს სამოქალაქო ომის დროს, წითელმა არმიამ თავისი მოვალეობა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის წინაშე პირნათლად შეასრულა.

1921 წლიდან წითელი არმია თანდათანობით გადადის მშვიდობიან მდგომარეობაში. იგი უფრო მტკიცდება თავისი თვისებით. მშვიდობიან დროის განმავლობაში წითელმა არმიამ საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა. დღეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მხურვალედ ეგებება წითელი არმიის ათი წლის თავს. ჩვენ მუშკორებიც არ უნდა ჩამოვრჩეთ სხვებს. ჩვენ უნდა გადავსდგათ ნაბიჯი ამ ფრიად ღირსშესანიშნავ დღესასწაულის აღსანიშნავად წითელ არმიელებთან განსაკუთრებით კი სამხედრო კორესპონდენტებთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად.

გაზ. „წითელ არმიელის" რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ბახტაძე მიმოხილვას უკეთებს წითელ არმიის ნაწილებში წარმოებულ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას და მოუწოდებს მუშკორებს, რათა მათ გააბან კავშირი სამხკორებთან, გაეცნონ სამხედრო ნაწილებში გამოცემულ კედლის გაზეთებს და მოახდინონ ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

შეკითხვების შემდეგ კრებამ მოხსენების ირგვლივ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია კონკრეტული ღონისძიებანი, მუშკორების სამხკორებთან დასაკავშირებლად.

ვანო.

გავაკეთოთ აუცილებელი საქმე

ლენინის უბანში, იურევის ქუჩა № 1, სახლი ეკუთვნის აღმასკომს. აღნიშნულ შენობაში სცხოვრობს 35 მდგმური. სახლი დაზიანებულია. ოთხი წლის განმავლობაში არ მოსულა. წვიმა, რომ ბინებში არ ჩამოსულიყო. ასეთი მდგომარეობაა დღესაც.

გარდა ამისა, ზოგიერთ მდგმურებს არა აქვთ შეშის დასაწყობი ფარდულები, რის გამო მუშებს ფუთობით უხდებათ შეძენა. იმის მაგივრად, რომ აღმასკომმა პირველ რიგში გააკეთოს აუცილებელი საქმე და გამოიყვანოს მდგმურები ასეთ აუტანელ მდგომარეობიდან, ის ეზოში აგებს ქვა-ფენილს. მუშები კი განიცდიან გაჭირვებას, როგორც ბინის შეუკეთებლობით, ისე უსუფთაობითაც.

კარგი იქნებოდა, რომ აღმასკომს გაეწია ანგარიში მუშა-მდგმურებისათვის და პირველ რიგში გაეკეთებია აუცილებელი საქმე.

დიდ გომარეთის წყარო.

დაუდევრობა რკ. გზის საავადმყოფოს აფთიაქში

ა.-კ. რკ. გზის აფთიაქში არ არის ყველაფერი რიგზე, ხშირად აქვს ადგილი ისეთ დაუდევრობას, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს უბედური შემთხვევა. ამას წინად რკ. გზელმა კონჯორიამ რკ.-გზის აფთიაქიდან გაიტანა წამალი რომლის რეცეპტებზე ერთი სუფრის კოვზის მაგიერ, ოთხი სუფრის კოვზის წარწერა ჰქონდა. კონჯორიამ გზაში წაიკითხა წარწერა და რაკი ნახა, რომ შეცდომაა, ისევ უკან დაუბრუნა და გადაასწორებინა. ისე, რომ მოქ. კონჯორიას, რომ არ სცოდნოდა წაკითხვა, ერთი კოვზის მაგიერ ავადმყოფს მიაღებინებდნენ ოთხ კოვზს, რასაც შეიძლება ემსხვერპლა კიდეც ავადმყოფი.

რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას, და აფთიაქის დაუდევარ მოხელეს მოსთხოვოს პასუხი.

მუშკორი ლანტკურელი.

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება

თვითმპყრობელობის დროს ოჯახში მიჯაჭვულს და ყოველმხრივ დაჩაგრულ ქალებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოვანიჭა თავისუფლება და გაგვიწია ყოველ-მხრივ დახმარება. ათასობით და ათი ათასობით ქალები ჩაბმული არიან, როგორც ეკონომიურ, ისე საზოგადოებრივ კულტურულ საქმეშიც. სოფლიდან ქალები მიეშურებიან ქალაქს და ებმებიან სახელმწიფოებრივ მუშურ - გლეხურმა ხელისუფლებამ, უმუშევარი ქალებიც არ დასტოვა უყურადღებოდ. სხვა საზოგადო სამუშაოებთან ერთად სახ. კომისართა საბჭოსთან დაარსდა ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისია", რომელსაც მთავარ ხელმძღვანელობას უწევს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

აღნიშნულმა კომისიამ დაარსა მრავალი კოლექტივები და ამხანაგობები, დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებებში ბუფეტების მოწყობა, რომლებშიც მომუშავეებად ჩააყენა უმუშევარი, პატიოსანი მშრომელი ქალები. მათ ჯამაგირები ეძლეოდათ საერთო მოგებიდან 33 მანეთი თვეში. ბუფეტების გახსნამ დიდი სარგებლობა მოიტანა, როგორც დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, ისე უმუშევარ ქალებსაც და თვით კომისიასაც. ზოგიერთ დაწესებულებები, ბუფეტებს მუქთად აძლევენ ნავთს, ნახშირს. და შეშას.

ამან ხელი შეუწყო უმუშევარ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამჟამად ბუფეტში მუშაობს დაახლოებით 2000-მდე ქალი, ქალთა შორის საზოგადო და კულტურული მუშაობა კარგად სწარმოებს. ყოველ თვეში ერთხელ ხდება საერთო კრება, სადაც კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემაზე და სადაც ქალები აღნიშნავენ ყოველგვარ ნაკლს. ამას წინად, ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელმა კომისიამ გამოჰყო ბუფეტში მომუშავეების კოლექტივი ცალკე. კოლექტივის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ა. მამულიას ქალი, რომლის მუშაობით ყველა ქალები კმაყოფილია. კოლექტივის ცალკე გამოყოფის გამო საქმე იმდენად დაწინაურდა, რომ შესაძლებელი შეიქნა მომუშავეებზე ჯამაგირის მომატება. კომისიამ კოლექტივის ხელმძღვანელთან ერთად დაამუშავა ეს საკითხი და ქალებს გადიდეს ჯამაგირი 33 მანეთიდან 50 მანეთამდე. კომისია და კოლექტივი ღებულობს სამუშაოზე თბილისში ჩამოსულ უმუშევარ ქალებს და ათავსებს ბუფეტში. ისე, რომ ქალების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და ახლო მომავალში მათი პირობები არ ჩამოუვარდება დაწესებულებებში მომუშავე ქალების პირობებს. ასეთია ჩვენი მიღწევები ქალთა საერთაშორისო დღისათვის.

ნინა გიგინეიშვილი.

მუშკორთა წერილებიდან

— **გაგვიხსენით ფარდული.** რკ.-გზის გადაღმა, მე-9-ე სამილიციო უბანში, უმთავრესად რკინისგზელები ცხოვრობენ. ბევრი მათგანი „ზაკტპო"-ს წევრებიც არიან, მაგრამ „ზაკტპო"-ს მაღაზის უქონლობის გამო კერძო ვაჭრებთან იძენენ საჭირო საქონელს. „ზაკტპო"-ს გამგეობავ, გაგვიხსენი ჩვენც განყოფილება.

დ. თევდორაშვილი.

— **დაუმთავრებელი ქუჩა.** მე-9-ე სამილიციო უბანში, შ. არაგვისპიროელის ქუჩა დაუმთავრებელი და ნაწილი მოუკირწყლავია. ქუჩის ბოლო ნაწილი ისეთი ვიწროა, რომ ურემს შეშით ვერ გაუვლია.

აღმასკომო, დაამთავრე ეს ქუჩა.

ხ—ლი.

— **ფულს ტყუილა იღებს.** კლარა ცეტკინის ქ. № 36-ში მოთავსებულია ჭრა-კერვის კერძო სასწავლებელი, რომელიც ეკუთვნის ვინმე ვ. ლოლოიანცს. ეს ქალბატონი იღებს მოწაფეებისაგან ფულს, მაგრამ სწავლებით არაფერს ასწავლის. შრომის ინსპექტორო, შემოიხედე ამ სასწავლებელში.

ძველი მუშა.

— **ფული მიითვისა.** ჟურნალ „ოგონიოკი"-ს გამომცემლობის წარმომადგენელი თბილისში, ვინმე აკოპიანცი ხელისმომწერლებიდან აღებულ ფულს თავის დროზე არ აბარებს დანიშნულ ალაგას. 28 იანვარს ერთმა ხელისმომწერმა გადაიხადა 10 მ. და 50 კაპ. აკოპიანცმა აქედან მხოლოდ 3 მან. და 50 კაპ. შეიტანა. ეს ჩვენის აზრით ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

დამსწრე.

საქ. ცაკში

ბელორუსიის გლეხკომების ყრილობა

ცაკის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ და სრულიად საქართველოს ცენტრ. გლეხკომმა ბელორუსიიდან მიიღო წერილი ბელორუსიის რესპუბლიკანურ გლეხკომების ყრილობაზე საქართველოდან წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. ყრილობა გაიხსნება ქალაქ მინსკში 15 მარტს.

ამხ. ქ. ხომერიკის გამგზავრება

სამსახურთან დაკავშირებულ საქმეების გამო გუშინ გორის მაზრაში გაემგზავრება საქ. ცაკის მცირე პრეზიდიუმის წევრი და სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ხომერიკი.

ახალციხის გლეხის სახლში

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, ახალციხის გლეხის სახლი სამი ოთახით გაადიდეს. დღემდე გლეხის სახლს ქონდა 15 საწოლი, ამჟამად კი მას აქვს 40 საწოლი. გლეხის სახლში ახალციხის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან და თემებიდან უკანასკნელ საანგარიშო სამი თვის განმავლობაში ჩამოვიდა და ღამე გაათია—1.677 გლეხმა. საჭიროების დროს გლეხის სახლში ჩამოსული გლეხები უფასოდ ღებულობენ იურიდიულ რჩევა-დარიგებას (დღეში აქ გლეხებს უფასოდ უწერენ 30—40 განცხადებას) და საექიმო დახმარებას. ახალციხის გლეხის სახლს აყვანილი ყავს გასაზრდელად ორი უპატრონო გლეხის ბავშვი ერთი ქართველი და ერთი თათარი, სახლს განზრახული აქვს კიდევ აიყვანოს გასაზრდელად ერთი უპატრონოთ დარჩენილი ბავშვი. ახალციხის გლეხის სახლში გლეხებისათვის ხშირად ეწყობა მოხსენებები და საუბრები. ამ სახლში უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ხუთჯერ გააკეთეს მოხსენება გლეხის მეურნეობის განმტკიცების, სესხის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე. აქვე მაზრის აგრონომმა რამოდენიმეჯერ მოაწყო საუბარი იმის შესახებ, თუ გლეხებმა როგორ უნდა დაამუშაონ მიწები, როგორ მოუარონ ვენახს და საქონელს.

საქ. სახკომსაბჭოში

ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრები

სახკომსაბჭოს კომისიის დასკვნის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრები გადაეცა სამაზრო აღმასკომებს გარდა თბილისის აღმასკომისა, რომელსაც აღნიშნული საძოვრები გადაეცემა 1928—29 წლიდან.

მდ. ფოროხის, კინტრიშის და აჭყვას ნაპირების გამაგრება

წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოახდინოს მდ. ფოროხის, კინტრიშისა და აჭყვას ნაპირების გამაგრების გამოკვლევა, შეადგინოს სათანადო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ეკონომიურ საბჭოში წარსადგენად.

მასთან ნება მიეცა წყალთასამმართველოს აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო თანხა — 5.000 მან. გაიღოს სამმართველოს 1927—28 წ. ხარჯთაღრიცხვით წვრილ და მოულოდნელ სამუშაოთათვის გათვალისწინებულ თანხიდან.

შეღავათები სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალებულ რაიონებს

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს სათანადო სამაზ. აღმასკომებს შეადგინონ სრული სია სტიქიურ მოვლენეთაგან დაზარალებულ რაიონების ღარიბეს გლეხურ მოსახლეობისა, რომელსაც სავალდებულო სეგადასახადო დაზღვევის საქმეში უნდა მიეცეს შეღავათები. ამ საქმეს მთლად უნდა მოხმარდეს აღმასკომების განკარგულებაში გადაცემული საშეღავათო ფონდი.

სახ. დაზღვევის კანტორას დაევალა მაზრების დამატებითი მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად 1927—28 წ. მთლად გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული საშეღავათო რეზერვი და აგრეთვე გასული წლის საშეღავათო ფონდის ნარჩენი.

მასთან სხდომამ დაადგინა ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს განკარგულება, რათა ა.-კ.-ის სახ. დაზღვევის საზ-ბამ მასიურად გამოიყენოს დამატებითი საშეღავათო რეზერვი საქართველოს დაზარალებულ რაიონების საჭიროებისათვის.

პლატფორმა ორპირის (ტყიბ. რკ. გზა) გადაკეთება სადგურად

ვინაიდან ორპირის ბაქანის გადაკეთება სადგურად დიდი მნიშვნელობა ექნება ხსენებულ რაიონში არსებულ ბარიტის (რომლის ექსპლოატაციის საქმის ფართოდ დაყენება გადაწყვეტილი არის) გამოზიდვის ზედნადების ხარჯის შემცირების საქმეში, საჭიროდ იქნა ცნობილი ხსენებულ ბაქანის გადაკეთება სადგურად.

ადმინისტრ.-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირება

საქართველოს ს. ს. რ. (ავტონომიებით) 1927—28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრ.-სამმართველო ხარჯები (გარდა უკვე ჩატარებულ შემცირებისა 461823 მანეთისა) შემცირებულ იქნა 20 პროცენტით ე. ი. 224.855 მან. რაოდენობით.

მტკვარში ორაგულის დაჭერის აკრძალვა

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილების, რომლის ძალით აკრძალულია მდ. მტკვარში ორაგულის დაჭერა ა. წ. მარტის 1-დან ივნისის 1-მდე.

ფოთის ჭაობის ამოშრობა

წყალთა სამმართველოს მმართველის ამხ. ნ. ბახტაძის მოხსენების თანახმად, სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო ფოთის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა პროგრამა.

პროგრამის მიხედვით უნდა დამთავრდეს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ჯებირების გაყვლების დროს დატოვებული წყალსაშვებები; დანარჩენი სამუშაოები უნდა შეჩერდეს.

უნდა იქნეს შედგენილი კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სრული სქემა.

სათესლე მასალა დაზარალებულ რაიონებს

სტიქიურ მოვლენათგან დაზარალებულ რაიონების მოსახლეობისათვის სათესლე მასალის მიწოდების მიზნით საქართვ. სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ევალება მიიღოს ზომები, რათა შემოზიდული სიმინდი პირველ რიგში მიეცეს დაზარალებულ რაიონებს. დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის სათესლე მასალის შესაძენად საჭირო კრედიტი დამტკიცებულია 300.000 მან. რაოდენობით, სხდომამ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე ხსენებულ კრედიტის სასწრაფო წესით გამონახვის შესახებ.

ამასთანავე წინადადება მიეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს, სასწრაფოდ გადისინჯოს თავისი საკრედიტო გეგმა იმ მიზნით, რათა ეხლავე გამოყოს 80.000 მან. მისაღები თანხის ანგარიშში, მეტად დაზარალებულ რაიონებში (ზუგდიდისა და სენაკის მაზრ.) დაუყოვნებლივ გადასაგზავნად.

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირის" გამგეობას სასწრაფო წესით გადააგზავნოს 15.000 ფუთი სათესლე სიმინდი ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში.

ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს დაევალა მიიღოს სასწრაფო ზომები „სოფლის კავშირისათვის" 15.000 ფუთ. სათესლე ხორბლისა (გაზაფხულის) და 9.000 ფუთი სათესლე ქერის შემოსაზიდათ.

სხდომამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს სახელმწიფო ბანკს, გაუხსნას „სოფლის კავშირს" 27.000 მან. კრედიტი.

„სოფლის კავშირის" გამგეობას დაევალა სათესლე მასალის დასამზადებლად მისთვის გადაცემული 10.000 ფუთი ხორბლიდან 6.000 ფუთი გადაგზავნოს სიღნაღის მაზრაში გლეხების შორის გასანაწილებლად.

ქრონიკა

ცვალებად შემადგენლობის წითელ-მოლაშქრეების საყურადღებოდ

ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის საარტ. ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის წითელ მოლაშქრეები დაბადებულნი 1901, 1902, 1903 და 1904 წლებში, მცხოვრებნი ქალ. თბილისში და მის მიდამოებში, სათანადო ბრძანების თანახმად ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თავიანთ განყოფილებაში (კლარა ცეტკინის ქ. № 119) დილის 8 საათზე ა. წ. 11 და 25 მარტს. ვინც არ გამოცხადდება და არ წარმოადგენს სათანადო საბუთს, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს სტიპენდია

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სექციათაშორისო ბიურომ სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის აღსანიშნავად სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე დააწესა საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სექციათაშორისო ბიუროს სახელობის სტიპენდია 360 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

ა.-კ. საგზაო-სატრ. კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა

ყრილობის 8 მარტის დილის სხდომაზე მუშაობდენ კომისიები, რომელთაც დაამუშავეს რეზოლიუციები ორგანიზაციულ, ოპერატიულ, ფინანსიური და სავაჭრო საკითხების გარშემო.

საღამოს, მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გაიმართა ყრილობის დელეგატების და საზ-ბის თანამშრომელ ქალთა საერთო კრება. კრებას ქონდა საზეიმო ხასიათი.

ახალი აგრონომები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა 39 კაცმა. მათ შორის სპეციალობის მიხედვით 27 მებაღე-მეღვინეა, სასოფლო-მეურნეობის მცოდნე—9 და 3 მეტყევე.

ექსკურსიების მოსაწყობად

პოლიტგანათლების მთავარსამმართველოსთან არსებულ საექსკურსიო ბიურომ დაამთავრა მოლაპარაკება საბჭოთა ფლოტთან უცხოელ ექსკურსანტების შავი ზღვით საქართველოში გადმოყვანის შესახებ. წინასწარ მიღებული ცნობებით წელს საქართველოში მოგზაურობას აპირებს მრავალი უცხოელი ექსკურსანტი.

საექსკურსიო ბიურო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ზაფხულის განმავლობაში ექსკურსიებისათვის შესაფ. დახმარებ. აღმოსაჩენად. საექსკურსიო ბიურომ გადაწყვიტა შეკრებს ლექციების კითხვა მუშათა კლუბებში ექსკურსიების მნიშვნელობის შესახებ.

ბამბა

შულავერის ბამბის საწმენდ ქარხანაში ამოშავებულია ახალი მანქანები. ამ ქარხანაში გაწმენდილი ბამბა საუკეთესო ხარისხის ძაფს იძლევა. წელს საქართველოში ბამბა დამზადებული იქნა გეგმაში გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი. სულ დამზადებულია 140.000 ფუთი ბამბა. გეგმით კი დამზადებული უნდა ყოფილიყო 115.000 ფუთი. ხარჯები ერთ ფუთ ძაფის გაწმენდაზე 5 მან. 81 კაპეიკიდან დაეცა 3 მან. 60 კაპეიკამდე.

წელს საქართველოში ბამბა დათესილი იქნება 6.400 დესეტინაზე; მოსავალი საშუალოდ ნავარაუდევია 35,3 ფუთი დესეტინაზე.

ბამბა დათესილი იქნება: ბორჩალოს მაზრაში—3.000 დეს., ყარაიის რაიონში—1.500 დეს., კახეთის რაიონში—400 დეს., და დასავლეთ საქართველოში—1.500 დეს.

კვერცხების დამზადება

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მიმდინარე წელს საექსპორტოთ უნდა დამზადდეს 23 ვაგონი კვერცხი. კვერცხის დამზადება უნდა აწარმოონ ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ და „სოფლის კავშირმა". „სოფლის კავშირი" დამზადებული კვერცხების მთელ რაოდენობას გადასცემს ა. კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის მომარაგება კვერცხით. თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის მოთხოვნილება კვერცხებზე 1 ივნისამდე განსაზღვრულია 17 ვაგონით, აქედან ცხრა ვაგონი—მუშკოოპს, 3,5 ვაგონი—„ზაკვოენპო"-ს და 4.5 ვაგონი—„ზაკტპოს". საცალო ფასებს კვერცხებზე დააწესებს საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატი.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება.** თბ. მაზრაში სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის საქონლის საკვების მისაწოდებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 5000 მანეთი.

◆ საქართველოს გასაბჭოებიდან 7 წლის თავის შესრულების გამო თბ. აღმასკომმა ერევნის აღმასკომისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა.

◆ **თესვის კამპანია.** საადგილ-მამულო განყოფილება გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად მაზრაში, აგზავნის აგრონომების ახალ კადრს.

მიწსახკომში

◆ **სამანქანო ამხ-ბები.** მიწსახკომმა დაადგინა მიიღოს ზომები წელს სამანქანო ამხანაგობების ქსელის გასაფართოებლად. ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 150 სამანქანო ამხ-ბა და არტელი.

◆ **სახელოსნო.** მიწსახკომმა გადაწყვიტა სიღნაღის მაზრაში გახსნას სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებელი 2 სახელოსნო.

სახ. უნივერსიტეტში

◆ უნივერსიტეტის კლუბში დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება ეკონომიური წრის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ვიქ. თევზაია, „მეურნეობის განვითარების 5 წლ. პერსპექტ. გეგმა".

◆ სახ. უნივერ. სტუდენტთა აღმასბიუროს სარევიზიო კომისიის სხდომა შესდგება დღეს, დღის 12 საათზე.

პროფკავშირებში

◆ პროფსაბჭოსთან არსებული მუშათა პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელი კომიტეტი სთხოვს საქ. პროფკავშირთა პირველ (1919 წელში) მოწვევის საბჭოს წევრს ამხ. ზ. ჩხაიძეს შემოიაროს პროფსაბჭოში, ან გამოგზავნოს თავისი მისამართი.

◆ **უმუშევართა კრება.** პროფკავშირთა ახალ დარბაზში 13 მარტს დილის 10 ს. ხელმძღვანელ მოწვეულია მჭედლების კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება.

სხვადასხვა

◆ **ჭაობების ამოშრობა.** წყალთა მეურნეობის სამმართველო გაზაფხულზე შეუდგება ფ. კოლხიდის დაბლობის ჭაობების ამოშრობას, რის შემდეგაც ამ დაბლობზე შეიძლება დასახლებული იქნეს 35.000 კომლი.

◆ მონადირეთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი ამავე კავშირის საწევრო ბილეთზე საუკეთესო ნიშნის დამზადებისათვის. პროექტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 1 აპრილამდე.

◆ ქართული ენის კაბინეტში (მე-14 შრ. სკ.) დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება ქართული გრამატიკისა და ლიტერატურის მარქსისტული სემინარის წევრ-მასწავლებელთა გაერთიანებული მუშაობა.

ამავე დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება კაბინეტის ბიუროს, საპროგრამო კომისიის და არაქართულ სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა სემინარის მუშაობა.

ჩაუბარებელი დეპეშები

ქუთაისიდან — ჯაფარიძეს, მოსკოვიდან—ედისხკს, იქიდანვე — დავითიანს, აკეთიდან—ჭაბაშვილს, იორიდან — ციტაიშვილს, ნახიჩევანიდან — გასანოვს, ზესტაფონიდან — [illegible], ბაქოდან—შტერნს, კარადონლიდან—ლუკაშინს, თელავიდან—ფოფხაძეს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში, ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში რეცენზიაში კაუცკის წიგნის შესახებ გაპარულია შემდეგი შეცდომა.

სწერია „უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი". უნდა იყოს—„უახლესი" სოციალიზმის წინამორბედნი".

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ინფორმაციაში სახ. მსაჯულთა გადარჩევის შესახებ შეიპარა შემდეგი შეცდომები: მესამე აბზაცში სწერია: სახალხო მსაჯულად არ შეიძლება არჩეულ იქნას ის პირი, ვინც სასამართლოს მიერ გამტყუნებულია სახელმწიფოებრივ დანაშაულის ჩადენის გამო, უნდა იყოს. სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის გამო. უკანასკნელ აბზაცში მეექვსე სტრიქონში სიტყვის შემდეგ „იმავე სასამართლოში"—გამოტოვებულია სიტყვა „სამოქალაქო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ბარიტონ ქაშაკაშვილის მეორე გამოსვლა

„ჯამბაზები“. მუს. ლეონკავალოსი

ტონიოს როლის შესრულების თავისებურობით ქაშაკაშვილი ამტკიცებს როგორც თავის ოსტატობას და მშვენიერ გემოვნებას ვოკალობაში, ისე იმ გარემოებასაც, რომ იგი პატრონია დრამატიულ შემოქმედების შესანიშნავ ნიჭისა და რომ არის არა მარტო დახელოვნებული მომღერალი, არამედ დიდი მსახიობიც. ვოკალური მხარე ტონიოს როლისა მის მიერ დამუშავებულია ყველა აკადემიურ მოთხოვნილებათა სასტიკი დაცვით, მაგრამ სასიმღერო ფრაზის გამომეტყველება მის შესრულებაში იმდენად ღრმავდება, იმდენად დამახასიათებელი ხდება მისი სცენიურ ტიპისა, იმდენად შეხავებულია საერთო დრამატიულ განვითარების ხასიათთან, რომ ამ როლის ვოკალური ფრაზეოლოგიის მნიშვნელობა იზრდება და ცალკე სარეჩიტატივო ძიებებიც კი ღებულობენ ღრმა ფსიქოლოგიურ ხასიათს. ოპერაში სასიმღერო შესავალს (პროლოგის) უკეთესი შესრულება ძნელად წარმოსადგენია: ქაშაკაშვილს სრულებით არ სურს ამ ადგილში დაჩრდილოს თავისი ხმოვანებით ამ შესავლის ღრმა შინაარსი, არ აძლევს მას იმ საკონცერტო ხასიათს, რომელსაც ჩვეულებრივ ვხედავთ დიდ მომღერალთა შესრულებაში; ჩვენ წინაშე არის ნამდვილი მოხეტიალე ჯამბაზი სცენის გარეშე, რომელიც გამოსული აუდიტორიასთან სასაუბროდ, თავის და უეჭველად ჩავარდება წარსულის ოცნებაში, ადამიანდება, სინამდვილით გამოღვიძებული უეცრივ იცვლის სახეს და დაფარავს თავის სულის კვეთებას განძრახი უკმეხობით, საბალაგანო ყოფა-ქცევით და კილოთ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქაშაკაშვილი, რომელსაც ბუნებრივად და ტეხნიკურად შეუძლია თავისუფალი და ფართო ხმოვანი სიმღერა ბარიტონის ხმის უმაღლეს ფენებში, არ მისდევს იაფ-ფასიან ეფექტებს და გადაშლის ხმას სწორედ იმ ადგილებში, სადაც ამას მოითხოვს თვით ფსიქოლოგიური შინაარსი, რის გამო ამ ადგილების მნიშვნელობა ღრმავდება.

უფრო შესანიშნავია ქაშაკაშვილის შესრულებაში ტონიოს როლის სცენიური მხარე: ქაშაკაშვილის ტონიოს იზიდავს ნედდასთან არა პირუტყვული ვნება (როგორც გულისხმობენ ტონიოს მრავალი სხვა შემსრულებელნი), არამედ ტონიო ალმერთებს ნედდას და თვითონ მახინჯი და სულცარიელი ხედავს ნედდაში სილამაზის და სულის სიმაღლის იდეალს; და მოაკლევინებს კანიოს ნედდას არა იმიტომ, რომ ნედდამ ზიზღით და დაცინვით უარჰყო მისი სიყვარული, ვინაიდან ტონიოსათვის ეს იყო სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენა, არამედ იმიტომ, რომ სილვიოსადმი ნედდას ტრფობამ დასცა ნედდა ტონიოს თვალში, დაამსხვრია მიუწვდომელობის იდეალი და დაცარიელა ტონიოს გული. შესანიშნავი მიმიური ნიჭის პატრონი ქაშაკაშვილი და ვინც ნახავს მის სახის და მთელი სხეულის გამომეტყველებას, როდესაც იგი სტკება ნედდას ალტაცებით ბუნების სიმშვენიერისადმი (ნედდას არია პირველ მოქმედებაში) და შემდეგ მის მიერ კანიოს მკვლელობისაკენ წაქეზებას—ის დაგვეთანხმება, რომ ქაშაკაშვილი აზროვანი და ნიჭიერი მსახიობია.

ოპერას დიდის გემოვნებით, გამოცდილებით და დინამიურ ადგილების გამოყოფით ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— მომღერალ ვ. ქაშაკაშვილის მესამე გამოსვლისათვის დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა“.

— წითელ არმიელთა კლუბში დღეს პროლეტკულტ დრამატიულ სახელოსნოს მიერ წარმოდგენილი იქნება ა. ხაგანლის კომედია „ტიპ-ტოპ“. დადგმა დ. კობახიძის. მხატვარი დ. კაკაბაძე.

— მაქსიმ გორკის 35 წლის იუბილეს ჩასატარებლად სახ. კომისართა საბჭოსთან დაარსდა საიუბილეო კომიტეტი ამხ. შ. ელიავას თავმჯდომარეობით.

— „დები ფრარ“. მუშ. თეატრის ქართული დრამა ამუშავებს პიესას: „დები ფრარ“ (ორი ობოლი). დადგმა ვ. აბაშიძის. მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი.

— პოეტ ს. შანშიაშვილის თაოსნობით 15 მარტს კონსერვატორიის დარბაზში მე-12 შრომის სკოლის სასარგებლოდ იმართება დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

სასამართლო

მოღალატე მასპინძელი

ეს ამბავი მოხდა გასულ წელს იანვარში, სოფელ წყლოვანეთში (თბილისის მაზრა).

დაიკარგა მახმედ ისა-ოღლი. ჭირისუფლები დაეძებენ, მოსთქვამენ და ჰგოდებენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებიც ფეხზე დააყენა ამ საკვირველმა ამბავმა.

გავიდა თითქმის ერთი კვირა. კაცი არსად ჩანს.

მახმედის მეგობარი მიდის მილიციაში და აცხადებს, რომ მას ეჭვი აქვს ნაფტალი შამილ ოღლიზე, რომელთანაც სტუმრად იყო წასული მახმედი.

— იქითი კაცია ნაფტალი, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება მოჰკლა და სადმე გადააგდო. მახმედს ფული ჰქონდა ჯიბეზე ას ათი მანეთი. მისი ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც მადას აღუძრავდა ნაფტალს,—ლაპარაკობს მახმედის მეგობარი მილიციაში.

დილომის თემაღმასკომის თავმჯდომარემ გაგზავნა წარმომადგენელი ნაფტალის დასაბარებლად.

ნაფტალი თბილისში წამოსულა. სახლში არ დაუხვდა აღმასკომის წარმომადგენელს. მოჰყავთ აღმასკომში იმისი ცოლი დასაკითხად.

— ნაფტალი დაპატიმრებული გვყავს. აი იქ არის, საპატიმრო ოთახში. ის გამოტყდა დანაშაულში. სთქვა, რომ მახმედი მან მოჰკლა. მხოლოდ ის ვერ ვათქმევინეთ,—სად გადააგდო გვამი,—ეუბნება აღმინისტრაციის წარმომადგენელი ქალს დამაჯერებელ კილოთი.

— გვამი ჭაში გადააგდო,—წამოიძახა შამილის ცოლმა.

ასე გაიხსნა ეს საზიზღარი მკვლელობა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა შამილის ეზოს მახლობლად გაუქმებულ ჭიდან ამოიღეს მახმედ ისა-ოღლის გახრწნილი გვამი, რომელსაც 18 ჭრილობა აჩნდა.

მახმედი ნათესავიც იყო ნაფტალი შამილ-ოღლის. სტუმრად მისული მახმედი არ გამოუშვა მასპინძელმა სახლში. გაუმართა ვახშამი. ვახშმის შემდეგ გაუშალა ლოგინი და როცა სტუმარმა დაიძინა, ნაფტალი ოღლი ჯალათიერით დაადგა ხანჯლით და პირუტყვულით დაჩეხა. ამოართვა ჯიბიდან ფული, გადამალა სტუმრის ქამარ-ხანჯალი და გვამი გადააგდო ჭაში.

ნაფტალი ოღლიმ დაპატიმრების დროს ასეთი ზღაპარი მოიგონა თავის გასამართლებლად:

— ცოლზე შევესწარი, ველარ მოვითმინე და მოვკალიო.

ამასვე იმეორებდა ბრალდებული სასამართლოშიაც.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

ნაფტალი შამილ-ოღლის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლაციით.

მსჯავრდადებულმა უნდა გადაუხადოს მოკლულის ოჯახს ქამარ-ხანჯლის საფასური, გაძარცვული 110 მანეთი, უნდა აუნაზღაუროს დასაფლავებაზე გაწეული ხარჯები და თვიურად იხადოს ხუთი მანეთი მოკლულის მცირეწლოვანი ვაჟის აღსაზრდელად.

მსჯავრდადებულს ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

მხეცი ქმარი

— ოჯახის კაცი ხარ... ოთხი წლის ერთად ვცხოვრობთ, აბა თუ რამე შეგვიძენია? ეს სულ შენი ბრალია. რასაც იშოვი, სარდაფში უნდა დასტოვო. სანამდე გინდა ასე იცხოვრო?

— ეს შენი საქმე არ არის. შენს ფულს ხომ არ ვხარჯავ? ასე მომწონს და ასე ვშვები. თუ არ მოგწონვარ, გზა ხსნილია,—უპასუხებს გიორგი ალაბეგოვი თვალცრემლიან ცოლს ნინა მჭედლიშვილის ასულს.

— ყოველდღე მთვრალი როგორ უნდა იყოს კაცი! ერთი რანაირი ხარ ფხიზელი? მეჩვენე მაინც...

ასეთ დღეში უხდებოდა ცხოვრება ნინა მჭედლიშვილის ქალს გიორგი ალაბეგოვთან.

გიორგი ალაბეგოვს თავისი ცოლი არა ერთხელ მოუბეგვია ასეთი შეკამათებისათვის.

ღამეა. ორი საათს გადაშორდა. ქალი ზის და ელოდება თავის ქმარს. შავ დღეს დააყრის, თუ მის მისვლამდე წამოწვა ლოგინზე.

ქალს მოერია ძილი და წამოწვა ლოგინზე.

ღამის ოთხს საათზე დათვრეთ შემობრაგუნდა ალაბეგოვი სახლში და თმაში სწვდა თავის ცოლს.

აკანკალებული ქალი გიჟივით წამოიჭრა ზეზე.

— მაპატიე, ეხლა წამოვწექი... აქამდე სულ გელოდებოდი...

— შენ არ მოგწონს ღვინის მსმელი ქმარი?

— ღვინის სმას მე არ გიშლი. ოღონდ ყოველდღე ნუ ითვრები „ბოსიაკივით“.

„ბოსიაკის“ გაგონებაზე ალაბეგოვმა იძრო დანა და ჩაარტყა თავის ცოლს, რომელმაც საავადმყოფოში დალია სული.

ალაბეგოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ზერიშვილი, სახალხო მსაჯულები—ესებუა და არჩვაძე, პროკურორი—ქავთარაძე, მდივანი—დ. სებუა.

ზერ.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

7 მარტიდან კარგი ამინდები დაიჭირა, მხოლოდ ღამით ბაქოს და დერბენტის მიდამოებში ადგილი ჰქონდა ქარბუქს, რომელიც 8 მარტს შეწყდა. ამჟამად ამიერ-კავკასიაში წყნარი [illegible] დარებია.

მდგომარეობა რკინის გზებზე

ამ.-კავკ. რკ. გზების ყველა ხაზები თოვლის ნამქერებისაგან გაწმენდილია. კახეთის ხაზი გაწმინდეს 7 მარტს საღამოთი.

ყველა ხაზებზე აღდგენილია მატარებლების რეგულიარული მიმოსვლა.

8 მარტს ღამით სომხეთის ხაზზე ორთაჭალის - ჯაჯურის შუა რკინის გზაზე ჩამოწვა დიდი მოცულობის თოვლის ზვავი, რომლისაგან ხაზი გასწმინდეს დილის 5 საათისათვის.

ამ შემთხვევამ გამოიწვია სომხეთის ხაზზე მატარებლების ნაწილობრივი შეფერხება. კერძოდ, სახალხო მატ. № 4—2 დაიგვიანა 4 საათით.

გზატკეცილებზე

გზატკეცილებზე მდგომარეობა უცვლელია. არც ერთ გზაზე ჯერ კიდევ მოძრაობა აღდგენილი არ არის.

მანგლისის გზაზე სოფ. პრიუტთან სწარმოებს მუშაობა გზის გასაწმენდათ. გამოყვანილი არიან გლეხები შრომის ბეგარის სახით. მუშაობა სწარმოებს ორი მხრიდან.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე მუშაობენ გზის დარაჯები. გზის გაწმენდისათვის საჭიროა 70-ზე კაცი.

ფიქრობენ, რომ გზა ორშაბათისათვის გაწმენდილი იქნება, თუ ამინდმა არ შეუშალა ხელი.

დანარჩენ გზებიდან საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობები არ მიუღია.

მოქანდაკე ბავშვი

1923 წელში საქართველოს გლეხთა ცენტრ. სახლს [illegible] ლეჩხუმის მაზრის სოფ. ნაკურალეშის ღარიბის გლეხის შვილი გერონტი გოლეთიანი. ბავშვის შესანიშნავად აყვანას წინ უძღოდა შემდეგი. პატარა ბავშვი იმავე წელში ლეჩხუმის სამაზრო სხდომების ყრილობაზე დასასწრებლად ცაგერში ჩასულ სოც. უზრუნველყოფის მაშინდელ სახალხო კომისართან—ამხ. კ. ხომერიკთან მიცხადდა გლეხი ამბროსი გოლეთიანი თავის პატარა შვილის გერონტის თანხლებით და განუცხადა მას, რომ ის არის ღარიბი, ჰყავს მრავალრიცხოვანი ოჯახი და არ შეუძლია შვილებს მისცეს შესაფერი სწავლა-განათლება. ამ ბავშმა ნავახით უბრალო ქვიდან გამოკვეთა კაცის სახე. სურს ისწავლოს და გთხოვთ რამე დახმარება გაუწიოთ.

ამხ. ხომერიკი დაინტერესდა ბავშვის ქანდაკებით და როცა დაწვრილებით გაიგო გლეხის მდგომარეობა, მისცა წინადადება ბავშვი გაეტანებია მისთვის თბილისში. გლეხი სიხარულით დასთანხმდა. ამხ. ხომერიკის თაოსნობით ეს ბავშვი ცენტრ. სახლმა აიყვანა შვილობილად.

სახლის მაშინდელმა გამგემ იოსებ ხარაბაძემ ბავშვი წაიყვანა მოქანდაკე ნიკოლაძესთან, რომელმაც დაადასტურა ბავშვის დიდი ნიჭი; ი. ნიკოლაძის რჩევით ბავშვი მიბარებული იქნა სამხატვრო აკადემიაში. სადაც ამჟამადაც განაგრძობს სწავლას. მასწავლებლები დიდ იმედებს ამყარებენ მასზე.

ბავშვი აგრეთვე სადამოობით მეცადინეობს კერძო მასწავლებელთან საერთო ცოდნის შესაძენად. ის სავსებით უზრუნველყოფილია და იმყოფება გლეხის ცენტრ. სახლის ყოველმხრივ მზრუნველობის ქვეშ.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინ, დღისით ლენინის და სლეპცოვის ქუჩის კუთხეში „ტაქსი“ დაეჯახა დარჩო ლოლოევს (მცხ. თუმანოვის ქუჩა № 14) და მსუბუქად დაშავა. გამოძიებით გამოირკვა, რომ დაჯახება არ მომხდარა „ტაქსის“ მმართველ გეურქ მელიქოვის დაუდევრობით.

გამოტყუება

გუშინ, დღისით სიღნაღიდან ჩამოსულ გლეხს ბესარიონ ჯურღულს ვიღაც უცნობმა პირებმა აფერისტული გზით გამოსტყუეს 800 მანეთი და მიიმალენ.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ, ღამით საბჭოს ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდა პარასკევა ელიზბარის ასული ქორიძე (მცხ. საბჭოს ქუჩა № 203).

ქორიძის ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. მას დაზიანებული აქვს თავი.

ხანძარი

გუშინ, დღისით ხანძარი გაუჩნდა საზეინკლო სახელოსნოს მდებარე ირაკლის ქუჩა № 10. საჩქაროთ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში.

უეცარი სიკვდილი

გუშინწინ გოგილის აბანოს ქვევით უეცრად გარდაიცვალა უცნობი მამაკაცი დაახლოებით 65 წლის. გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ჯიბგირის დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში „დეზერტირკა“-ს და ცენტრალურ ბაზრებს შეეჩვია ჯიბგირების ერთი ჯგუფი. გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ერთი ბოროტმოქმედთაგანი. იგი აღმოჩნდა: სურენ ტიგრანისძე ტერ-ყაზარიანცი.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ბინოკლი თავისი ბუდით და 1½ მეტრი ბამბაზია. პატრონი გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 6, ე. ქვანიასთან.

ავიაქიმში

საინჟინერო-ტეხნიკური სექცია

6 მარტს ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან შესდგა საინჟინერო-ტეხნიკური სექციის საორგანიზაციო კრება, რომელსაც დაესწრენ სამხედრო და სამოქალაქო ინჟინერ-ტეხნიკოსები. კრებაზე გამომუშავებულ იქნა შემდგომი მუშაობის მთავარი თეზისები. არჩეულ იქნა აგრეთვე სექციის პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმის პირველი სხდომა მოწვეულია 13 მარტს საღამოს რვა საათზე ინჟინერთა კლუბში (პროფკავშირთა შენობა).

19 მარტს ამავე კლუბში შესდგება ინჟინერ-ტეხნიკოსთა კრება, სადაც გაკეთებულ იქნება მოხსენება თემაზე; „საჰაერო თავდასხმის მოგერიება და საინჟინრო საშუალებები“.

მუშაობა ქალთა შორის

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაუგზავნა ცირკულიარული წერილი ყველა ორგანიზაციებს იმის შესახებ, რათა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა ქალთა შორის. ამ მიზნით ყველა ორგანიზაციებთან შექმნილ უნდა იქნეს ქალთა სექციები, ქალებისათვის გამოძებნილ უნდა იქნეს შესაფერისი სამუშაო, შექმნილ უნდა იქნეს სანიტარული და პირველი დახმარების წრეები, მიღებულ უნდა იქნეს ზომები ქალების ჩასაბმელად სისროლო საქმეში და სხვა.

რკინისგზაზე

მშენებლობის გაიაფება

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მიიღოს გადამწყვეტი ზომები მშენებლობის გაიაფებისათვის 15 პროცენტით.

საფოსტო კანტორა ლიბანში

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კავკასიის საოლქო სამმართველომ მიმართა შუამდგომლობით ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას, სადგ. ლიბანში შენობის დათმობის შესახებ საფოსტო კანტორის მოსაწყობათ.

მეტრიულ სისტემაზე გადასასვლელად

გზებზე მეტრიული სისტემის საბოლოოდ შემოსაღებლად გზათა კომისარიატმა ა.-კ. რკ. გზების გამგეობას 1927—28 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გადასცა 8.900 მანეთი.

ორთქმავლის გაფუჭებისათვის

შემთხვევებთან მებრძოლი საგზაო კომისია გაეცნო საქმეს ორთქმავლის გაჩერების შესახებ გასული წლის 11 დეკემბერს არაქს - ყარაბურუნის შუა. როგორც გამოძიებამ დაამტკიცა ორთქმავალი გაჩერებულა წყლის გამოლევის გამო.

მემანქანე მიშუსტინს თავის დროზე არ ჩაესხა წყალი ორთქმავალში, ხოლო როდესაც შეამჩნია წყლის ნაკლებობა, არ მიიღო არავითარი ზომები. ამას კი მოჰყვა ორთქმავლის ისე გაფუჭება, რომ საჭირო გახდა მისი სასწრაფოდ შეკეთება.

საქმისადმი ასეთი მოპყრობისათვის მემანქანე მიშუსტინი ჩამოაყენეს მემანქანის თანაშემწის თანამდებობაზე, ხოლო მისი თანაშემწე ბაბენკო — ზეინკალის თანამდებობაზე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 9 მარტი

დღეს, 9 მარტს. თბილისის 4 კილოვატიან რადიო-საუბროდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება როგორი შენობაა საჭირო აბრეშუმის ჭიის [illegible]—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

ავიაქიმის მოხსენება: ავიაქიმის მასიური მუშაობა სოფლად—რუსულ ენაზე.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—თურქულ ენაზე.

მოხსენება: გრიპის ეპიდემია და მასთან ბრძოლა—თურქულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ოპერა „ტრავიატა“-ს ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ხევის თემის მცხოვრებს ლევანტი კეკელიძეს

კითხვა:

ერთ ოჯახში ვართ 9 სული, გვაქვს 11 ქცევა მესამე კატეგორიის სათესი მიწა, რომლის რაოდენობაში შედის სამი ქცევა საზოგადო მიწა, როცა ნორმას ანაწილებდნენ, კომისიასთან შეთანხმებით სათესი მიწის ნაცვლად ავიღეთ ადგ. „ოლობოროტში“ 1 ნახევარი ქცევა საყანე მიწაზე მდებარე ხუთი-ექვსი ქცევა საჩეხი ტყე, მაგრამ სატყეო განყოფილება ამ ნიშნულ ტყის გაჩეხა-გაკაფვის უფლებას არ გვაძლევს მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება წინააღმდეგი არ არის. გეკითხებით: 1) რამდენი მეკუთვნის სათესი მიწა და საჩეხი ტყე; 2) მაქვს თუ არა უფლება გავკაფო ტყე საყანეთ და 3) თუ ხსენებული ტყის გაკაფვის ნება არ მომცეს, შესაძლებელია თუ არა ტყის ნაცვლად მომეცეს 5—6 ქცევა სათიბი მიწა ჩამორთმეული ნორმიდან.

პასუხი:

1. თუ თქვენი მიწა მესამე კატეგორიის მიწაა, თქვენ გერგებათ (მიწის კოდექ. 63 მუხლი) ნორმით—ექვს დესეტინაზე ზევით თითო სულზე ნორმის ერთი მეათედი, მაშასადამე 9 სულზე ცხრა მეათედი, სულ 6 მთელი დესეტინა და ცხრა მეათედი. თუ ეს ტყე არის კარზე, ან ხელოვნურადაა გაშენებული, ის უნდა იქნეს ნაანგარიშევი მესამე კატეგორიის მიწის ნორმის მიხედვით.

2. ტყე მოგეცათ თქვენ არა იმ მიზნით, რომ გაკაფოთ, არამედ ვესარგებლათ მით, როგორც ტყით, ტყის გაწმენდა, გაკაფვა კი ხდება თანახმად სატყეო კოდექსის 56 და 58 მუხლებისა და გაკაფვის განხორციელება ხდება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ნებართვით, რასაც წინ უნდა უძღოდეს სატყეო განყოფილების მოხსენება. იმისათვის, რომ სატყეო განყოფილებამ ასეთი მოხსენება გააკეთოს, საჭიროა, რომ თქვენი სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების აუცილებლობა, აჩვენებდეს სამეურნეო ადგილების გაფართოებას ტყის სივრცეზე.

3. რაც შეეხება ტყის ნაცვლად მიწის მიღებას, იმ სათიბი მიწის საერთო ზომიდან, რომელიც თქვენ ჩამოგერთვათ, ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია შესაძლებლობაზე და მიზანშეწონილობაზე და არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ასეთი უსათუოდ უნდა მიეცეს, მაგრამ თუ სხვა, დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა იმ ადგილას მოიპოვება, თქვენ შეგიძლიათ ტყის ნაცვლად მოითხოვოთ ბაღის მიწა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 9 მარტს, საღამოს ექვს საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოციალურ ეკონომიურ ფაკულტ. პირველ და მეორე კურსთან არსებულ ამხ. ლ. კ. კ. უჯრედის წევრთა კრება.

დღის წესრიგშია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები: წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

შაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნ. პედ. ფაკ. პირველი პოლიტმეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა პოლიტწრის ყველა წევრებისათვის: მოხსენებისათვის უნდა გამოცხადდნენ ამხ. არ. დარახველიძე და გრ. ჰაჭლერია.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს, 9 მარტს საღამოს 5 საათზე, უნივერსიტეტის [illegible] შენობაში.

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს 9 მარტს, საღამოს 6 საათზე დაინიშნება „მიმდინარე პოლიტიკის“ წრის მეცადინეობა უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

წრეში ჩაწერილ პარტიის წევრ, კანდიდატების და ახკომკავშირის წევრთა გამოცხადება მეცადინეობაზე სავალდებულოა.

ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის ბიუროები აცხადებენ პარტიის და კომკავშირის წევრთა საყურადღებოდ, რომ განახლდა მეცადინეობა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეში; [illegible] ეძლევა პარტიის და კომკავშირის წევრებს და კანდიდატებს დაესწრონ აღნიშნულ მეცადინეობას. მეცადინეობა 1 ჯგუფისათვის სწარმოებს ოთხშაბათს საღ. 6 საათიდან. 2 ჯგუფისათვის პარასკევს საღ. 5 საათიდან.

მედსანშრომის პროფკავშირის სიღნაღის სამაზრო განყოფილების თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს სიღნაღის დამზღვევი კასის ენერგიული მუშაკის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

მიწა-ტყის მუშა თა პროფკავშირის სიღნაღის სამაზრო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან სიღნაღის დამზღვევი კასის თანამშრომლის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში შაბათს, ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

ალმშენებელთა პროფკავშირის სიღნაღის სამაზრო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან სიღნაღის დამზღვევი კასის თანამშრომლის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში შაბათს, ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის სიღნაღის სამაზრო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს სიღნაღის დამზღვევი კასის მუყაით თანამშრომელის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში შაბათს ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

განათლების, კომუნალური და მეტყევეთა პროფკავშირის სიღნაღის სამაზრო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან სიღნაღის დამზღვევი კასის თანამშრომლის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. სიღნაღში ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

სიღნაღის სამაზრო დამზღვევი კასის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე კასის დაუღალავი და ენერგიული მუშაკის

ლადო გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში შაბათს ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

სიღნაღის დამზღვევი კასის თანამშრომლები გულითადის მწუხარებით იუწყებიან ამავე კასის თანამშრომელის, ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის

ლადო გომელაურის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქალ. სიღნაღში შაბათს ა. წ. 10 მარტს. ნ. 749

მე-3 სტამბის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 6 მარტს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გინეკოლოგიურ კლინიკაში უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი სტამბის გამგის თანაშემწის ამხ. არტემ სიხარულიძის მეუღლე

ვისილა (ნინა) იასონის ასული სიხარულიძისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, 11 მარტს, ტრიბუნალის (სასამართლოს) ქ. № 22. 1697

ულრმეს მწუხარებაში მყოფი: დედა ლიზა პავლეს ასული, მეუღლე ევგენია ნიკოლოზის ასული, დიდედა ნინა გაგნიძისა, შვილი არჩილი, და თამარი, სიძე მიხეილ ანდრიას-ძე ძამანაშვილი, დისწულები გაიანე და კაკო მიხეილის-ძე ძამანაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 8 მარტს დილის 3 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სოსო მიხეილის-ძე კანდელაკი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას, 11 მარტს, შუადღის 12 საათზე საკუთარ ბინიდან, ბასიანის ქ. № 10. (მე-11-ე უბანი) კუკიის სასაფლაოზე. 3—1 1696

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, დები: იულია, ვერა, ქსენია და ძმა ალექსანდრე ხუბუები, ბიძები: ნიკოლოზ ხუბუა და იაროსლავ ბერაია, ბიძაშვილები: პარსენ, ნოე და თებრო საბაშვილები და ვლადიმერი, მაკარი და ლიდია ხუბუები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს მათთვის უსაყვარლეს და დაუვიწყარ

იონა ზურაბის-ძე ხუბუას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, პარასკევს 9 მარტს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს 10 მარტს, საკუთარ ბინიდან პანასევიჩის (ჩუღურეთის) ქ. № 36. ნაშუადღევის 4 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. 1699

ულრმეს მწუხარებაში მყოფი მეუღლე სოფიო, შვილები: ნიკოლოზ, გიორგი, ქესო და ვერა. რძალი ასმიკი, დედა ესმა და ძმა ალექსი გოგინავები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი და მარად დაუვიწყარი

სტეფანე დავითის-ძე გოგინავა

დაკრძალვა დანიშნულია შაბათს 10 მარტს, ქალაქ ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე, გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე, ხერსონის ქ. № 2 საკუთარი სახლიდან. ნ. 751

დღეს და უყოველდღიურად კინო-თეატრებში არფასტო. სოლეი
სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი
რომანოვების დინასტიის დამხობა
რეჟისორი ე. შუბი
სურათში გამოყვანილია
1) ნიკოლოზ მეორე, დედოფალი, დიდი მთავრები, პურიშკევიჩი, გუჩკოვი და ამ ეპოქის სხვა სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები.
2) დროებითი მთავრობის ეპოქა: ლვოვი, კერენსკი, წერეთელი და სხვ.
3) რევოლიუციის წინა პერიოდის მთელი რიგი ნამდვილი კინო-დოკუმენტები
სალარო ღიაა საღამოს 6 საათიდან

სახკინმრეწვის თეატრები
აპოლო — პრემიერა მხატვრული შედევრი „[illegible]“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
არფასტო, სოლეი — სეზონის საუკეთესო ფილმი რომანოვების დინასტიის დამხობა რეჟისორი ე. შუბი
დარბაზი — ვილიამ დესმონდ სურათში „უშიშარი ამერიკელი“
ოდეონი — ჰარი ლიდტკე მხატვრულ სურათში „დიდი [illegible]“
პროლეტარი (ავლაბარი) — ამერიკული კინო-რომანი „სპიდ“ უკანას. 5 და 6-ე სერია ერთად
ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь“ 0—7

სახელმწიფო ოპერა
პარასკევს 9 მარტს ბარიტონ ვ. ს. ქაშაკაშვილის მესამე გამოსვლა
ტრავიატა 4 მოქ. მუსიკა ვერდის.
მონაწ.: დანიელიანი, ნეიმანი, სლუცკაია, კრუზე, ქაშაკაშვილი, დემიანენკო, ქუთხული, ფროლოვი, გაეცკი.
ცეკვავენ თ. ჭაბუკიანი და გულულოვი
დირიჟორობს სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი
ანონსი: შაბათს 10 მარტს ფატმა მუხტაროვას უკანასკნელი გასტროლი სამსონ და დალილა
ნ. 748

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. მარტის 12-ში, საათის 12-ზე ქალაქ სიღნაღში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უძრავ ქონებისა ტიგრან სვიმონის-ძე ოთაროვის, რომელიც აღწერილია საქობის საკრედიტო ამ—ბის ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლის 4 მაის 1927 წ. № 547 და 2 აგვისტ. 1927 წ. № 1011.

სია გასასყიდ ქონებისა: ერთ სართულიანი შენობა ოთხი თვალი სავაჭრო ბინით და საწყობებით დახურული კრამიტით და თუნუქით. ეზოში ორ სართულიანი სარაია სიგრძით 18 საჟენი და აღმოსავლეთით ერთ სართულიანი სარაია სიგრძით ექვსი საჟენი დახურული კრამიტით. შენობა მოთავსებულია 350 კვად. საჟენ მიწის ნაკვეთზე შეფასებული 2000 მან. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებებმა უნდა დაიცვან სას. საპ. კოდ. მუხლები 311 და 312. ნ. 747

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—16

იყიდება სახლი
ქ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, 180 კვ. საჟ. ეზოთი. პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ინწკირველთან.
5—1 ნ. 745.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს, 10 და კვირას, 11 მარტს დილის 11 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 753

გამოვიდა და იყიდება გუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა“
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ. წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. გოგორიშვილთან.

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინაამდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—2 მთავარი კანტორა.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოროლენკოს ქ., № 20 25—4

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ. სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) გორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელიზაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესასვლელი კუთხიდან ხარიტონის ქ. (№ 1.) 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ყ. [illegible] № 8

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიკოზი, მუწუკი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 12 საათამდე და 4 ნაშ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე 13—1

სამემოსავლო და ზედმეტ მოგებაზე გადასახადები

საქართველოს ფინსახკომი ამით აცხადებს სახ. საშემოსავლო და ზედმეტ მოგებაზე გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ 1927—28 საბიუჯეტო წელში მათზე შეწერილ გადასახადების შესახებ უწყებების დაგზავნა დამთავრებულია.

მოქალაქეებმა, რომელთაც არ მიუღიათ უწყებები დაბეგვრის რაოდენობის შესახებ, ცნობის მისაღებათ უნდა მიმართონ: ქალ. თბილისში გადასახადთა ამკრეფ სექციას (ხაზინის ქ. № 3), დანარჩენ ადგილებში კი—პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიებში.

საჩივრები მიიღება სამაზრო საგადასახადო კომისიებში, სათანადო უბნის გადასახადთა ინსპექტორთა საშუალებით, ა. წ. 1-ლ აპრილამდე.

საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადასახადის გადახდას და დაწესებულ ვადების შემდეგ საურავის დარიცხვას.

შეტანის ვადები:

საშემოსავლო გადასახადის:

1. განაკვეთის პირველი მეოთხედის 15 მარტი
2. „ მეორე „ 15 მაისი
3. „ მესამე „ 15 ივლისი
4. „ მეოთხე „ 1 სექტემბერი

ზედმეტ მოგებაზე-გადასახადის:

1. განაკვეთის პირველი ნახევარის 15 მარტი
2. „ მეორე „ 15 მაისი

იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ გადაიხდიან გადასახადს, მიღებული იქნება ყოველგვარი, კანონით დაშვებული, იძულებითი ზომები, ვიდრე ქონების აღწერა-გაყიდვამდე.

საქართველოს ფინანსთა სახალხო
კომისარი—მგალობლიშვილი.

გადასახადთა სამმართველოს
ნ. 752. უფროსი - ბ. ზირზანიშვილი.

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან [illegible] 11—78 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

დაჰკარგე: ს. ა. ლ. კ. კ. ბილეთი № 20134 გაცემული ვალერიანე სამსონისძე ვერულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1692

დაჰკარგე: მუშკოპის საწევრო წიგნაკი № 1279, განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 18554, პასპორტი უვადო მერვე სამილიციო რაიონის მიერ გაცემული, ცეცხლსასროლი იარაღის ნებართვა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ გაცემული არსენ კიზირიას სახელზე ჩ. გ. 1690

დაჰკარგე: განათლების მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 10407 გლადიმერ მიხეილისძე პარკაძის სახელზე, ჩ. გ. 1687

დაჰკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 19991 ანა გიორგის ასულის კაკაბაძეს სახელზე, ჩ. გ. 1689

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა № 26 სოფ. ეწერი (ქუთაისის მაზრა) თემაღმასკომის მიერ მოცემული მიხეილ ილარიონისძე კოპალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1691

დაჰკარგე: საალპიეკვო მოწმობა № 89 გაცემული რაჭის მაზრის პატარა ონის თემის სამხედრო მაგიდის მიერ, ზაქარია [illegible] მღვდლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1688

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68